

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – "განათლების მეცნიერებები"

**ანა გველესიანი**

**ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელი უმაღლეს  
საგანმანათლებლო დაწესებულებაში  
(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მაგალითზე)**

განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის (PhD) მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: რუსუდან სანაძე  
განათლების მეცნიერებების დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

მარინე კობეშავიძე  
ფილოლოგიის დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

თბილისი  
2021 წელი

## შინაარსი

შესავალი .....	1
<b>თავი I. ციფრული ტექნოლოგიები უცხოური ენების სწავლების პროცესში</b>	
1.1. უცხოური ენების სწავლების მოდელები – სააუდიტორიო, დისტანციური და შერეული სწავლება .....	11
1.2. სასწავლო პლატფორმა Moodle ასინქრონული სასწავლო აქტივობებისთვის .....	19
<b>თავი II. ესპანური ენის სწავლება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში</b>	
2.1. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ესპანური ენის სწავლების ისტორია და მეთოდოლოგია .....	30
2.2. ესპანური ენის „დამორებით“ სწავლება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში .....	34
<b>თავი III. ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში</b>	
3.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის შემუშავება, მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები და რეკომენდაციები .....	37
3.2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის შერეული სწავლების გამოცდილების აღწერა და დიდაქტიკური ანალიზი .....	53
<b>თავი IV. თსუ-ში ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის შემუშავების პროცესისა და ეფექტიანობის კვლევა, კვლევის შედეგები და რეკომენდაციები</b>	
.....	96
დასკვნები .....	128
გამოყენებული და მითითებული ლიტერატურა .....	131
დანართი .....	137

## აბსტრაქტი

**საკვანძო სიტყვები:** ესპანური ენა თსუ-ში, შერეული სწავლების მოდელი, სინქრონული და ასინქრონული აქტივობები, ექსპერიმენტი.

უცხოური ენების შერეული სწავლების მოდელი – სააუდიტორიო და ელექტრონული (ასინქრონული) სასწავლო აქტივობების კომბინაცია – მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია დანერგილი და წარმატებით სარგებლობს.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ესპანური ენის სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ჩართვა ჩვეული პრაქტიკაა, თუმცა შერეული სწავლების მოდელის სისტემატიზებული გამოყენების გამოცდილება ჯერჯერობით არ არსებობს.

**კვლევის საგანია** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის (როგორც საფაკულტეტო ევროპული ენის) შერეული სწავლების მოდელი.

**კვლევის მიზანია** ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის ადაპტაცია ქართულ რეალობაში როგორც სააუდიტორიო, ისე „დაშორებით“ სწავლების რეჟიმში და ამ მოდელის ეფექტიანობის ამაღლების გზებისა და შემდგომი რეკომენდაციების შემუშავება.

### ამოცანები

- შერეული სწავლების სხვადასხვა მოდელის ანალიზი;
- ესპანური ენის შერეული სწავლებისთვის აქტივობების, სასწავლო მასალის შემუშავება;
- თსუ-ში ესპანური ენის, როგორც საფაკულტეტო ევროპული ენის, შერეული სწავლება-სწავლის პროცესში შემუშავებული მოდელის აპრობაცია;
- თსუ-ში ესპანური ენის, როგორც საფაკულტეტო ევროპული ენის, შერეული სწავლება-სწავლის პროცესის შეფასება;
- თსუ-ში ესპანური ენის, როგორც საფაკულტეტო ევროპული ენის, სწავლის შედეგის (ენობრივი კომპეტენციების – მეტყველების, წერის, წაკითხულისა და მოსმენილის გაგების უნარების – თანაბრად განვითარება სილაბუსით

განსაზღვრული დონის შესაბამისად და ენის დამოუკიდებლად შესწავლის უნარების შეძენა) შეფასება;

- დასკვნები და რეკომენდაციები.

**კვლევის შედეგები** ცხადყოფს, რომ ესპანური ენის შერეული სწავლების ქართულ რეალობაში ადაპტირებული მოდელი სწავლება-სწავლის პროცესის ხარისხს ამალღებს – სააუდიტორიო (სინქრონული) მეცადინეობები ინტერაქტიული, დინამიკური, სასიამოვნო და ენის პრაქტიკულ გამოყენებაზე ორიენტირებული ხდება. სწავლის შედეგები სილაბუსით გათვალისწინებული დონის შესატყვისია. სტუდენტები გამოიმუშავებენ ენის დამოუკიდებლად სწავლის უნარებს.

### **საკვლევი თემის აქტუალობა**

- ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის პოპულარიზაციის საჭიროება;
- საქართველოში ესპანური ენის სწავლება-სწავლის პროცესში არსებული რეალობა და საჭიროებები;
- თსუ-ში ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) სწავლების დროის უკმარობის კომპენსირება;
- ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით წარმოქმნილი ამოცანების გადაწყვეტის გზების ძიება და ინოვაციების მიღების მზაობა.

### **საკვლევი თემის სიახლეები**

- ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის ქართულ რეალობაში ადაპტაცია სწავლების მიმდინარეობისა და შედეგების გამოკვლევით, მისი შინაარსისა და უპირატესობათა ანალიზი და ეფექტიანობის ამალღების გზები შემდგომი რეკომენდაციებით;
- რეალური საჭიროებებისა და არსებული კვლევებიდან გაკეთებული დასკვნების საფუძველზე შემუშავებული სასწავლო მასალა და პედაგოგიური მიდგომები;
- კოვიდ-19-ის პერიოდში (ინტეგრირებული) შერეული სწავლება-სწავლის პროცესის კვლევა და პედაგოგიურ მიდგომებში ამ ვითარების შესატყვისი კორექტირების შეტანა.

## კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში განხილული კვლევის დაგეგმვისას უპირატესობა თვისებრივ მიდგომას მივანიჭე, რომლის ვალიდიზაცია გულწრფელმა, ღრმა და მოცულობითმა მონაცემებმა და კვლევის ერთზე მეტმა მეთოდმა უზრუნველყო.

## თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტები

- პედაგოგიური ექსპერიმენტი, ერთი ჯგუფის დროის სერიები, რომელიც ესპანური ენის სტუდენტებთან შერეული სწავლების მოდელის იმპლემენტაციას გულისხმობს, კვლევის მიზანთან შესაბამისობაშია. განმეორებითმა ტესტირებამ და დაკვირვებამ ჩარევამდე და ჩარევის შემდეგ მონაწილეები საკუთარი თავის მაკონტროლებელ ჯგუფად აქცია (დესკრიპტული ვალიდობა);
- გამოკითხვა (კითხვარი ღია კითხვებით) ემსახურებოდა კომპლექსური საკითხების შესწავლას, რესპონდენტები პასუხის ფორმულირებაში შეზღუდულნი არ იყვნენ. გამოიკვეთა საკვლევი თემის ამოცანები, ცვლადების მნიშვნელობა და შესაძლებელი გახდა ჰიპოთეზის შემოწმება (ინტერპრეტაციული ვალიდობა).

წინასწარდაგეგმილი, სისტემატიზებული და მეთოდურად უზრუნველყოფილი სააუდიტორიო (სინქრონული) და ელექტრონული (ასინქრონული) სასწავლო აქტივობების ორგანიზებული კომბინაცია და მისი დიდაქტიკური ანალიზი შეგვიძლია განვიხილოთ სამაგალითო მოდელად, რომელიც ნაშრომის **პრაქტიკულ ღირებულებასა** და დარგის განვითარებაზე მის პოტენციურ გავლენას გამოკვეთს. ნაშრომი ესპანური ენის პედაგოგებს შერეული სწავლების მოდელის საკუთარი შეხედულებებისამებრ განხორციელებასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში დაეხმარება.

შესაძლებელია ესპანური ენის შერეული კურსის ასინქრონული აქტივობების ნებისმიერ სასწავლო პლატფორმაზე მისადაგება და არასაუნივერსიტეტო სივრცეში გამოყენება. ესპანური ენის შერეული კურსის გამოყენება შესაძლებელია როგორც სააუდიტორიო, ასევე ნახევრად დისტანციურ და „დაშორებით“ რეჟიმში სწავლებისას.

## **Abstract**

**Keywords:** Spanish language at TSU, the blended learning model, synchronous and asynchronous activities, experiment.

The blended learning model for foreign languages – a combination of auditory and electronic (asynchronous) learning activities is implemented in many countries around the world and gains success.

The inclusion of information and communication technologies in the process of teaching Spanish in Georgian higher education institutions is a common practice. However, the experience of systematic blended learning has not been observed with other Spanish language teachers so far.

### **The subject of the study**

The blended learning model of Spanish language (as faculty European language) at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **The aim of the study**

Adaptation of the blended learning model of Spanish language in Georgian reality as a traditional auditorium practice as well as elaboration of ways to increase the efficiency of emergency remote learning mode and further recommendations of this model.

### **Objectives**

- Analysis of the different models for blended learning;
- Elaboration of the activities, learning material for blended learning of Spanish language;
- Evaluation of the blended learning-teaching process of Spanish language, as a faculty European language at TSU;
- Assessing the learning outcome of Spanish as a faculty European language at TSU (linguistic competencies - speaking, writing, reading and listening comprehension skills - equal development according to the level defined by the syllabus + independent learning skills of the language);
- Results and recommendations.

**The results of the study** clarify, that the blended learning model of Spanish language adapted in Georgian reality enhances the quality of the learning-teaching process - the auditory (synchronous) lessons are oriented towards interactive, dynamic, enjoyable and practical use of the language. The learning outcomes are relevant to the level defined by the learning syllabus. Students will develop independent learning skills.

#### **Urgency of the study topic**

- The need to promote the blended learning model of Spanish language;
- Teaching of Spanish language in Georgia – needs and reality in the Spanish language teaching-learning process in Georgia;
- Compensation for the short period of Spanish language learning Faculty of European Language) at TSU;
- Seeking for solutions to the problems posed by the rapid development of digital technologies and readiness to innovations.

#### **Novelty of the study topic**

- Adaptation of the blended learning model of Spanish language in Georgian reality, analyzing of its content and advantages and ways to raise efficiency with further recommendations;
- Learning materials and pedagogical approaches elaborated based on real needs and findings from existing studies;
- Study on the blended teaching-learning process during the Covid-19 period, and adjustments to pedagogical approaches relevant to mentioned situation.

#### **Structure of the study**

While planning the studies discussed in this paper, I gave a preference to qualitative approach that is validated by sincere, in-depth and comprehensive data and more than one methods of the study.

#### **Tools for qualitative study**

- Pedagogical experiment, one group time series that imply the implementation of the blended learning model with Spanish language students and is in compliance with the aim

of the study. Repeated testing and observation before and after the intervention turned the participants into their own control group (Descriptive validity).

- The enquiry (questionnaire with open questions) served to explore complex issues and the respondents were not limited to formulating answers. The objectives of the research topic, the meaning of the variables were identified and made possible to check the hypothesis (interpretive validity).

The organized combination of pre-planned, systematized and methodically provided auditory (synchronous) and electronic (asynchronous) learning activities and its didactic analysis can be considered as an exemplary model that outlines the practical value of the paper and its potential impact on the development of the field. The paper will facilitate the Spanish language teachers to implement the blended learning model at their own discretion and develop an individual curriculum.

It is possible to tailor the blended course of asynchronous activities of Spanish language to any learning platform and not use it at university space.

The blended course of Spanish language can be used for both auditorium and semi-distance mode learning.



## შესავალი

სადისერტაციო ნაშრომში განხილული კვლევის საგანია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) შერეული სწავლების მოდელი და ის ცვლილებები, რომლებიც მას სწავლების აქამდე ბუნებრივად და საკმარად მიჩნეულ ტრადიციულ ფორმებში შეაქვს.

ეს ცვლილებები უმთავრესად განპირობებულია სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენებით, რაც სასწავლო ინსტრუმენტების განახლება-განვითარების აუცილებელი პირობაა.

ტერმინში – შერეული სწავლება – უმეტეს შემთხვევაში, ნახევრადდისტანციური (ჰიბრიდული) სწავლების მოდელი იგულისხმება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების აღნიშნული ფორმატი ჯერჯერობით დანერგილი არ არის, შერეულ სწავლებად განვიხილავ სააუდიტორიო (სინქრონული) და ელექტრონული (ასინქრონული) აქტივობების ორგანიზებულ მონაცვლეობას. სასწავლო სივრცის გაფართოება ახალ სივრცეთა შემატებით სტუდენტებს მრავალფეროვანი და სანდო მასალიდან არჩევანის გაკეთებისა და ენასთან დამოუკიდებლად დაახლოების საშუალებას აძლევს.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა შეიძლება განისაზღვროს როგორც სამეცნიერო-შემეცნებითი, ისე პრაქტიკული კუთხით. შერეული სწავლების მოდელის პოტენციალის თეორიული ანალიზი საფუძველს უმყარებს პრაქტიკაში მის უფრო სრულსა და დახვეწილ გამოყენებას. ამ კუთხით კვლევაში წინა პლანზეა წამოწეული ის საჭიროებები, რომლებიც თსუ-ის სტუდენტებს უჩნდებათ ესპანური ენის (როგორც საფაკულტეტო დისციპლინის) შესწავლის, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა და ენობრივი კომპეტენციების შემდგომი განვითარების დროს.

თემის ამ ასპექტის აქტუალობას ზრდის სხვადასხვა გარემოება, უწინარესად ის, რომ სტუდენტთა დიდი ინტერესის მიუხედავად, ესპანური ენის სწავლებას საქართველოში არა აქვს სხვა ევროპული ენების მსგავსი მხარდაჭერა. შესაბამისად, სტუდენტთათვის ესპანურ რეალობასა და კულტურასთან კავშირებით სარგებლობის შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში ნაკლებია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობისთვის გაუგებარია, რომ ესპანური ენის შესწავლის გაგრძელების საშუალება, სურვილის მიუხედავად, არ ეძლევა. ორი სემესტრის განმავლობაში მიღებული ცოდნის (A2) დონე, თუ მისი შემდგომი განვითარება და პრაქტიკული გამოყენება არ მოხდა, რეგრესს განიცდის და არც დასაქმებისთვისაა საკმარისი. სტუდენტი თანდათან აცნობიერებს, რომ მისთვის ესპანური ენის გამოყენების პერსპექტივა ნაკლებია, რაც სწავლის მოტივაციაზე ბუნებრივად აისახება.

გარდა ამისა, საკმაოდ გავრცელებულია მცდარი მოსაზრება, რომ ესპანური ენის შესწავლა სერიოზული ძალისხმევისა და ზედმეტი შრომის გარეშე შესაძლებელი. შესაბამისად, სტუდენტს აქვს მოლოდინი, რომ ესპანური ენის ლექციები მხოლოდ განტვირთვისა და ხალისის ადგილი იქნება. რეალობა კი, უმეტესწილად, სტუდენტთა მოლოდინისგან მკვეთრად განსხვავდება, რადგან ესპანური ენის, ისევე როგორც სხვა უცხოური ენის შესწავლას საკმაოდ დიდი დრო და შრომა სჭირდება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ენის გამოყენება სტუდენტთა რეალურ გარემოში ნაკლებად ხდება. შედეგად, გვხვდება დემოტივაციის შემთხვევები და სწავლის პროცესისადმი ზერელე დამოკიდებულება, რაც ზოგჯერ სწავლის მიტოვების საწინდარი ხდება.

იმ დროს, როდესაც სწავლისადმი ინტერესის დაკარგვის შემთხვევები იზრდება, უნდა დავფიქრდეთ, რა იწვევს ამ პრობლემას და მსგავსი შემთხვევების თავიდან ასარიდებლად, რა საშუალებებს მივმართოთ. ეს არა მხოლოდ სტუდენტის სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი იქნება, არამედ საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებისთვისაც მოგებიანია, რადგან სასწავლო პროცესი, რომელშიც მოტივირებული და ხალისიანი სტუდენტები მონაწილეობენ, პედაგოგის შრომას მნიშვნელოვნად ამსუბუქებს და მის მოღვაწეობას პოზიტივით ავსებს.

სწორედ ამ დროსაა მნიშვნელოვანი სტუდენტთათვის სწავლების ისეთი ფორმების შეთავაზება, რომლებიც მათთვის ეფექტიანი და სახალისოა და, ამავდროულად, პრაქტიკული მიზნებისთვის დროის გამოყოფის საშუალებას იძლევა. ჩემი აზრით, ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელი – ელექტრონული კურსისა (ასინქრონული მუშაობა) და სააუდიტორიო მეცადინეობების (სინქრონული მუშაობა) კომბინაცია როგორც სტუდენტთა, ისე პედაგოგის ინტერესებს შეესატყვისება.

თსუ-ში ესპანური ენის სწავლებისთვის განსაზღვრული მცირე პერიოდის გამო, მხოლოდ სააუდიტორიო მეცადინეობები, როგორ კარგადაც არ უნდა დავგეგმოთ, დროში შეზღუდულია და პედაგოგიური მიზნების სრულად მიღწევა შესაძლოა გაძნელდეს. სწავლების დროის უკმარობის კომპენსირებისთვის დამატებითი ვირტუალური სივრცე და სასწავლო მასალის სინქრონულ და ასინქრონულ აქტივობებად დაყოფა პედაგოგიური მიზნების განხორციელებაში გვეხმარება. ცხადია, ეს დაყოფა კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებზე მორგებითა და პედაგოგის გადაწყვეტილებით უნდა ხდებოდეს.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ესპანური ენის სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ჩართვა ჩვეული პრაქტიკაა, თუმცა შერეული სწავლების მოდელის სისტემატიზებული გამოყენების გამოცდილება ჯერჯერობით არ არსებობს. ინფორმაციის ნაკლებობის გამო ასინქრონული მუშაობისთვის ნაკლებად ხდება სასწავლო პლატფორმის – Moodle – გამოყენება. ამრიგად, შერეული სწავლების მოდელის კვლევის აქტუალობას მის ღირსებათა წარმოჩენაც განაპირობებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ დღეს, სწრაფი ტექნოლოგიური განვითარებისა და განათლების ტრანსფორმაციის პირობებში, ახალი, გაუმჯობესებული და სტუდენტის ინტერესებს უფრო მეტად მისადაგებული სასწავლო პლატფორმები ჩნდება და მათი ცვალებადობა და განახლება მომავალშიც გაგრძელდება. ჩემს საკვლევ თემას ეს ფაქტი აქტუალობას არ უკარგავს. პირიქით, შერეული სწავლების გამოცდილება ნებისმიერი ინოვაციის მიღებასა და დანერგვაში დამეხმარება. რაც მეტი სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისკენ მიმართული ტექნოლოგიები გაჩნდება, მით უკეთ დავგეგმავთ და განვახორციელებთ სასწავლო აქტივობებს. ახალი რესურსები ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ენის სწავლების მეთოდებისა და ხერხების დახვეწას, არამედ ახალი იდეების გენერირებასაც. ამრიგად, უცხოური ენის (ამ შემთხვევაში, ესპანური ენის) შერეული სწავლების მოდელები მუდამ დაექვემდებარება განახლებასა და სრულყოფას და არც მათი კვლევა დაკარგავს აქტუალობას.

**სადისერტაციო თემის სიახლეები** უმთავრესად შეეხება განსაკუთრებული აქტუალობით გამორჩეულ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის ქართულ რეალობაში ადაპტაცია სწავლების

მიმდინარეობისა და შედეგების გამოკვლევით, მისი შინაარსისა და უპირატესობათა ანალიზი და ეფექტიანობის ამაღლების გზები შემდეგი რეკომენდაციებით:

- სასწავლო პროცესის ორგანიზება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: სტუდენტთა მზაობა ესპანური ენის შესწავლისათვის და მათი მოლოდინი ამ ენის ათვისებიდან, მათი სასწავლო უნარებისა და ინტელექტუალური დონის, ოჯახური მდგომარეობისა და სწავლის პერიოდში დასაქმებულობის სხვადასხვაობა და ა.შ;
- გრამატიკული მასალის ადაპტაცია ქართულენოვან სტუდენტთა საჭიროებების მიხედვით;
- ესპანური ენის ქართულენოვან შემსწავლელთა დემოტივაციის პრევენცია;
- ავტონომიურობისა და ინდივიდუალური სასწავლო სტრატეგიების გამომუშავების ხელშეწყობა.

ესპანური ენის შერეული სწავლებისთვის სასწავლო მასალა შემუშავებულია რეალური საჭიროებების მიხედვით და არსებული კვლევებიდან გამოტანილი დასკვნების შესატყვისი პედაგოგიური მიდგომების შეთავაზებით – რატომ? როგორ? რა?

სასწავლო მასალის შექმნისა და მოძიების დროს, ჩემი მთავარი მიზანი იმ მიზეზების განსაზღვრა იყო, რომლებმაც სასწავლო პროცესში დამატებითი რესურსის ჩართვის საჭიროება გააჩინა. ამიტომ ამ მიმართულებით ჩემს ნებისმიერ ქმედებას – სასწავლო მასალის შექმნასა თუ მოძიებას, სასწავლო დროისა და მასალის სააუდიტორიო და ელექტრონულ აქტივობებზე გადანაწილებასა და სტუდენტთა სასწავლო პროცესის წარმართვაში ინტეგრირებას დაესმოდა კითხვა – რატომ? სწორედ კონკრეტული საჭიროებების განსაზღვრა დამეხმარა, რომ ნებისმიერი აქტივობა, რომელიც სასწავლო პროცესში იქნა გამოყენებული, მხოლოდ დაკვირვებისა და კვლევების შედეგების საფუძველზე ყოფილიყო შერჩეული და რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე განხორციელებულიყო.

20-წლიანი პედაგოგიური გამოცდილებისა და სხვადასხვა კვლევიდან მიღებული დასკვნების საფუძველზე მასალის მოძიებისა და შემუშავების შემდეგ გამოიკვეთა

მეორე საკითხი – როგორ წარმართოთ სასწავლო პროცესი ისე, რომ შერეული სწავლების მოდელში ჩვენი პედაგოგიური მიზნების ადაპტირება მოვახდინოთ.

კითხვა – როგორ? – დამეხმარა სწავლების პროცესში ნებისმიერი აქტივობის განხორციელებისას დავფიქრებელიყავი, რამდენად აკმაყოფილებდა ესა თუ ის აქტივობა ჩემს პედაგოგიურ მიზნებს და, საბოლოოდ, რა შედეგს მივიღებდი.

დასასრულ, რას წარმოადგენს მიღებული პროდუქტი? ესაა ესპანური ენის შერეული კურსი, რომლის ორივე ნაწილი – სააუდიტორიო (სინქრონული) მეცადინეობები და ელექტრონული კურსი – სისტემატიზებულ, წინასწარ დაგეგმილ, მიზანზე ორიენტირებულ და მეთოდურად უზრუნველყოფილ მასალასა და აქტივობებზეა დაფუძნებული და მუდმივ ცვლილებასა და დახვეწას ექვემდებარება.

**სადისერტაციო ნაშრომის სიახლეა** აგრეთვე „დამორებით“ რეჟიმში შერეული (ინტეგრირებული) სწავლება-სწავლის პროცესის კვლევა და პედაგოგიურ მიდგომებში ამ ვითარების შესატყვისი კორექტირების შეტანა.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ პრეკოვიდურ მდგომარეობაში დამკვიდრებული ტერმინების უმეტესობას, უწინდელი მნიშვნელობით, ვეღარ გამოვიყენებთ. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ არა მარტო მასთან დაკავშირებული ახალი ტერმინები ჩნდება, არამედ არსებული ტერმინების დეფინიციებიც ხშირად გარკვეულ ცვლილებებს განიცდის.<sup>1</sup>

ტერმინი - შერეული სწავლება – აუდიტორიაში პირისპირ სწავლებისა და ინოვაციური ICT-ს გამოყენების კომბინირებას გულისხმობს. თუმცა, მას შემდეგ, რაც კოვიდ-19-ის პანდემიამ მსოფლიო რეალობა შეცვალა, სააუდიტორიო მეცადინეობები დროებით დისტანციურ, ონლაინ რეჟიმში გაგრძელდა. ამ მოულოდნელი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, თითოეული პედაგოგი არსებულ სიტუაციასთან შესაბამისი მომზადების გარეშე, საკუთარი შეხედულებებისამებრ ადაპტირდა. სასწავლო პროცესი ონლაინ, თუმცა ჩვეული, სააუდიტორიო მეცადინეობებისთვის შემუშავებული ხერხებით იმართებოდა. ამიტომ კოვიდ-19-ის პერიოდში

---

<sup>1</sup> ახალი საგანმანათლებლო რეალობა, ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები. Erasmus+ გვ.22

განხორციელებულ სწავლებას კლასიკურ ონლაინ სწავლებასთან არაფერი აქვს საერთო.

ტერმინი – დისტანციური სწავლება – არსებული დისტანციური პროგრამების დასახასიათებლად გამოიყენება, ხოლო კოვიდ-19-ის პანდემიის გამო, სწავლების ციფრულ მიწოდებაზე გადასვლას „დაშორებით სწავლება და სწავლა საგანგებო სიტუაციის დროს“ (Emergency remote learning and teaching, Hodges et al., 2020) ეწოდა.<sup>2</sup>

დისტანციური ონლაინ სწავლება გამიზნულია კონკრეტული მიზნების ან საჭიროებების მქონე შემსწავლელელებზე. ისინი მოქნილი, თავისუფალი გრაფიკის გამო ირჩევენ ონლაინ კურსს, რომელსაც გააჩნია:

- წინასწარ შემუშავებული დიდაქტიკური დიზაინი;
- ხარისხის უზრუნველყოფა;
- სტუდენტებისა და მასწავლებლების მზაობა ონლაინ სწავლა-სწავლებისათვის;
- ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობა;<sup>3</sup>
- სწავლების ამ ფორმისთვის შემუშავებული სასწავლო მასალა და აქტივობები.

კოვიდ-19-ის პერიოდში „დაშორებით“ სწავლება მკვეთრად განსხვავდება ტიპური დისტანციური და ონლაინ სწავლებისგან, რადგან „დაშორებით“ რეჟიმში სასწავლო პროცესი შესაბამისად შემუშავებული დიდაქტიკური დიზაინისა და სპეციალური პროფესიული გადამზადების გარეშე მიმდინარეობდა და დროებითი ხასიათი ჰქონდა.<sup>4</sup>

საქართველოში სკოლის ადმინისტრატორთათვის შემუშავებული პრაქტიკული სახელმძღვანელოს – „დისტანციური სწავლების მართვა“ – მიხედვით, შერეული სწავლება გულისხმობს ერთი და იმავე კურსის ან სასწავლო პროცესის დროს სინქრონული და ასინქრონული ელემენტების არსებობას.<sup>5</sup>

ზემოხსენებული არგუმენტების გათვალისწინებით, „დაშორებით“ სწავლების პროცესი ციფრული ტექნოლოგიებით გამდიდრებული სააუდიტორიო


<sup>2</sup> QAA 2020. Guidance: Building a Taxonomy for Digital Learning

<sup>3</sup> ახალი საგანმანათლებლო რეალობა, ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები. Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი, 2020 წელი. გვ.26

<sup>4</sup> <https://www.youtube.com/watch?v=n3zcLxr-Ph4>

<sup>5</sup> <https://mes.gov.ge/uploads/covid/distanciuri-swavleba%20-%2008%2002%202021.pdf>

მეცადინეობების იდენტურია, რა დროსაც ფიზიკურ აუდიტორიას ვიდეოსაკონფერენციო პლატფორმა ანაცვლებს. შესაბამისად, ამ ვითარებაში შერეული სწავლების ფორმატი შემდეგნაირად განისაზღვრება – სინქრონული (ვიდეოსაკონფერენციო პლატფორმა Zoom) და ასინქრონული (საგანმანათლებლო პლატფორმა (Moodle ან სხვა) სწავლა/სწავლების კომბინაცია. შერეული სწავლების ამ ახალი მოდელის კვლევა დარგის ექსპერტების მიერ უკვე მიმდინარეობს.<sup>6</sup>



კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში წარმოქმნილი სიძნელების შესასწავლად და პედაგოგიურ მიდგომებში ვითარების შესატყვისი კორექტირების შესატანად, ესპანური ენის სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ „დაშორებით“ რეჟიმში მუშაობისას პრობლემების გარდა, გარკვეული დადებითიც გამოიკვეთა. სწავლების ის ინოვაციური ფორმები, რომლებიც ადრე წარმოუდგენლად და განუხორციელებლად გვეჩვენებოდა, ბუნებრივად დაინერგა და ახალ პედაგოგიურ მიდგომებს ჩაუყარა საფუძველი.

კოვიდ-19-ის პანდემიის დასაწყისში ესპანური ენის შემსწავლელ სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით გადავწყვიტე, „დაშორებით“ სწავლების სირთულეების დასაძლევად სწორედ ამავე ვითარებაში გამოკვეთილი დადებითი მხარეები გამომეყენებინა – პერსონალიზებული და მეტად

<sup>6</sup> García Aretio, L. (27/04/2021). Ambientes educativos a distancia, híbridos o combinados, ¿igualan o desigulan? Y llegó el COVID. Contextos universitarios mediados. (ISSN: 2340-552X). Recuperado de <https://aretio.hypotheses.org/5841>.

განმავითარებელი შეფასება, სასწავლო მასალების დამუშავების მრავალფეროვანი გზები და ამ პროცესში სტუდენტთა ჩართულობა, მუდმივი წერითი ინტერაქციის შესაძლებლობა, სინქრონული მეცადინეობების ვიდეოჩანაწერის პედაგოგიური მიზნებით გამოყენება და ა.შ.

ვფიქრობ, ეს გამოცდილება მომავალში დაგვეხმარება, სასწავლო პროცესი თანამედროვე გამოწვევებს მივუსადაგოთ და სასწავლო რესურსის გაუმჯობესებაზე ვიზრუნოთ. ვიდეოსაკონფერენციო პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით ჩატარებული სინქრონული მეცადინეობებისა და ელექტრონული კურსის ასინქრონული აქტივობების კომბინაცია, სამომავლოდ, შერეული სწავლების მოდელის კიდევ ერთ ფორმად განიხილება, რომელსაც თავისი პლუსები და მინუსები აქვს და, დიდი ალბათობით, პანდემიის შემდეგაც იარსებებს.

**კვლევის მიზანია** ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის ადაპტაცია ქართულ რეალობაში როგორც სააუდიტორიო, ისე „დაშორებით“ სწავლების რეჟიმში და ამ მოდელის ეფექტიანობის ამაღლების გზებისა და შემდგომი რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის ჰიპოთეზა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) შერეული სწავლების მოდელი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებასა და სწავლის სასურველი შედეგის (ენობრივი კომპეტენციების თანაბრად განვითარება, სილაბუსით განსაზღვრული დონის შესაბამისად და ენის დამოუკიდებლად შესწავლის უნარის გამომუშავება) მიღწევას.

**კვლევის მეთოდოლოგია** – თვისებრივი კვლევა.

**კვლევის ინსტრუმენტები** – პედაგოგიური ექსპერიმენტი, ერთი ჯგუფის დროის სერიები და გამოკითხვა (კითხვარი ღია კითხვებით).

**კვლევის სამიზნე ჯგუფი** – ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) სტუდენტები (52 სტუდენტი).



**ექსპერიმენტის ხანგრძლივობა** – 15 კვირა (კვირაში 16 სთ.). კვლევის პროცესში ხდებოდა ინფორმაციის მოგროვება საკვლევ თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესასწავლად – შერეული სწავლების დროს სასწავლო მასალისა და გარემოს შეფასება, ენობრივი კომპეტენციების თანაბრად განვითარება, დასწრების მაჩვენებელი, სასწავლო მასალის ეფექტიანობა, სტუდენტთა მოტივაცია, დამოკიდებულება სწავლების ამა თუ იმ მეთოდის მიმართ, ავტონომიურობა, სასწავლო სტრატეგიები, ტექნიკური ან სხვა სახის პრობლემები და ა. შ.

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას ცდისპირებს ტესტირება სამჯერ ჩაუტარდათ – წინასაექსპერიმენტო (პრეტესტი), ექსპერიმენტის მსვლელობისას და პოსტტესტი.

კვლევის დაწყებიდან მე-12 კვირას ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა, ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის შესახებ მათი მოსაზრებების გაცნობის მიზნით.

კითხვარში გამოყენებული ღია კითხვების ფორმულირება და კატეგორიზაცია დაკვირვების დროს გაკეთებული ჩანაწერების ანალიზის პროცესში მოხდა. კითხვარების გაგზავნას წინ უძღოდა კითხვარის პილოტირება და შედეგად, დებულებების დახვეწა. კვლევის შედეგები გაწერილია დისერტაციის მე-4 თავში.

კვლევის აქტუალობის გამოსაკვეთად და თემის დასაკონკრეტებლად თვისებრივი მიხედვითი კვლევა ჩავატარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესპანური ენის პედაგოგებთან (სამი ქართველი და ერთი ესპანელი პედაგოგი).

საერთაშორისო გამოცდილების გაცნობის მიზნით, გამოვკითხე ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე ესპანური ენის პედაგოგები (ალიკანტეს, ჰაიდელბერგის, ვილნიუსის უნივერსიტეტები, ბორის გრინჩენკოს კიევის უნივერსიტეტი, კარაზინის ხარკოვის ეროვნული უნივერსიტეტი, სოფიის წმინდა კლიმენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი).

### **პრაქტიკული ღირებულება**

წინასწარდაგეგმილი, სისტემატიზებული და მეთოდურად უზრუნველყოფილი სააუდიტორიო (სინქრონული) და ელექტრონული (ასინქრონული) სასწავლო აქტივობების ორგანიზებული კომბინაცია და მისი დიდაქტიკური ანალიზი

შეგვიძლია განვიხილოთ სამაგალითო მოდელად, რომელიც ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებასა და დარგის განვითარებაზე მის პოტენციურ გავლენას გამოკვეთს. ნაშრომი ესპანური ენის პედაგოგებს შერეული სწავლების მოდელის საკუთარი შეხედულებებისამებრ განხორციელებასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში დაეხმარება.

შესაძლებელია ესპანური ენის შერეული კურსის ასინქრონული აქტივობების ნებისმიერ სასწავლო პლატფორმაზე მისადაგება და არასაუნივერსიტეტო სივრცეში გამოყენება.

ესპანური ენის შერეული კურსის გამოყენება შესაძლებელია როგორც სააუდიტორიო, ასევე ნახევრად დისტანციურ და „დაშორებით“ რეჟიმში სწავლებისას.

## თავი I. ციფრული ტექნოლოგიები უცხოური ენების სწავლების პროცესში

### 1.1. უცხოური ენების სწავლების მოდელები – სააუდიტორიო, დისტანციური და შერეული სწავლება

განათლების სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენება სიახლედ აღარ ითვლება. ახალმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა პირობებმა ხელი შეუწყო „ციფრული საზოგადოების“ შექმნას. ამ ტიპის საზოგადოებისთვის ციფრული ტექნოლოგიები კომუნიკაციის, ცოდნისა და ინფორმაციის გაცვლის, კვლევის, წარმოების, ორგანიზებისა და ადმინისტრირების დომინანტური საშუალებებია, რომლებიც საოცარი სისწრაფით იცვლება და ვითარდება. ტექნოლოგიური სიახლეები რამდენიმე ნაბიჯით ყოველთვის წინ უსწრებს განათლების სფეროში მათი დანერგვის მცდელობას (Bustos Sánchez Afonso, & Coll Salvador, César 2010).

უცხოური ენების სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები თითოეული ინდივიდის ინტერესებსა და შესაძლებლობებს მივუსადაგოთ.

დღესდღეობით უცხოური ენების სწავლების სამი ძირითადი ფორმა არსებობს:

- ტრადიციული (სააუდიტორიო) სწავლება;
- დისტანციური, ონლაინ კურსი;
- შერეული სწავლება.

ტრადიციული სააუდიტორიო მეცადინეობები დღემდე პოპულარობით სარგებლობს. აუდიტორიაში პირისპირ სწავლებისას პედაგოგს საშუალება აქვს შეკითხვებს დაუყოვნებლივ უპასუხოს და მთელი ჯგუფის ყურადღების ფოკუსირება მოახდინოს. პედაგოგი ახალისებს სტუდენტთა აქტიურობასა და ურთიერთთანამშრომლობას. აუდიტორიაში მარტივია სხვადასხვა მეთოდის ერთდროულად გამოყენება, ან მათი მონაცვლეობა, მასალის სირთულიდან ან ჯგუფის განწყობიდან გამომდინარე. გამოცდილი პედაგოგი ხვდება კონკრეტულ სიტუაციას სწავლების რომელი მეთოდი მიუსადაგოს და შესაბამის გადაწყვეტილებას ლექციის მიმდინარეობისას იღებს.

ფიზიკური აუდიტორიის ერთ-ერთი მინუსი დროის დეფიციტია, განსაკუთრებით დიდ ჯგუფებთან მუშაობისას, რადგან აქტივობები შესაძლოა ქაოსური გახდეს. პედაგოგს ხშირად დრო არ ჰყოფნის პატარა ჯგუფებთან ან თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალურად იმუშაოს, მათ ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცეს და შეცდომების გამოსწორებაზე იზრუნოს.

### **უცხოური ენების დისტანციური სწავლება**

თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, სასურველი ენის შესწავლა ნებისმიერი ადგილიდანაა შესაძლებელი. დისტანციური სწავლება ხშირად ანაცვლებს ტრადიციულ სააუდიტორიო მეცადინეობებს, რადგან ონლაინ აუდიტორია სტუდენტებს საშუალებას აძლევს სასწავლო აქტივობები მათთვის სასურველ დროს განახორციელონ.

განსაკუთრებით მოსახერხებელია უცხოური ენის ონლაინ შესწავლა დასაქმებული ან სასწავლო ცენტრიდან შორს მცხოვრები ადამიანებისთვის. დისტანცია უკვე აღარ წარმოადგენს სწავლისთვის ხელისშემშლელ ფაქტორს. არსებობს ყველანაირ განრიგზე მორგებული უამრავი კურსი, რომლით სარგებლობა ნებისმიერ დროს, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერის ან მობილური აპლიკაციის დახმარებითაა შესაძლებელი.

დისტანციურ სწავლებას ბევრი დადებითი მხარე აქვს:

- სტუდენტთა შეუზღუდავი რაოდენობა ჯგუფში, რაც სააუდიტორიო სწავლებისას შეუძლებელია;
- მოქნილი განრიგი;
- ეკონომიურობა – სახლიდან ან სამსახურიდან მეცადინეობის დროს თანხას ვზოგავთ ტრანსპორტსა და კვებაში. დაუსწრებლად სწავლისას მხოლოდ კურსის საფასურის გადახდა გვიწევს;
- ნებისმიერი სტუდენტის გემოვნებას აკმაყოფილებს – დისტანციური სწავლების პლატფორმები მრავალფეროვანი მულტიმედია რესურსის გამოყენებით არის შექმნილი. სტუდენტს, რომელსაც წერილობით გადმოცემული თეორიული მასალის აღქმა უჭირს, აუდიო, ვიდეო ან ვიზუალურ მასალას სთავაზობენ;

- მუდმივი უკუკავშირი – სტუდენტს ნაშრომის შეფასების ლოდინი არ უწევს, რადგან ონლაინ დავალების შესრულებისას შედეგი მყისიერად ფიქსირდება;
- კომუნიკაციისა და ინტერაქციის ახალი ფორმები – უცხოური ენის ტრადიციული ფორმით შესწავლისას ინფორმაციის მიღება, სხვადასხვა საკითხზე მსჯელობა და კითხვის დასმა მხოლოდ პირისპირ საუბრის დროსაა შესაძლებელი. დისტანციური სწავლებისას კი პედაგოგს სტუდენტებთან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებაც შეუძლია – ვიდეოკონფერენციები, ჩათი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ;
- უფასო კურსები – არსებობს უცხოური ენის შესასწავლი უამრავი უფასო კურსი, რომელთა ნაწილი სტუდენტს შესაბამისი ცოდნის დონის სერტიფიკატსაც გადასცემს;
- ენობრივი შეზღუდვები არ გააჩნია – უცხოური ენის დისტანციურად სწავლა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდანაა შესაძლებელი, შემსწავლელის მშობლიური ენის მიუხედავად;
- მუდმივად განახლებადია – თანამედროვე ტექნოლოგიებთან ერთად ახლდება და ვითარდება უცხოური ენის შესასწავლი აპლიკაციები, რომლებიც სტუდენტს სწავლის თანამედროვე ხერხებს სთავაზობს და მას ცოდნის მიღებას უადვილებს;
- ენის პერსონალიზებული სწავლება – გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტები ერთმანეთისგან სწავლის რიტმის, მასალის ათვისების სისწრაფისა და ყურადღების ფოკუსირების უნარების მიხედვით განსხვავდებიან, პერსონალიზებული სწავლების მეთოდი სასწავლო პროცესს ბევრად ეფექტიანს ხდის. დისტანციურად მუშაობისას, სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი საინტერესო აქტივობები აირჩიოს და დავალებები აუჩქარებლად შეასრულოს.

### **უარყოფითი მხარეები**

- სიმარტოვე – მიუხედავად ბევრი დადებითი მხარისა, უცხოური ენის ონლაინ შესწავლის დროს სტუდენტი მარტოა და ეს ფაქტორი მის მოტივაციაზე უარყოფითად მოქმედებს. სრულყოფილი ცოდნის მისაღებად აუდიტორიაში პედაგოგთან და ჯგუფებთან ურთიერთობა აუცილებელია. კითხვების დასმა, კამათი, აზრების, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია.

- ონლაინაუდიტორია მოკლებულია ფიზიკურ ინტერაქციას, ნაკლებად ავითარებს ინტერპერსონალურ უნარებს და ხშირად, მიღებული ცოდნაც არაა სრულყოფილი.
- კომპიუტერის ეკრანთან გატარებული ზედმეტი საათები – ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია. პროფესიული საქმიანობა, მეგობრებთან კომუნიკაცია, გართობა უმეტესწილად ვირტუალურად, კომპიუტერის ან მობილური ტელეფონის საშუალებით ხდება, რაც ჩვენს ჯანმრთელობას ზიანს აყენებს. სწავლისთვის გამოყოფილ საათებსაც მხოლოდ ეკრანის წინ თუ გავატარებთ, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება.
- თვითდისციპლინის საჭიროება – ტრადიციულ გაკვეთილზე დასწრებით სტუდენტს უჩნდება მოვალეობის შესრულების განცდა, რაც ასინქრონული მეცადინეობის დროს ნაკლებად ხდება. სტუდენტს არავინ და არაფერი აიძულებს ონლაინ გაკვეთილში ჩართვას. მან თავად უნდა გამოიმუშავოს თვითდისციპლინა, რათა დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს.
- კონტროლის ნაკლებობა სასწავლო მასალების გაცნობისას – ონლაინ სწავლის დროს ხშირია სასწავლო მასალის არასრულად დამუშავების შემთხვევები. სტუდენტი მხოლოდ ძირითადი აქტივობების შესრულებით შემოიფარგლება და არასავალდებულო, ცოდნის გასაღრმავებელ სავარჯიშოებს, ზოგჯერ, ვერც ამჩნევს.
- ტექნიკური პრობლემები – კომპიუტერული ტექნიკის დაზიანება, ინტერნეტთან წვდომის შეფერხება, სასწავლო პლატფორმის ტექნიკური ხარვეზები, პედაგოგის მიერ ატვირთული მასალის გახსნისას წარმოქმნილი სირთულეები სტუდენტათვის ნაცნობი და მტკივნეული საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შემთხვევები იშვიათია, სტუდენტის მოტივაციასა და სწავლის ხარისხზე ნეგატიურად მოქმედებს.
- პირისპირ ურთიერთობის დეფიციტი – მხოლოდ ვირტუალური ურთიერთობები ადამიანის პროდუქტიულობაზე უარყოფითად მოქმედებს. აზრებისა და გამოცდილების გაზიარება, ურთიერთთანამშრომლობა, სირთულეების ერთობლივად დაძლევა, კითხვების დასმა და ა.შ. ტრადიციული

აუდიტორიის დადებითი მხარეებია, რომლებსაც ვირტუალური ურთიერთობები ვერ ჩაანაცვლებს.

### **უცხოური ენების შერეული სწავლება**

შერეული სწავლება 90-იანი წლების ბოლოს, ონლაინ სწავლებისას წარმოქმნილი სირთულეების დაძლევის მიზნით, დაინერგა.

შერეული სწავლების ნებისმიერი მოდელი პედაგოგიურ კონსტრუქტივიზმს ეფუძნება და სწავლას დინამიკურ, თანამშრომლობით და ინტერაქტიულ პროცესად აქცევს, რომლის შედეგად სემანტიკური სქემების აგება ხდება (Elbert y Rockstroh 2012).

უცხოური ენების შერეული სწავლება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში გამოცდილი პრაქტიკაა და დიდი წარმატებით სარგებლობს. ესაა სწავლების ინოვაციური ფორმა, რომელიც სტუდენტს სწავლის ახალ, თანამედროვეობაზე მორგებულ, ტრადიციულისგან მკვეთრად განსხვავებულ ხერხებს სთავაზობს.

შერეული სწავლება სააუდიტორიო და დისტანციური სწავლების კომბინაციაა, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს, მეცადინეობის დრო და ადგილი თავად აკონტროლოს, სწავლის პროცესი კი მეტად დინამიკური და საკუთარ საჭიროებებზე მორგებული გახადოს. სწავლების ეს მოდელი თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენების საშუალებას იძლევა და სწავლება-სწავლის პროცესის გაუმჯობესებას ემსახურება. ფიზიკური აუდიტორია მხოლოდ ნაწილობრივ ჩანაცვლდება ვირტუალურით და სტუდენტისა და პედაგოგის, სტუდენტისა და ჯგუფის პირისპირ ურთიერთობაც შენარჩუნდება.

უცხოური ენის შერეული სწავლების მთავარი უპირატესობა მრავალფეროვანი სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ციფრული წყაროს გამოყენების შესაძლებლობაა. (Garrison, D.R.; Kanuka, H,2004).

შერეული სწავლების მთავარი გამოწვევა ვირტუალურ და სააუდიტორიო მეცადინეობებს შორის საჭირო ბალანსის დაცვაა. თუმცა, ონლაინ აქტივობების პროცენტული წილი იმდენად რელევანტური არაა, რამდენადაც მის უკან მდგომი პედაგოგიური კონცეფცია და სააუდიტორიო და ელექტრონული მეცადინეობების თანმიმდევრულობა (Dziuban, Moskal y Hartman 2005).

შერეული სწავლების მოდელის შემუშავება მიღებულია:

- სასწავლო აქტივობების მიხედვით – თითოეული აქტივობა წინასწარდაგეგმილი პროგრამით, ნაწილობრივ, აუდიტორიაში (სინქრონულად) და, ნაწილობრივ, ელექტრონული რესურსის გამოყენებით, ასინქრონულად სრულდება;
- პროგრამის შესაბამისად – ნახევრად დისტანციური სწავლება სააუდიტორიო მეცადინეობების საათობრივი დატვირთვის შემცირების ხარჯზე ხორციელდება (Area, M. y Adell, J, 2009).

შერეული სწავლების მოდელებია (არასრული ჩამონათვალი):

**Face-to-Face Driver** – პირისპირ მუშაობა პლუს ასინქრონული აქტივობებისთვის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება („დაშორებით“ სწავლების დროს სინქრონული და ასინქრონული მეცადინეობების კომბინაცია);<sup>7</sup>

**Flipped classroom** – შეტრიალებული სასწავლო პროცესი – სტუდენტი სასწავლო მასალას (ვიდეოგაკვეთილი ან საკითხავი მასალა) დამოუკიდებლად ეცნობა, აუდიტორიაში კი მასალის განხილვა პედაგოგის მონაწილეობით მიმდინარეობს. შერეული სწავლების ამ მოდელს ონლაინ კურსებიც ხშირად იყენებენ;

**Online driver** – ონლაინ მართვა – ამ დროს როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული მეცადინეობები ციფრული პლატფორმებით ხორციელდება. პედაგოგთან სააუდიტორიო შეხვედრები მხოლოდ წინასწარი შეთანხმებით, კონკრეტული საჭიროების შემთხვევაშია შესაძლებელი;

**Enriched Virtual model** – სტუდენტი სასწავლო კურსს, ძირითადად, ასინქრონულად ახორციელებს, თუმცა აუცილებლობად ითვლება პედაგოგთან პერიოდული უშუალო შეხვედრები;

**Rotation** – ონლაინ და სააუდიტორიო მეცადინეობების მონაცვლეობა წინასწარ განსაზღვრული თანაფარდობით;

**Self-blend** – სტუდენტი ირჩევს ონლაინ კურსს სააუდიტორიო მეცადინეობებზე მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად.<sup>8</sup>

<sup>7</sup> <https://study.com/academy/lesson/face-to-face-driver-model-application-examples.html>

<sup>8</sup> <https://www.blendedlearning.org/models/>



შერეული სწავლება სპეციფიკური შინაარსისა და დინამიკურობის მეშვეობით მნიშვნელოვნად ამდიდრებს სწავლება-სწავლის პროცესს. ტრადიციული სააუდიტორიო მეცადინეობისას სტუდენტს მჭიდრო ურთიერთობა აქვს პედაგოგთან და მასზე ზედმეტადაა დამოკიდებული, შერეული სწავლებისას კი მთავარი სასწავლო მასალა და მისი დამოუკიდებლად დაძლევაა. სწავლების ტრადიციული ფორმა, უმეტეს შემთხვევაში, სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემას ემსახურება, ნაწილობრივ ვირტუალური კი სტუდენტის სასწავლო უნარ-ჩვევებს მეტად ავითარებს და მას სიძნელების დამოუკიდებლად გადალახვას აჩვენებს.

ასინქრონულად მუშაობისას სტუდენტი თავად ახდენს სასწავლო მასალისა და დროის ორგანიზებას. უვითარდება ანალიზისა და სინთეზის, პრობლემის გადაჭრის, გუნდური მუშაობის, დროის დაგეგმვისა და მართვის, ახალ სიტუაციებთან ადაპტირების, შემოქმედებითი და ინტერპერსონალური უნარები (Cabero, Julio; Llorente, M<sup>a</sup> del Carmen; Morales, Juan Antonio 2013).

შერეული სწავლების უპირატესობებს შორისაა: სწავლების ინდივიდუალიზების მეტი შესაძლებლობის გაჩენა, აკადემიური მოსწრებისა და მისი ცვალებადობის, განსაკუთრებით – მისი პროგრესის უკეთ გაზომვა, პედაგოგისა და სტუდენტის კომუნიკაციის გაუმჯობესება, ახალი უნარ-ჩვევების შექმნა და ა.შ.

შერეული სწავლება სტუდენტთა ურთიერთთანამშრომლობასა და წინასწარ დაგეგმილი, ინტერაქტიული დავალებების ეფექტიანად შესრულებასაც უწყობს ხელს. თანამშრომლობითი სწავლება სტუდენტის სოციალურ უნარებს აუმჯობესებს, მის პასუხისმგებლობის გრძნობასა და ემპათიის დონეს ამაღლებს და სასწავლო გარემოზე დადებითად მოქმედებს.

პედაგოგის როლი ამ დროს ძალზე მნიშვნელოვანია. იგი უნდა დაეხმაროს პასიურ სტუდენტებს გააქტიურებაში და ეცადოს, ჯგუფის ყველა წევრისთვის სხვისი წარმატება საკუთარ წარმატებად იქცეს.

რაც შეეხება ნაკლოვან მხარეებს, სწავლების ეს მოდელი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვასა და ინტერნეტთან წვდომას მოითხოვს, რაც სტუდენტთა გარკვეული ნაწილისთვის შესაძლოა, პრობლემას წარმოადგენდეს. სირთულეებიდან აღსანიშნავია პედაგოგის დატვირთვის გაზრდა სასწავლო მასალის წინასწარ

მომზადებისა და კორექციული უკუკავშირის დროს. თუმცა, როგორც ნოთინგჰემის უნივერსიტეტის გამოყენებითი ლინგვისტიკის ემერიტუს პროფესორი მაიკლ მაკარტნი აღნიშავს, სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებას, სწავლება-სწავლის პროცესის გონივრულად დაგეგმვასა და სწორ პედაგოგიურ მიდგომებს შერეული სწავლების უარყოფითი მხარეების მინიმუმამდე დაყვანა შეუძლია (Michael McCarthy, 2016).

შერეული სწავლების ოპტიმალურ სასწავლო მოდელად აღიარება კოვიდ-19-ის პერიოდში მოხდა. IPSOS-ის მიერ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისთვის 29 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა ფიქრობს, რომ პოსტკოვიდურ პერიოდში შერეული სწავლება „ახალი ნორმალური“ (Blended learning – The new normal) სწავლების ფორმა იქნება.<sup>9</sup>

კემბრიჯის უნივერსიტეტის კვლევის მიხედვით, გამოკითხული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უმეტესობა პოსტკოვიდურ პერიოდში, არც ონლაინ სწავლის მომხრეა და არც სრულად სააუდიტორიო სწავლება-სწავლის რეჟიმზე დაბრუნება სურს. ისინი უპირატესობას სწავლების ამ ორ ფორმას შორის ბალანსს – შერეულ სწავლებას – ანიჭებენ.<sup>10</sup>

საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) ინიციატივაა, უმაღლესი განათლების სექტორში მხარი დაუჭიროს მომავალში ონლაინ და/ან შერეული სწავლისა და მისი ხარისხის უზრუნველყოფას და ხელი შეუწყოს კოვიდ-19-ის პანდემიის დროს აპრობირებული ინსტრუმენტების სრულად გამოყენებას.<sup>11</sup>

---

<sup>9</sup> <https://www.collins.in/events/blog/blended-learning-the-new-normal/>

<sup>10</sup> [https://www.educ.cam.ac.uk/facultyweb\\_content/news/thought-experiment-post-covid](https://www.educ.cam.ac.uk/facultyweb_content/news/thought-experiment-post-covid)

<sup>11</sup> <https://eqe.ge/res/docs>

## 1.2. სასწავლო პლატფორმა Moodle ასინქრონული სასწავლო აქტივობებისთვის

სასწავლო პლატფორმები ვირტუალური კურსების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. მათ შორის არჩევანის გაკეთებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ინდივიდუალური სასწავლო მიზნები, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია.

პლატფორმების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია: Google classroom, Blackboard Collaborate, Thinkific, Atutor, Chamilo, Claroline, Italki, Verbling, Preply, ClassGap, Lingoda, Moodle და ა.შ. ეს უკანასკნელი მსოფლიოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 60 პროცენტში გამოიყენება, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საკმაოდ ძლიერ პლატფორმას წარმოადგენს. იგი მომხმარებელს 20-მდე სხვადასხვა ტიპის სასწავლო აქტივობას სთავაზობს და კურსების შექმნის ლიმიტი არ გააჩნია.

Moodle აიოლებს სწავლების პროცესს ელექტრონული საშუალებებით. მას 274 მილიონზე მეტი აქტიური მომხმარებელი ჰყავს მთელს მსოფლიოში. ინტერაქტიული სასწავლო სივრცე პედაგოგებსა და სტუდენტებს სასწავლო პროცესის მართვაში ეხმარება. იგი მულტიმედია რესურსის შექმნის საშუალებას იძლევა, რაც სტუდენტის მოტივაციას ამაღლებს და მას ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას მეცადინეობის შესაძლებლობას აძლევს.<sup>12</sup>

Moodle-ის დახმარებით პედაგოგებს კოლეგების მიღწევების, ახალი იდეებისა და წარმატებული სასწავლო გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება შეუძლიათ.

Moodle საშუალებას იძლევა მთელი სასწავლო რესურსი ერთ კონკრეტულ სივრცეში იქნეს თავმოყრილი. ელექტრონულ კურსზე განთავსებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ნებისმიერ, ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერში. პედაგოგი არჩევს, თავს უყრის, ორგანიზებულად ალაგებს შესაფერის მასალას. სტუდენტები კი მის სხვადასხვა კომპიუტერიდან ან სმარტფონიდან ათვისებას ახერხებენ.

პედაგოგთან კომუნიკაციაც, ნაწილობრივ, ელექტრონულ ფორმატში ინაცვლებს, რაც დროის დაზოგვასა და სასწავლო პროცესის გაიოლებას ემსახურება.

---

<sup>12</sup> <https://moodle.com/solutions/higher-education/>

Moodle-ის ერთ-ერთი უპირატესობა მისი ფუნქციების განახლებისა და ახალი მოდულების დამატების შესაძლებლობაა, რითაც მას ნებისმიერი მომხმარებლის საჭიროებების დაკმაყოფილება შეუძლია.

შერეული სწავლების დროს, სინქრონული და ასინქრონული მეცადინეობების თანაფარდობის განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან მის შესაბამისობაზე უნდა ვიფიქროთ. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მოდელის ასინქრონული ნაწილია სწავლების ეფექტიანობისთვის გადამწყვეტი. ამიტომ შერეული სწავლების მთავარი ინსტრუმენტის – ელექტრონული კურსის – სწორად დაგეგმვა და გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია.

ასევე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ უცხოური ენების შერეული სწავლებისას ტექნოლოგიების გამოყენებაზე მეტად პედაგოგიკას ექცევა ყურადღება (Michael McCarthy (ed.) Cambridge: Cambridge University Press, 2016, xiii + 286 pp.).<sup>13</sup>

### **უცხოური ენის ელექტრონული კურსი – სწავლება-სწავლის ორგანიზების საუკეთესო საშუალება**

სწავლება-სწავლის ორგანიზება უმნიშვნელოვანესია სასურველი შედეგის მისაღებად. ვირტუალური სასწავლო გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ სტუდენტს მარტივად დასახარისხებელ მასალაზე მიუწვდებოდეს ხელი. სწორად და გააზრებულად შემუშავებული ელექტრონული კურსი სწავლის ორგანიზებაში გვეხმარება.

რა არის საჭირო სწავლის ორგანიზებისთვის?

- დროის ორგანიზება

დღესდღეობით სტუდენტს არა აქვს ფუფუნება, რომ მხოლოდ სწავლით იყოს დაკავებული და გარემო მას განათლების მიღებაში ხელს უწყობდეს. ბევრი სტუდენტი სწავლის პარალელურად დასაქმებულია, ან ორ სპეციალობას ერთდროულად ეუფლება და დროის სერიოზულ დეფიციტს განიცდის. მათთვის თავისუფალი დრო და მეგობრებთან ურთიერთობაც აუცილებელია. შესაბამისად, სტუდენტთა უმეტესობა დავალებების შესრულებას ხშირად ლექციამდე ცოტა ხნით ადრე იწყებს.

---

<sup>13</sup> The Cambridge Guide to Blended Learning for Language Teaching

შედეგად ვიღებთ ნაუცბათევად და ზედაპირულად ნასწავლ მასალას, რომლის მეხსიერებაში გამყარება არ ხდება. ელექტრონული კურსის ერთ-ერთი ფუნქცია დავალების ჩასაბარებლად კონკრეტული თარიღის მითითების შესაძლებლობაა. პედაგოგს შეუძლია სასწავლო მასალა გონივრულად დაეყოს, დავალების ჩაბარების თარიღი მიუთითოს და ისე მიაწოდოს სტუდენტს, რომ ყოველდღიურად დავალების მხოლოდ ნაწილის შესრულება იყოს საჭირო. ცნობილია, რომ ენის შესწავლისთვის სისტემატურობა – ენასთან თუნდაც მოკლევნიანი, მაგრამ ხშირი შეხება უმნიშვნელოვანესია.

დავალებების სწორად განაწილება სტუდენტს თავიდან არიდებს ერთბაშად დიდი მოცულობის ცოდნის მიღებას, რაც უცხოური ენის შესწავლისას არაეფექტიანია, იწვევს სტრესს და მოტივაციასაც ამცირებს. ამრიგად, სტუდენტი ეჩვევა რეგულარულ მეცადინეობას და უფრო მოწესრიგებული ხდება, რაც, სამომავლოდ, მას სხვა სიტუაციებშიც დაეხმარება.

- თანმიმდევრული და მოწესრიგებული სასწავლო მასალა

სასწავლო მასალის მოწესრიგება, ყველაფრისთვის სათანადო ადგილის მიჩენა სტუდენტს სწავლის ორგანიზებასა და უკეთესი შედეგის მიღებაში ეხმარება. ელექტრონულ კურსზე სასწავლო მასალა დახარისხებულია თემების მიხედვით, რომელიც ეტაპობრივად რთულდება.

- ნებისმიერ სამუშაო გარემოზე მისადაგება

ეფექტიანი სწავლისთვის სამუშაო გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგს სახლში, მყუდრო გარემოში ურჩევნია მეცადინეობა, ზოგი ბიბლიოთეკას, კაფეს ან სხვა ხალხმრავალ ადგილს ამჯობინებს. სასწავლო მასალის ყველგან ტარება რთულია. კომპიუტერში ან თუნდაც, მობილურ ტელეფონსა თუ პლანშეტში გახსნილი ელექტრონული კურსი ნებისმიერ ადგილზეა ხელმისაწვდომი.

### **უცხოური ენის ელექტრონული კურსი – პედაგოგის საუკეთესო დამხმარე სახელმძღვანელო**

ენა ცოცხალი ორგანიზმია. შესაბამისად, თითქმის ყოველწლიურად ხდება გარკვეული ნორმების ცვლილება და ახალი აღმოჩენების სახელწოდებების სასწავლო

მასალაში ინტეგრირება. სახელმძღვანელოების მუდმივად განახლება და თანამედროვეობაზე მორგება რთულია და დროს მოითხოვს, ელექტრონულ კურსზე კი ეს მარტივად მოგვარებადია. მთავარია მხოლოდ მოტივირებული პედაგოგი და ინტერესიანი სტუდენტები, რომელთაც კურსის გამდიდრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ.

### **უცხოური ენის ელექტრონული კურსი – მასალის სანდობა და ავთენტური მასალის ხელმისაწვდომობა**

ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ჩართვის ერთ-ერთი უპირატესობა ავთენტური მასალის ხელმისაწვდომობაა, რაც, თავის მხრივ, არა მხოლოდ საკომუნიკაციო და ლინგვისტური კომპეტენციების განვითარებას, არამედ სტუდენტთათვის კულტურული ინფორმაციის გაცნობასაც უწყობს ხელს. წარმოდგენელია, ადამიანმა რომელიმე ენა იცოდეს და ამ ენის მატარებელი ხალხის წეს-ჩვეულებებს, გემოვნებას, სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებას არ იცნობდეს. პედაგოგის ვალია, სტუდენტს სამყაროს სხვისი თვალით დანახვის უნარი გამოუმუშაოს და ინტერკულტურულ განსხვავებებზე დაფუძნებული უარყოფითი სტერეოტიპების მსხვრევას ხელი შეუწყოს.

ელექტრონული კურსის უპირატესობა, პირველ რიგში, ავთენტური მასალის სანდობაშია. ონლაინ სივრცეში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ინფორმაციის განთავსება. მეტიც, უცხოური ენის შემსწავლელი კურსის შექმნა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სტუდენტს არასწორ ცოდნას აძლევს. ინტერნეტრესურსი ამოუწურავია და პედაგოგის ამოცანაა მასალა ფუნქციურობისა და სანდობის გათვალისწინებით შეარჩიოს. ამიტომ, კომპეტენტური პედაგოგის მიერ შექმნილ ელექტრონულ კურსში მხოლოდ შემოწმებული და რეკომენდებული მასალაა თავმოყრილი.

ავთენტური ტექსტები ასევე მნიშვნელოვანია დარგობრივი ენის დასაუფლებლად სწავლების შედარებით მაღალ საფეხურზე. პედაგოგის მიერ შერჩეული სამედიცინო, იურიდიული თუ სხვა დარგობრივი ტექსტები (ნაწყვეტები სასამართლო პროცესებიდან, ჟურნალისტური გამოძიებებიდან, სამედიცინო ან ბიზნეს კონფერენციებიდან) ეფექტიან სასწავლო მასალად ითვლება.

ელექტრონულ კურსზე ავთენტური მასალის აქტუალიზაცია და ჩანაცვლება ყოველთვის შესაძლებელია. ამგვარად, მოძველებული ლექსიკური ერთეულების გამოყენება და არააქტუალური ინფორმაციის დამუშავება თავიდან იქნება აცილებული.

### **უცხოური ენის ელექტრონული კურსი – დროის დაზოგვა მზა თეორიული მასალის პირობებში, ვიდეოლექციები**

ელექტრონულ კურსზე განთავსებული სასწავლო მასალა სტუდენტს ენის დამოუკიდებლად ათვისებაში ეხმარება. მუდმივად ხელმისაწვდომი, დეტალურად ახსნილი და მაგალითებით გამყარებული თეორიული მასალა სტუდენტათვის კომფორტულია, რადგან მისი გამეორება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი.

სტუდენტათვის განსაკუთრებით ეფექტიანია თეორიული მასალის ვიდეოლექციის სახით შეთავაზება. მსგავსი ტიპის ვიდეოლექციები სხვადასხვა სასწავლო საიტზეა ხელმისაწვდომი. თუმცა უმჯობესია, პედაგოგმა საკუთარი ლექციის ვიდეოჩანაწერი განათავსოს კურსზე. ამით ხელი შეეწყობა თავად პედაგოგის თვითრეფლექსიასა და თვითგანვითარებას.

არსებობს მოსაზრება, რომ ელექტრონული კურსის გამოყენება პედაგოგის ორმაგ დატვირთვას გულისხმობს, ზოგი კი, პირიქით, ფიქრობს, რომ ერთხელ შექმნილი კურსი წლების მანძილზე გამოადგება და სასწავლო მასალების მოსამზადებლად გამოყოფილი დრო დაიზოგება. სინამდვილეში, ამ საკითხს ინდივიდუალურად უნდა მივუდგეთ და აქცენტი სწავლება-სწავლის ეფექტიანობაზე გავაკეთოთ. შეხედულება, რომ კურსი მხოლოდ დროის დასაზოგად გამოდგება, არაა სწორი და მართებული. მსგავსი მიდგომა სწავლების ხარისხზე უარყოფითად იმოქმედებს. თუმცა ისიც დაუშვებელია, რომ პედაგოგს ზედმეტი მუშაობა ვაიძულოთ, თუნდაც სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან დაღლილი და განერვიულებული პედაგოგი თავის მოვალეობას სათანადოდ ვერ შეასრულებს.

## უცხოური ენის ელექტრონული კურსი – სტუდენტთა ჩართულობა და ურთიერთთანამშრომლობა

ელექტრონული კურსი, როგორც სტუდენტზე მორგებული სასწავლო საშუალება, იმითაცაა გამორჩეული, რომ მის შექმნაში, მასალით გამდიდრებასა და სრულყოფაში სტუდენტების მონაწილეობაც არის შესაძლებელი. მასალის შერჩევის პროცესში ჩართვა სტუდენტთა მოტივაციაზე დადებითად მოქმედებს. ის ფაქტი, რომ პედაგოგი მათ არჩევანს ენდობა და მათგან ინიციატივას ელის, სტუდენტებს მეტ პასუხისმგებლობას უჩენს. ეს სწავლის პროცესის ნაწილია, შესაძლოა, მეტად სასარგებლოც, ვიდრე მზა, პედაგოგის მიერ შეთავაზებული მასალის დამუშავება და ურთიერთთანამშრომლობასაც ახალისებს. სტუდენტი ცოდნას ჯგუფელებთან აქტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მეშვეობით იღებს.

სტუდენტთა კომუნიკაციასა და ურთიერთთანამშრომლობას კურსზე ასევე ხელს უწყობს ფორუმი, რომელიც ათვისებული ლექსიკური მარაგის პრაქტიკაში გამოსაყენებლად ძალზე სასარგებლოა. კომუნიკაციის ეს ფორმა განსაკუთრებით ეხმარება პასიურ სტუდენტებს, რომელთაც აუდიტორიაში დისკუსიაში ჩაბმა უჭირთ. საუბრის თემას ძირითადად პედაგოგი ირჩევს, თუმცა ამაში არც სტუდენტები არიან შეზღუდულნი. მთავარია, თემა საინტერესო, აქტუალური იყოს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდეს. დისკუსიის დროს პედაგოგი ინიშნავს ძირითად, ტიპურ შეცდომებს და სტუდენტთა პროგრესისა და საკუთარი მუშაობის შესახებ შესაბამის დასკვნებს აკეთებს.

ფორუმზე სტუდენტს შეუძლია საკუთარი ამბის მოყოლა, რჩევების მიცემა, გამოცდილების გაზიარება და ა.შ. ამ დროს მეტყველების უნარიც ვითარდება, რადგან მსგავსი საუბრები ზეპირმეტყველებისათვის დამახასიათებელი ფრაზებითაა აგებული.

გარდა ამისა, ამოუწურავი ონლაინრესურსი სტუდენტთა ჯგუფებს საშუალებას აძლევს, თავადვე შექმნან ვიდეომასალა, პოდკასტი, ანიმაცია და ა.შ. სხვადასხვა სახის როლური ინსცენირებით ლექსიკური ერთეულების მეხსიერებაში გამყარებასთან ერთად, სტუდენტთა შემოქმედებითი უნარიც ვითარდება.



## უცხოური ენის ელექტრონული კურსი შეტრიალებული სასწავლო პროცესის დასაგეგმად (Flipped classroom)

შეტრიალებული სასწავლო პროცესი სალექციო დროის შემცირების პრაქტიკული ნაწილისთვის დათმობას ითვალისწინებს, რა დროსაც პასიური სასწავლო პროცესი აქტიურ პროცესად გარდაიქმნება. სააუდიტორიო მეცადინეობისთვის გამოყოფილი დრო თეორიული მასალის ახსნაზე აღარ იხარჯება და დავალების ანალიზსა და აქტიურ პრაქტიკულ ვარჯიშს ეთმობა, რაც მაღალი კოგნიტური პროცესია და პრობლემის გადაჭრის უნარს ავითარებს. შეტრიალებული სასწავლო პროცესი ცვლის პედაგოგისა და სტუდენტის როლებს და ამ უკანასკნელს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს.<sup>14</sup>

შეტრიალებული სწავლების დადებითი მხარეებია:

- პედაგოგსა და სტუდენტს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- სწავლება-სწავლის პროცესის თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და რიტმზე მორგება;
- სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა და აქტიურობა;
- კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- მეტად პერსონალიზებული სასწავლო პროცესი;
- ციფრული ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება.

სწავლების ამ მეთოდის უპირატესობა ისიც არის, რომ პედაგოგი თავად ესწრება მასალის შესწავლის პროცესს და სტუდენტებს სწავლის სხვადასხვა ხერხსა და სტრატეგიას სთავაზობს. ლექცია უფრო აქტიური, სახალისო, საინტერესო და კრეატიული ხდება, რა დროსაც არა მხოლოდ სტუდენტი, არამედ თავად პედაგოგიც იღრმავებს ცოდნას, რადგან სტუდენტთა მიერ გამოთქმული ყოველი მოსაზრება შეიძლება ახალი აღმოჩენის საწინდარი გახდეს.

შერეული სწავლების ამ მოდელს პედაგოგთა უმეტესობა სხვა მოდელებთან ერთად განიხილავს, მასალის სირთულის, სწავლების საფეხურის, სასწავლო პერიოდისა და სტუდენტთა ინტერესების შესაბამისად.

---

<sup>14</sup> <https://flippedlearning.org/>

## უცხოური ენის ელექტრონული კურსი სტუდენტის შეფასებისა და თვითშეფასებისათვის

სწორად განხორციელებული შეფასება სწავლებასა და სწავლას შორის ერთგვარ ხიდს წარმოადგენს და ორ მიზანს, სტუდენტის პროგრესის ასახვასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

მაგრამ, როგორ შეძლოს დროში შეზღუდულმა პედაგოგმა თითოეულ სტუდენტს რეგულარული და ხარისხიანი შეფასება მისცეს?

ამ პრობლემის შემსუბუქება ელექტრონულ სასწავლო კურსს ძალუძს. მისი დახმარებით არა მხოლოდ თითოეული სტუდენტის შეფასება ხდება, არამედ სტუდენტთა პროგრესის თვალყურის დევნება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი.

სემესტრის დასრულების შემდეგ, პედაგოგს საშუალება აქვს, გადახედოს საკუთარ კომენტარებს, სტუდენტთა პროგრესს და დაფიქრდეს, მუშაობის რომელმა სტილმა გაამართლა და სწავლების რომელი მეთოდი საჭიროებს გადახედვას. ეს მას მომავალი სემესტრის დასაგეგმადც გამოადგება.

სტუდენტს კი მრავალჯერადი და რეგულარული შეფასება შესაძლებლობას აძლევს, საკუთარ პროგრესს დააკვირდეს და საუკეთესო საბოლოო შეფასება მიიღოს.

შერეული სწავლების ერთ-ერთი უპირატესობა სტუდენტთა განსხვავებული უნარების აღმოჩენა და ობიექტური შეფასების შესაძლებლობაა. ზოგიერთ სტუდენტს უჭირს აუდიტორიაში საჯაროდ აქტიურობა და საკუთარი აზრის დაფიქსირება, ან ფიქრისთვის მეტი დრო სჭირდება და საჭირო დასკვნების გამოტანას მოკლე დროში ვერ ახერხებს. ონლაინდავალების შესრულებისას ამ ტიპის სტუდენტმა შესაძლოა საუკეთესო შედეგი აჩვენოს.

ელექტრონული შეფასება პედაგოგის დროის დაზოგვის საშუალებაცაა. სტუდენტთა ნაშრომებზე დაუსრულებელი კომენტარების წერა რთულია. ელექტრონული კურსი კი აუდიო კომენტარის დატოვების შესაძლებლობას გვთავაზობს.

დასასრულ, პედაგოგის შენიშვნა შეიძლება დავიწყებას მიეცეს, რვეულში გაკეთებული ჩანაწერი დაიკარგოს, ელექტრონულ კურსზე კი ნებისმიერი სტუდენტის

დავალება, შენიშვნებითა და კომენტარებით, ინახება და მისი ხილვა ან ჩამოტვირთვა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი.

## **ელექტრონული კურსის სხვადასხვა ჯგუფზე მორგება ძირეული ცვლილებების გარეშე**

როგორც უკვე აღვნიშნე, ერთხელ შექმნილი ელექტრონული კურსის ძირითადი ნაწილი წლების მანძილზე გამოგვადგება, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ენა იცვლება, ვითარდება და პედაგოგიური მიდგომებიც იხვეწება. ამიტომ კურსის მცირედი სახეცვლილება ხშირად ხდება საჭირო. Moodle-ს მასალის დამალვის ფუნქცია გააჩნია, რომელსაც მსგავს შემთხვევებში ვიყენებთ. შედეგად, ჩვენს განკარგულებაშია სასწავლო მასალების ერთგვარი ბაზა, რომლით სარგებლობა სურვილისა და საჭიროების მიხედვით შეგვიძლია.

## **პედაგოგის პროფესიული ზრდა**

ელექტრონული კურსის შექმნა და მისი შერეულ სასწავლო პროცესში ჩართვა ხელს უწყობს პედაგოგის პროფესიულ ზრდასა და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. პედაგოგი საკუთარ თავში აღმოჩენებს აკეთებს და სწავლების მეთოდოლოგიასაც მეტად უსადაგებს თანამედროვე გამოწვევებს, რაც, საბოლოოდ, სწავლების ხარისხზე დადებითად აისახება.

## **ელექტრონული კურსის სირთულები**

შერეული სწავლებისას ელექტრონული კურსით მუშაობას გარკვეული უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. პირველ რიგში, ესაა ტექნიკური პრობლემები – ინტერნეტთან წვდომის შეფერხება, სასწავლო პლატფორმის ტექნიკური ხარვეზები, კომპიუტერული ტექნიკის გაუმართაობა ან არქონა და ა.შ. განსაკუთრებით გულდასაწყვეტია, როდესაც მსგავსი პრობლემები სწავლას მოწადინებულ და მოტივირებულ სტუდენტს ხელს უშლის და მის პროგრესს აფერხებს.

## **პედაგოგის როლი სწავლების პროცესში**

აღზრდა და განათლება ადამიანის ფორმირების მიზანმიმართული და ორგანიზებული პროცესია და ამ პროცესის ორგანიზატორს – პედაგოგს – სწავლების პროცესში უდიდესი როლი აკისრია.

ბენჯამინ ზენდერი პედაგოგის როლს დირიჟორის საქმიანობას ადარებს, რადგან იგი თავისი ძალითა და უნარებით, სხვა ადამიანებში შესაძლებლობების გამოვლენასა და მათ განვითარებას ემსახურება. კარგი პედაგოგისთვის სწავლის შედეგზე მნიშვნელოვანი მოსწავლის პოტენციალის აღმოჩენაა.<sup>15</sup>

პედაგოგმა ისეთი გარემო უნდა შექმნას, რომ ყველას სწავლის, კვლევისა და ახალი აღმოჩენების სურვილი აღედრას. იგი სტუდენტის დამხმარე და თანამგზავრი უნდა იყოს და სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდეს ცოდნის „აგებაში“. სამყარო იცვლება და პედაგოგმაც უნდა აუწყოს ფეხი თანამედროვეობას, თუმცა ნებისმიერი სიახლისადმი კრიტიკული მიდგომა და გაანალიზებაა საჭირო.

„მასწავლებელს უნდა ჰქონდეს თავისი საგნის საფუძვლიანი ცოდნა, მაგრამ იგი ჩამორჩება და გახდება უვარგისი მასწავლებელი, თუ სისტემატურად არ ზრუნავს თავისი ცოდნის გაღრმავებისთვის, მოსწავლეებზე პრაქტიკული დაკვირვების შედეგად არ აკეთებს საჭირო დასკვნებს და არ იმაღლებს პედაგოგიურ კულტურას.“

(ი. ჭკუასელი. ლუარსაბ ბოცვაძე, 1954)

ჟაკლინ გრენონ ბრუქსის (Grennon y Brooks, 1999) აზრით, კარგი მასწავლებელი:

- პატივს სცემს და სტიმულს აძლევს სტუდენტთა ინიციატივასა და ავტონომიას;
- სტუდენტებს წარუდგენს რეალურად შესაძლებელ სიტუაციებს და მათ ამ სიტუაციების აბსტრაქტულად დაძლევაში ეხმარება;
- იქამდე, სანამ ამა თუ იმ საკითხზე საკუთარ აზრს დააფიქსირებს, რწმუნდება, რომ სტუდენტებმა კარგად გაიგეს საკითხის არსი, რადგან, მზა პასუხის შემთხვევაში, მათი ინტერესი დაკმაყოფილდება და ძიებას აღარ განაგრძობენ;
- თანამშრომლობით ურთიერთობას ხელს უწყობს;
- კითხვის დასმის შემდეგ სტუდენტს საკმარის დროს აძლევს, რომ მან საკუთარი ვარაუდი გამოთქვას;
- სიახლეების დანერგვის არ ეშინია (სიახლის დანერგვა არ ნიშნავს მხოლოდ ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ჩართვას, თუ იმავეს გავაკეთებთ,

<sup>15</sup> <https://www.youtube.com/watch?v=qTKEBygQic0>

რასაც ადრე ვაკეთებდით. სიახლე ის იქნება, რომ ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მიღწევები თანამედროვე ტექნოლოგიებთან ერთად გამოვიყენოთ).

პედაგოგის მთავარი მიზანი არა ინფორმაციის გადაცემა, არამედ მაღალი დონის აზროვნების ფორმების ჩამოყალიბება უნდა იყოს. იგი ყველანაირად უნდა ცდილობდეს, სტუდენტის კრიტიკულად და შემოქმედებითად აზროვნებას ხელი შეუწყოს. პედაგოგს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ სწავლა ყველასათვის განსხვავებული პროცესია და ეს განსხვავებები უნდა გამოიყენოს როგორც პოტენციალი, რომელიც ჯგუფს სხვადასხვა შესაძლებლობას აძლევს.

ასევე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პედაგოგის ემოციური ინტელექტის დონეს. მას უნდა ჰქონდეს განსხვავებული აზრის პატივისცემის, ემპათიისა და სხვა ადამიანების მოსმენის უნარი და მეტი აქცენტი განმავითარებელ შეფასებაზე გააკეთოს.

პედაგოგის მოვალეობაა, სტუდენტი სასწავლო აქტივობებში ჩასართველად განაწყოს და მათ ნებისყოფის გამომუშავებაში დაეხმაროს.

გარდა საგნის კარგად ცოდნისა, პედაგოგი აღჭურვილი უნდა იყოს ამ ცოდნის გადმოცემის კარგი უნართაც, იყოს მომთმენი, დაკვირვებული და იჩენდეს საკმაო სიფრთხილეს თავის მოქმედებაში. ამისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიკისა და მის მოსაზღვრე მეცნიერებათა ცოდნას. (ი.ჭკუასელი. ლუარსაბ ბოცვაძე, 1954).

დასასრულ, პედაგოგმა უნდა დაუშვას იმის ალბათობა, რომ სტუდენტის სწავლისადმი ინტერესის ნაკლებობა მისი პედაგოგიური გამოუცდელობის, სასწავლო პროცესის არასწორად დაგეგმვის ან პიროვნული თვისებების შედეგია. თუმცა, შესაბამისი თვითრეფლექსია და გამოსავლის გზების ძიება მის პროფესიულ ზრდას ხელს შეუწყობს და სასურველ შედეგს მოუტანს.

## თავი II. ესპანური ენის სწავლება საქართველოში

### 2.1. ესპანური ენის სწავლება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისტორია და მეთოდოლოგია

უცხოური ენების სწავლებას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს, თუმცა ესპანური ენის ქვეყნის განათლების სისტემაში ადაპტირება საბჭოთა პერიოდს უკავშირდება. საბჭოთა კავშირში ესპანური ენის გავრცელება და პოპულარიზაცია მეოცე საუკუნეში ორ ეტაპად განხორციელდა. ესპანურენოვანი სამყაროს მიმართ ინტერესი 1936 – 39 წლებში გაჩნდა, როდესაც სტალინმა დაახლოებით 2000 სამხედრო გააგზავნა ესპანეთის სამოქალაქო ომში რესპუბლიკელების დასახმარებლად, ხოლო ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა კავშირმა კარი გაუხსნა პოლიტიკურ დევნილებს, რომელთაც „ომის ბავშვები“ ეწოდებოდათ. თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები საქართველოში გაატარა ესპანეთის კომუნისტური პარტიის მდივანმა ხოსე დიას რამოსმა.

საქართველოში ესპანური ენის სწავლება 60 -იან წლებში – კუბის რევოლუციის შემდეგ დაიწყო, თავდაპირველად უცხო ენათა ინსტიტუტში (დღევანდელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ხოლო მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დღესდღეობით ამ უკანასკნელში სტუდენტებს საშუალება აქვთ, აირჩიონ ესპანური ენა, როგორც პირველადი ან მეორადი სპეციალობა ან როგორც მეორე არჩევითი უცხოური ენა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენა ისწავლება, როგორც არჩევითი საგანი. აქვე ტარდება ესპანური ენის საერთაშორისო გამოცდა DELE, რომელსაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგები სერვანტესის ინსტიტუტთან თანამშრომლობით ატარებენ.

ესპანური ენა ისწავლება კერძო უმაღლეს სასწავლებლებშიც, ესენია: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

1999 წლიდან ესპანეთის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს დახმარებით, მრავალმა სტუდენტმა და ლექტორმა ისარგებლა სხვადასხვა ტიპის სტიპენდიითა თუ გრანტით და ესპანეთის უნივერსიტეტებში გაიღრმავა ცოდნა.

რაც შეეხება სწავლების მეთოდებს, ისინი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა. უცხოური ენის სწავლების ახალმა მიზნებმა, რომლებიც ენების ერთიანმა ევროპულმა სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტმა (ინგლ. Common European Framework of Reference for Languages) განსაზღვრა, უცხოური ენების სწავლებაში ძირეული ცვლილებები გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩარჩო-დოკუმენტი არც ერთ სასწავლო მეთოდს უპირატესობას არ ანიჭებს, სპეციალისტთა დიდი ნაწილისთვის საკომუნიკაციო მიდგომები გახდა დოკუმენტით დადგენილი ენობრივი კომპეტენციების შესრულების უმთავრესი მეთოდი.<sup>16</sup>

უცხოური ენების სწავლებაში დღევანდელი პერიოდი პოსტ-მეთოდურ ხანადაა მიჩნეული. თუმცა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ენის სწავლების თანამედროვე მდგომარეობა გამოირჩევა კომუნიკაციური მიდგომებით, საიდანაც სპეციალისტები გამოყოფენ:

ენის საკომუნიკაციო მიზნებით სწავლებას, რომელმაც მე-20 საუკუნის ენების სწავლების პარადიგმა შეცვალა და მისი შედეგები დღესაც თვალსაჩინოა, რადგან გავლენა იქონია ენის სწავლების სხვადასხვა მიდგომაში (Hayes, S. C., Barnes-Holmes, D., & Roche, B. 2001);

ენის სწავლების ბუნებრივ მიდგომას, რომელიც კრამერის ენების სწავლების თეორიას ეყდრნობა;

ენის თანამშრომლობით შესწავლას (მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ენების შესასწავლად არ შექმნილა, დიდწილად ეყდრნობა ენის სწავლების კომუნიკაციურ მიზნებს);

დასასრულ, დავალებებზე, სასწავლო შინაარსზე დაფუძნებულ სწავლებას, რომელიც საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება და შეიძლება საკომუნიკაციო მიდგომის ყველაზე თანამედროვე გამოხატულებად მივიჩნიოთ (Richards, J., & Rodgers, T. (2001).

დავალებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებისას, პედაგოგი ენის შემსწავლელებს ისეთ რეალურ სიტუაციაში აყენებს, რომელშიც ისინი, სავარაუდოდ,

---

<sup>16</sup> Marco común de referencia para las lenguas, 2001.

მომავალში აღმოჩნდებიან. ასეთ დავალებებში ნათქვამის მნიშვნელობის გაგება მის სინტაქსურ და მორფოლოგიურ სრულფასოვნებაზე უფრო მნიშვნელოვანია.

დავალებაზე ორიენტირებულ აქტივობებს ყოველთვის ნათლად განსაზღვრული მიზანი გააჩნია. ასევე, წინასწარაა ცნობილი ის შედეგი, რომელსაც ენის შემსწავლელმა მოცემული აქტივობის წარმატებით შესრულებისას უნდა მიაღწიოს (ე. შავერდაშვილი 2014).

როგორც ჯაკობსი და ფარელი მიიჩნევენ (Jacobs, G. M, & Farrell, T. S. C. (2003) ენის სწავლების კომუნიკაციურმა მიდგომამ (CLT) რვა ძირითადი ცვლილება გამოიწვია ენის სწავლების პროცესში. ამ ცვლილებებს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოყოფილ კომუნიკაციური მიდგომების მახასიათებლებს თუ დავუმატებთ, შესაძლოა, ასეთი ჩამონათვალი მივიღოთ:

- მეცადინეობის ღია და მოქნილი კონცეფცია;
- აზროვნების უნარის განვითარება – ენა გამოყენებული უნდა იყოს მაღალი შემეცნებითი, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოსაყალიბებლად;
- ყურადღების ფოკუსირება თემებსა და შინაარსზე, კომუნიკაციის კონტექსტუალიზება (ლინგვისტური პრაგმატიკა);
- ავთენტური ენის გამოყენება;
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლაპარაკის უნარის განვითარებას;
- ყოველდღიური მეტყველების გათვალისწინება (დიალოგები) მეცადინეობის ფარგლებში (უკანასკნელ დროს, სულ უფრო მეტი დრო ეთმობა წერითი მეტყველებისა და კითხვის კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას);
- გრამატიკა, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება;
- ლიტერატურული ტექსტების გამოყენება;
- გაგების პროგრესის მიღწევა, რომელიც მიმართულია ენის აქტიურ გამოყენებაზე;
- ენის შემსწავლელის აქტივაცია (ენის შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლება), ენის კრეატიული გამოყენება;
- პარალელური ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობა, განსაკუთრებით უცხო ქვეყნის რეალობის ამსახველი მასალა;



- სწავლების განსხვავებული სოციალური ფორმები, რომელთა მიზანი ინტერაქციის ხელშეწყობაა;
- სავარჯიშოების ტიპების მრავალფეროვნება;
- შეფასების განსხვავებული ფორმების შემოტანა, რომლებიც მანამდე არსებული ტრადიციული მიდგომებისგან განსხვავდება;
- მასწავლებელი განიხილება როგორც ფასილიტატორი, რომელიც მუდმივად ცდილობს სწავლების სხვადასხვა ალტერნატიული გზები მოიხსნოს;
- პირველ პლანზე გადმოდის ენის სწავლების ინდივიდუალური მიდგომები (სწავლებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ენის შემსწავლელის მოთხოვნები და უნარ-ჩვევები).

მიდგომების ამ ცვლილებას არ შეუქმნია ენის სწავლების კომუნიკაციური მიდგომების ერთიანი მოდელი. უფრო მეტიც, ხელი შეუწყო ენის სწავლების სხვადასხვა მიდგომის განვითარებას, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ მახასიათებლებს პასუხობს.

უცხოური ენების სწავლების თანამედროვე მიდგომებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ელექტრონული სწავლების სხვადასხვა ფორმას. აღსანიშნავია დისტანციური და შერეული სწავლება, რომელიც იმითაა მნიშვნელოვანი, რომ თავის თავში ყველა არსებულ მეთოდს აერთიანებს, ყველასთვის ხელმისაწვდომი და დროის დამზოგველია.<sup>17</sup>

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ესპანური ენის სწავლება, ძირითადად, სააუდიტორიო (სინქრონულ) მეცადინეობებს მოიცავს, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კი მხოლოდ დამატებითი, დამხმარე საშუალებაა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პლატფორმაზე (Moodle) სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია ესპანური ენის (A1-A2 დონე) კურსი, როგორც ესპანური ენის შერეული სწავლების მხარდამჭერი საშუალება. მხარდამჭერის ეს ფუნქცია კურსმა უკანასკნელი წლების მანძილზე წარმატებით შეასრულა. მისი ეფექტიანობა 2020-2021 წლებში კოვიდ-19-ის პანდემიის დროს უფრო გამოიკვეთა.

<sup>17</sup> A. Gvelesiani, K. Khuskivadze, Modern Approaches to Spanish Languag. # 13, 2019. Teaching, Blended Learning pp. 57-65.

## 2.2. ესპანური ენის „დაშორებით“ სწავლება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პანდემიის პირობებში

„როდესაც ვფიქრობდი, რომ უკვე ყველა კითხვაზე მქონდა პასუხი, კითხვები შემიცვალეს“ - მარია ბენედეტის ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება მსოფლიო პანდემიისგან შექმნილი ახალი რეალობის წინაშე დამდგარი პედაგოგების განცდებს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, სწავლების მეთოდებმა რადიკალური ცვლილებები განიცადა და პედაგოგები, ასე თუ ისე, მიჩვეულნი იყვნენ ახლად დამკვიდრებული ტენდენციებისთვის ფეხის აწყობას, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა მსოფლიოს განათლების სისტემები თავდაყირა დააყენა. ვერავინ წარმოიდგენდა იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დღეს მთელი მსოფლიო დგას. თუმცა, ისევე, როგორც სხვა სფეროების წარმომადგენლებს, პედაგოგებსაც მოუწიათ არსებულ რეალობასთან ადაპტირება და სამომავლო გეგმებზე დაფიქრება.

მსოფლიო გლობალური პანდემიის პირობებში მრავალი ახალი ტერმინი დამკვიდრდა, რომლებიც კოვიდ-19-ს უკავშირდება. არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ნებისმიერი სფერო, ამიერიდან, სამ ძირითად ეტაპად იქნება დაყოფილი – პრეკოვიდურ, კოვიდის და პოსტკოვიდურ პერიოდებად, რადგან დღევანდელი სიტუაცია ჩვენს მომავალ ყოფაზე აუცილებლად აისახება.

ახალ მიდგომებსა და ახალ მდგომარეობაში გადასვლას ყოველთვის ახლავს სიმძნელები და ნაკლოვანებები, მაგრამ განხორციელებული ცვლილებების განხილვა მხოლოდ უარყოფით კონტექსტში, ცხადია, სწორი არ იქნება. ამაზე მეტყველებს თუნდაც, გამოსავლის გზების სწრაფად მოძიების ფაქტები. პანდემია აღმოჩნდა ერთგვარი კატალიზატორი ინოვაციების რაც შეიძლება მოკლე დროში დასაწერგად. ციფრული ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი დისტანციური სწავლების მოდელი მაშველი რგოლი გამოდგა მსოფლიო კრიზისის დროს. მილიონობით სტუდენტმა და პედაგოგმა შეინარჩუნა მუშაობის ხარისხი და ეს ძალისხმევა უდავოდ დასაფასებელია.

პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის „დაშორებით“ რეჟიმში წარმართვა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობისთვისაც

საკმაოდ რთული აღმოჩნდა. სხვადასხვა სახის ტექნიკურმა პრობლემებმა, ციფრულ ტექნოლოგიებთან ურთიერთობის გამოცდილების ნაკლებობამ და საჭირო უნარ-ჩვევების არქონამ სწავლება-სწავლის პროცესის ხარისხსა და ეფექტიანობაზე იმოქმედა.

თუმცა, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც სწავლების „დაშორებით“ რეჟიმზე იძულებით გადასვლას მხოლოდ უარყოფითი მხარეები არ გამოუვლენია და, უმეტეს შემთხვევაში, ახალი სასწავლო ხერხების დანერგვას ჩაეყარა საფუძველი.

2019/2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ესპანური ენის პედაგოგებთან და სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის მიხედვით, „დაშორებით“ რეჟიმში სწავლება-სწავლის პროცესის ძირითადი სირთულე სააუდიტორიო სწავლების ტიპზე გათვლილი სასწავლო პროგრამის ონლაინ ლექციებზე გადაწყობა და მორგება იყო. მასთან ერთვოდა ტექნიკური პრობლემები და ელექტროენერჯის მიწოდების პერიოდული წყვეტა, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში სწავლების ეფექტიანად წარმართვის პროცესი დააბრკოლა. ასევე ძნელი აღმოჩნდა ცოდნის შეფასების ვალიდურობის განსაზღვრა, რადგან შეფასების კომპონენტი სწავლების მოცემულ ტიპს არ პასუხობდა.

თუმცა, პრობლემების გარდა, აღსანიშნავია ის დადებითი მხარეები, რომლებიც ამ პერიოდში სწავლება-სწავლის პროცესში გამოიკვეთა:

- საგანმანათლებლო და ვიდეოკონფერენციების პლატფორმების გაცნობა;
- ახალი, თანამედროვე ხერხებით ენის სწავლება;
- ონლაინრესურსის ხელმისაწვდომობა;
- დასწრების გაზრდა;
- სტუდენტთა თანაბარ პირობებში ჩაყენება, მათი სასწავლო უნარების მიუხედავად;
- პასიური სტუდენტების გააქტიურება;
- დავალების უკუკავშირის კონფიდენციალურობა.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ელექტრონულ კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტებისთვის ონლაინ სწავლის პროცესი ბევრად იოლი და ორგანიზებული იყო, რაც იმ ფაქტმა განაპირობა, რომ მთელი სასწავლო მასალა – ელექტრონული

სახელმძღვანელო, კონსპექტები, ჩანაწერები, ტესტები – ერთ ვირტუალურ სივრცეში იყო თავმოყრილი.

ზემოაღნიშნული კვლევა დამეხმარა, 2020/2021 სასწავლო წლისთვის შერეული სწავლების გეგმა „დაშორებით“ რეჟიმში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით შემედგინა.

### **პედაგოგის როლი ესპანური ენის „დაშორებით“ სწავლებისას**

პანდემიის პერიოდში პედაგოგთა უმეტესობა თავს ვალდებულად გრძნობდა, სტუდენტებს კრიზისულ სიტუაციასთან ადაპტირებაში დახმარებოდა, თუმცა, რადიკალურ ცვლილებებთან შეგუება მათთვისაც რთული იყო. მოულოდნელად გაჩენილ უამრავ ყოფით პრობლემასთან ერთად, პედაგოგებს მოკლე დროში დიდი მოცულობის ინფორმაციის გაცნობა და ათვისება მოუწიათ. სასწავლო მეთოდებისა და ხერხების დახვეწა, მათი ახალ რეალობასთან ადაპტირება, სტუდენტებთან კონტაქტის დამყარებისა და სასწავლო მასალების დამუშავების გზების ძიება თითქმის ყველა პედაგოგის მთავარი ამოცანა იყო.

სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ესპანური ენის პედაგოგების გამოკითხვისას აღმოჩნდა, რომ სტუდენტები ონლაინ მეცადინეობის პროცესში მათგან ყველაზე მეტად ემპათიის გამოვლენასა და ემოციურ მხარდაჭერას ელოდნენ, რაც გასაკვირი არ არის, რადგან ემპათია პედაგოგიურ მოღვაწეობაში უმთავრესია. როგორც სუხომლისნკი აღნიშნავდა, იმისათვის, რომ მასწავლებელმა სხვა ადამიანის სულიერი მდგომარეობა იგრძნოს, პირველ რიგში, იმის უნარი უნდა შესწევდეს, საკუთარი თავი, ნებისმიერ სიტუაციაში, მის ადგილას დააყენოს.

პანდემიის პერიოდში ესპანური ენის პედაგოგები ყველანაირად ცდილობდნენ სტუდენტთა პრობლემებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, თუმცა თავადაც მოუხდათ ახალი უნარების გამომუშავება და სასწავლო პროცესისადმი დამოკიდებულების შეცვლა – თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა და მათი ონლაინ მუშაობისას გამოყენება, პერსონალიზებული და განმავითარებელი შეფასება, რთული სასწავლო პირობების მიუხედავად, ორგანიზებულობის შენარჩუნება, პოზიტიური გარემოს შექმნა და ა.შ.

სწორედ ფორსმაჟორულ სიტუაციებშია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტუდენტთათვის პოზიტიური განწყობის შექმნა და შენარჩუნება. „დაშორებით“ სწავლების დასაწყისში სტუდენტთა უმეტესობა დათრგუნული, შეშინებული და ნაკლებად მოტივირებული ჩანდა. პოზიტიური გარემო, ოპტიმისტური, ხალისიანი საუბრები, საინტერესო, იუმორისტული და მსუბუქი შინაარსის მასალების ჩართვა სასწავლო პროცესში მათ განწყობასა და მოტივაციაზე დადებითად მოქმედებდა. ეს ბუნებრივი რეაქცია იყო, რადგან სტუდენტებთან კარგი დამოკიდებულება და მათი განცდების გააზრება მათ თვითშეფასებაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და მოტივაციაზე დადებითად მოქმედებს.

### **თავი III. ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში**

#### **3.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის შემუშავება, მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები და რეკომენდაციები**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო კურსის – ესპანური ენა 2-ის მიზანია, სტუდენტები ესპანურ ენას დაეუფლონ, ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით, A2 დონეზე.

სწავლის სილაბუსით განსაზღვრული შედეგია – კითხვისა და მოსმენის, ზეპირი და წერიტი მეტყველებისათვის საკმარი უნარ-ჩვევების გამომუშავება და ესპანური კულტურის თავისებურებების აღქმის უნარის განვითარება. ესპანურ ენაზე ელემენტარული ინფორმაციის გაგება და ინტერპრეტაცია, ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, ასევე დამოუკიდებლად და ჯგუფურად მუშაობისა და საკუთარი ცოდნის მუდმივად და თანმიმდევრულად შემოწმების უნარი, რაც სტუდენტს შემდეგი, B1 დონისთვის მოამზადებს.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მიღწევა შეუძლებელია, თანამედროვე პედაგოგიური ხერხებისა და უცხოური ენის შესწავლისთვის განსაზღვრული დროის გონივრულად გამოყენების გარეშე.

ესპანური ენის, როგორც საფაკულტეტო (არჩევითი) ენის ჯგუფები დაკომპლექტებულია სტუდენტებით, რომელთაც ენის შესწავლის სხვადასხვა მოტივი და მოლოდინი აქვთ. პედაგოგის უმთავრესი მიზანი, მისი კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტთა მოლოდინის გამართლებაა, რაც სასწავლო პროცესის სწორად წარმართვას, რეალური სასწავლო მიზნების დასახვასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას გულისხმობს.

იმისათვის, რომ სტუდენტის მოლოდინი გამართლდეს და ესპანური ენის სწავლება-სწავლის პროცესი ეფექტიანად წარიმართოს, საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. მათ შორის უმთავრესია ენის სწავლების თანამედროვე სასწავლო ხერხებისა და ციფრული ტექნოლოგიების კომბინირებული გამოყენება.

2014 წელს ესპანური ენის სწავლების ეფექტიანობის ასამაღლებლად გადავწყვიტე, დამატებითი სასწავლო მასალა შემექმნა, რომელსაც სტუდენტები ჩემი ზედამხედველობის ქვეშ ასინქრონულად დაამუშავებდნენ როგორც ელექტრონული კურსის, ისე სოციალური ქსელების მეშვეობით. სასწავლო მასალების შექმნის ან მოძიების დროს თითოეული აქტივობის მოსალოდნელი შედეგის საიმედოობა და ეფექტიანობა სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების შედეგებზე იყო დამოკიდებული. ამ პროცესში ხდებოდა სასწავლო მასალებისა და სწავლების მეთოდების დახვეწა, რამაც საბოლოოდ ესპანური ენის შერეული კურსის – ესპანური ენა A1-A2-ის – შემუშავებამდე მიმიყვანა. ხსენებული კურსი მუდმივ კვლევას, კვლევის შედეგების მიხედვით განახლებასა და გაუმჯობესებას ექვემდებარება.

სასურველად და მიზანშეწონილად მიმაჩნია, წარმოვადგინო ის გზები, რომლებმაც ხელი შეუწყო შერეული კურსის (ესპანური ენა A1 - A2-ის) ეფექტიანობის ამაღლებასა და შემდგომი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას. ვთვლი, რომ მათმა შეძლებისდაგვარმა რეალიზაციამ უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ა) სასწავლო მასალისა და პროცესის ორგანიზება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა სტუდენტთა მზაობა ესპანური ენის შესწავლისათვის და მათი მოლოდინი ენის ათვისებიდან, მათი სასწავლო უნარებისა და ინტელექტუალური დონის, ოჯახური მდგომარეობისა და სწავლის პერიოდში დასაქმებულობის სხვადასხვაობა და ა.შ.

შერეული სწავლების ეფექტიანობას, უპირველეს ყოვლისა, მისი ნებისმიერი სტუდენტის საჭიროების გათვალისწინებით ორგანიზება განაპირობებს.

პედაგოგიური მოღვაწეობა, ცხადია, მხოლოდ პროგრამით განსაზღვრული გეგმის შესრულებით არ იფარგლება, არამედ ჩვენგან ჰუმანურობისა და ემპათიის გამოვლენას მოითხოვს, რაშიც, ბუნებრივია, სტუდენტის სუბიექტური შეფასება არ იგულისხმება. საუბარია მხოლოდ ნებისმიერი ადამიანისთვის შანსის მიცემაზე, რადგან, ერთი შეხედვით, სწავლას ჩამორჩენილ ან დასწრების დაბალი მაჩვენებლით გამორჩეულ სტუდენტს, შესაძლოა, სერიოზული ყოფითი ან ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდეს. ამ თემებზე საუბარს სტუდენტები ერიდებიან, პედაგოგის მხრიდან კი პირადი ცხოვრების განხილვა არაეთიკურად მიიჩნევა. ამიტომ შერეული სწავლების ორგანიზება ისე უნდა მოხდეს, რომ გაცდენის მიუხედავად, სტუდენტს სასწავლო პროცესში მოგვიანებით ჩართვისა და გარკვეული ცოდნის შეძენის საშუალება მიეცეს.

სასწავლო უნარებს, პირველ რიგში, მასალის გონივრულად შერჩევა აუმჯობესებს (Egbert, 2003). სწორედ ამიტომ ესპანური ენის შერეული კურსის როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული აქტივობები იმგვარადაა შერჩეული და განაწილებული, რომ ნებისმიერი სტუდენტის საჭიროებებს მოერგოს.

ესპანური ენის სახელმძღვანელო, რომლითაც სტუდენტებთან ვმუშაობ, თანამედროვე მიდგომებით შემუშავებულ სასწავლო მასალასა და აქტივობებს გვთავაზობს. თუმცა, მას ჩემ მიერ შემუშავებული სასწავლო მასალის დამხმარე საშუალებად განვიხილავ.

ამის მიზეზი ზოგჯერ სახელმძღვანელოში არსებული მასალის ქართულენოვანი სტუდენტების საჭიროებებთან შეუთავსებლობაა. გამოცდილება მიჩვენებს, რომ უცხოეთში აპრობირებული სახელმძღვანელოებით მუშაობა ყოველთვის არ ამართლებს და საჭირო ხდება მასალისა და თემების ჩვენი შეხედულებებისამებრ

გადანაცვლება. ამიტომ ძირითადი და დამატებითი მასალის კომბინირებისას, უმეტესად, საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებით ვხელმძღვანელობ. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ასინქრონულ აქტივობებს ენიჭება, რადგან აუდიტორიაში მუშაობისთვის განსაზღვრული ლიმიტირებული დრო ხშირად ყველა ასპექტის გათვალისწინების საშუალებას არ იძლევა.

მასალის შერჩევისას აუცილებელია, მხედველობაში მივიღოთ ენის შემსწავლელთა განსხვავებული სასწავლო უნარები და ინტელექტუალური დონე. თითოეულ სტუდენტს სწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები გააჩნია. ზოგიერთ მათგანს ტექსტის გასააზრებლად მხოლოდ ერთი წაკითხვა ჰყოფნის, ზოგს მეტი დაკვირვება სჭირდება. ამიტომ ერთი და იმავე მასალის დამუშავებისას სასურველია, მათ სხვადასხვა სირთულის დავალების არჩევის საშუალება მივცეთ. სტუდენტს, რომელსაც ენის ათვისება სხვებზე მეტად უჭირს, იმის დასადგენად, თუ როგორ გაიგო კონკრეტული ტექსტის შინაარსი, შეუძლია ტესტური დავალება შეასრულოს, ხოლო სხვა, უკეთ მომზადებული სტუდენტი, იმავე ტექსტის შინაარსის მოკლედ გადმოცემას ან ანალიზს აირჩევს. ჩემი დაკვირვებით, მსგავსი მიდგომა თითოეულ სტუდენტს წარმატებულობის განცდას უჩენს, საკუთარ ძალებში დარწმუნებული მეტი მონდომებით აგრძელებს სწავლის პროცესს და დადებით შედეგსაც აღწევს.

ჯგუფში ხშირად არიან სტუდენტები, რომლებიც გარკვეულწილად ენას უკვე ფლობენ; ზოგი მეტადაა სწავლას მოწყურებული, ან ენის შესწავლა კონკრეტული მიზნის მისაღწევად სჭირდება და ინდივიდუალურ მუშაობას დამატებით დროს უთმობს. სწავლების შეუსაბამოდ ნელი ტემპის გამო, ამ კატეგორიების სტუდენტთა დემოტივაცია რომ არ მოხდეს, მათთვის ელექტრონულ კურსზე განსხვავებული სირთულის მასალა და აქტივობებია ხელმისაწვდომი, რომელთა წინსწრებით დამუშავება ნებისმიერს დამოუკიდებლად შეუძლია.

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რაოდენ მნიშვნელოვანია პედაგოგის სწორი დამოკიდებულება ნებისმიერი სტუდენტისა და მისი შრომისადმი. პატივისცემისა და მორიდების ფონზე, სტუდენტს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ჩვენი დახმარებისა და თანაგრძნობის იმედი. ასეთი დამოკიდებულება სიზარმაცესა და სწავლისადმი ზერელე დამოკიდებულებაზე თვალის დახუჭვას, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. უნდა



არსებობდეს კონკრეტული პირობები, რომლებიც სტუდენტებთან თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ და მათი შესრულებისას ბოლომდე მტკიცე პოზიცია შევინარჩუნოთ. სტუდენტებს საჭიროა ავუხსნათ, რომ ელექტრონულ კურსზე არსებული მასალის დამუშავება სააუდიტორიო მეცადინეობებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია; დავანახოთ, რა შედეგის მომტანი იქნება სწავლების ეს მოდელი და გამოვხატოთ მათი დახმარების მზაობა. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ თავდაპირველად, წახალისების მიზნით, ელექტრონული კურსის აქტივობები ცალკე ქულით შეფასდეს. როდესაც დამატებითი რესურსის – ელექტრონული კურსის – ეფექტიანობა თვალსაჩინო იქნება, სასწავლო პროცესიც მეტად ორგანიზებული გახდება.

### **ბ) ქართველ შემსწავლელთა საჭიროებების მიხედვით ადაპტირებული გრამატიკული მასალის სწავლების მეთოდები და სტრატეგიები**

უცხოური ენის შესწავლისას გრამატიკის როლის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. კრამენის ენის სწავლების ბუნებრივი მეთოდი, გრამატიკული შინაარსის გაკვეთილიდან სრულად ამოღებას ითვალისწინებს (Krashen, Stephen D 1988), ლონგი (Long, Michael 1987) კი მოსწავლისთვის გრამატიკული მასალის მსუბუქად მიწოდების მომხრეა.

უამრავი ურთიერთგამომრიცხავი აზრის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ გრამატიკა ენის ჩონჩხს წარმოადგენს და მის გარეშე უცხოური ენის შესწავლა წარმოდგენელია. ენას მისი ძირითადი სტრუქტურის გარეშე ვერ ავხსნით და ვერც გამოვიყენებთ, ამიტომ უცხოური ენის სწავლებისას გრამატიკის უგულვებელყოფა არ შეიძლება. თუმცა, აუცილებელია სამიზნე ენის გრამატიკული მასალის დამუშავება სხვადასხვა მეთოდის კომბინაციით შესაბამისი საკომუნიკაციო კონტექსტის ფარგლებში მოხდეს და, შეფარულად, ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტივობის ნაწილს წარმოადგენდეს.

თსუ-ში ესპანური ენის სწავლების 20-წლიანმა პრაქტიკამ მიჩვენა, რომ თანამედროვე ესპანურენოვანი სახელმძღვანელოების დახმარებით გრამატიკული მასალის დამუშავება სტუდენტებს გარკვეულ სიძნელეებს უქმნის. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, სწავლის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე უცხოური ენების განსხვავებული მიდგომებით შესწავლის ჩვევაა. ასევე აღსანიშნავია, რომ ესპანური

სახელმძღვანელოები ესპანურენოვან გარემოში წარმოებულ სასწავლო პროცესზე გათვლილი და ქართულ რეალობას ნაკლებად ესადაგება.

ზემოხსენებულმა მიზეზებმა გადამაწყვეტინა ესპანური ენის გრამატიკული მასალის ადაპტირება ქართულ ენაზე, შესაბამისი კვლევების შედეგების გათვალისწინებით თემების თანმიმდევრობის შეცვლა და სტუდენტთათვის იმგვარად მიწოდება, რომ მასალის დამოუკიდებლად ათვისებაც შესაძლებელი ყოფილიყო.

ნებისმიერი გრამატიკული სავარჯიშოსა თუ აქტივობის შემუშავებისას მხედველობაში მივიღე ის სირთულეები, რომლებიც სულ უფრო აშკარა ხდება ესპანური ენის ქართულენოვან შემსწავლელეებზე ჩემი ხანგრძლივი დაკვირვების, სტუდენტთა გამოკითხვისა და ესპანელი და ქართველი ექსპერტების კვლევების შედეგად.

ზემოთქმული ეხება იმ ძირითად ტიპურ შეცდომებს, რომლებსაც, მშობლიური თუ სხვა უცხოური ენების გავლენით, ქართველი სტუდენტები ყველაზე ხშირად უშვებენ. სწორედ არსებული კვლევები მეხმარება როგორც ელექტრონული, ისე სააუდიტორიო (სინქრონული) აქტივობები სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მივუსადაგო და, ამგვარად, პრობლემური საკითხები, შეძლებისდაგვარად, გადავწყვიტო.

გამომდინარე იქიდან, რომ ქართული და ესპანური ენები ორ სრულიად განსხვავებულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება, ესპანური ენის სწავლების პირველივე ეტაპზე ვაწყდებით ენის თავისებურებიდან გამომდინარე განსხვავებებს. არის საკითხები, რომლებიც ესპანური ენის ქართულენოვან შემსწავლელებს განსაკუთრებით უჭირთ. მაგალითად, მახვილი, მსაზღვრელის პოსტპოზიცია, ზმნის “ყოფნა” სამი ფორმა, უკუქცევითი ნაცვალსახელი და ა.შ.

ქართველ სტუდენტთა ნაწილისთვის ასევე გაუგებარია ესპანური ენის მდიდარი არტიკლიანი სისტემა, რადგან ქართულ ენას არტიკლი საერთოდ არ გააჩნია და მისი ფუნქცია ზოგჯერ რიცხვით სიტყვებს ან ზედსართავ სახელებს აკისრია. ეს ფაქტი განაპირობებს არტიკლთან მიმართებით ესპანური ენის ქართველი შემსწავლელების დაშვებულ შეცდომებს, ენის ცოდნის დონის განურჩევლად.

ორი ენის განსხვავებას წარმოქმნის ასევე სქესის კატეგორია და სახელის წინდებულის გამოყენებით ბრუნება.<sup>18</sup>

ბუნებრივია, ზემოხსენებული სირთულეების დაძლევაზე ორიენტირებულ ჩემ მიერ შემუშავებულ და შერჩეულ სასწავლო აქტივობებში გათვალისწინებულია თანამედროვე მიდგომა უცხოური ენის სწავლებისადმი – ენობრივი ფორმების კომუნიკაციური მნიშვნელობით სწავლება.

შერეული სწავლების მთავარი უპირატესობა სასწავლო სივრცის გაფართოებაა ახალ სივრცეთა შემატებით, რომლებიც სტუდენტებს მრავალფეროვანი და სანდო მასალიდან არჩევანის გაკეთებისა და ენასთან დამოუკიდებლად დაახლოების საშუალებას აძლევს. ახალი სივრცე იმგვარად უნდა მოვაწყოთ, რომ ენის შემსწავლელს იგი ზედმეტ ტვირთად კი არ დააწვეს, არამედ სიცარიელე შეუვსოს, რომელიც სააუდიტორიო (სინქრონული) მეცადინეობის შემდეგ ესპანური ენის პრაქტიკაში გამოყენებისას ექმნება. მთავარია საინტერესო, მსუბუქი შინაარსის, რელევანტური მასალის შექმნა ან მოძიება და გრამატიკის მაქსიმალურად მარტივი ენით მიწოდება. სტუდენტისთვის, რომელიც ესპანურ ენას მხოლოდ ელემენტარულ დონეზე სწავლობს, ენის ლინგვისტურ თავისებურებებზე საუბარი და გრამატიკული სტრუქტურებისა და ფორმების ღრმა ანალიზი, ვფიქრობ, ნაკლებპროდუქტიულია. იმისათვის, რომ სტუდენტს ენის სტრუქტურის შესახებ სწორი წარმოდგენა შეექმნას და სწავლის დამოუკიდებლად გაგრძელება შეძლოს, მარტივი, ძირითადი გრამატიკული წესები და ხშირი პრაქტიკული ვარჯიშით გრამატიკული ფორმებისა და სტრუქტურების უნებლიე დასწავლა უნდა შევთავაზოთ, რასაც შერეული სწავლებისას ორი ერთმანეთის შემავსებელი სასწავლო სივრცე ხელს უწყობს.

გრამატიკული მასალის დამუშავება ელექტრონულ კურსზე (ძირითადად, ინდუქციური მეთოდით) დამოუკიდებლად ხდება, სინქრონული ლექციები კი გრამატიკული სტრუქტურების იმპლიციტურ და კონტექსტუალიზებულ დასწავლაზეა ორიენტირებული და მშობლიური ან რომელიმე უცხოური ენის გავლენით (უარყოფითი ტრანსფერი) დაშვებული ტიპური შეცდომების შემცირებისკენაა მიმართული.

---

<sup>18</sup> [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Qetevan\\_Khuskivadze.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Qetevan_Khuskivadze.pdf)

გრამატიკული მასალის დამუშავება სააუდიტორიო (სინქრონული) და ასინქრონული აქტივობების მონაცვლეობით ოთხ ეტაპად მიმდინარეობს:

- პირველი ეტაპია სტუდენტთა შემზადება – ენა, რომელიც გვესმის, ვხედავთ და ვკითხულობთ;

გრამატიკული მასალის თავდაპირველი დამუშავებისთვის საუკეთესო ხერხია მისი უნებლიე ათვისება. “input” – ენა, რომელიც გვესმის, ვხედავთ და ვკითხულობთ (Wong, 2005) – გულისხმობს ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური მაგალითების მოშველიებას, რაც ხელს უწყობს მათი კავშირების გააზრებას ესპანურ ენაში.

აღნიშნულ მასალასთან შეხება როგორც სააუდიტორიო მეცადინეობებზე, ისე ელექტრონულ კურსზეა შესაძლებელი. აუდიოვიზუალურ მასალაში, დავალებების ინსტრუქციებსა თუ ავთენტურ ტექსტებში სტუდენტი ხვდება მისთვის ჯერ კიდევ უცნობ გრამატიკულ სტრუქტურებსა და ფორმებს, რომელთა შინაარსიც ნაკლებად ესმის, თუმცა ინტუიციურად ხვდება, რა ინფორმაციის მატარებელია იგი და რა სიტუაციაში გამოიყენება. ეს პროცესი იმპლიციტური, აბსტრაქტული და გაუცნობიერებელი ლინგვისტური სისტემის შექმნას გულისხმობს. თუმცა, იმისათვის, რომ იგი შემეცნებითი პროცესის მიერ გამოყენებულ იქნეს, სტუდენტს მესიჯიდან საერთო აზრის გამოტანა უნდა შეეძლოს (Gass, 1997). ამიტომ უნდა ვეცადოთ, ენობრივი ფორმები მას ცოდნის დონის შესაბამის კონტექსტში შევთავაზოთ.

- მეორე ეტაპი – შეტრიალებული სასწავლო პროცესის გამოყენება გრამატიკული ფორმებისა და სტრუქტურების ინდუქციური მეთოდით აღმოჩენისთვის, ჰიპოთეზები გამოყვანილი ერთი შემთხვევის განზოგადებიდან;

გრამატიკული ფორმებისა და სტრუქტურების აღმოჩენა, ძირითადად, შეტრიალებული სასწავლო პროცესის დროს ხდება. შესაბამისი მასალისა და აქტივობების მეშვეობით სტუდენტებს ცოდნასთან მიახლოებაში ვეხმარებით – ვუბიძგებთ მათ, ამა თუ იმ საკითხზე იფიქრონ და კითხვებზე პასუხი მოითხოვონ. ამ მიზნით, კურსზე ვტვირთავთ ინდუქციურ სავარჯიშოს ახსნა-განმარტების გარეშე. სტუდენტი აკვირდება მასალის საერთო შინაარსს, ცალკეულ ფრაზებს და სათანადო დასკვნებს აკეთებს. ტექსტების გარდა, გრამატიკული სტრუქტურებისა და ფორმების

აღმოსაჩენად ვიყენებთ სიმღერებს, რეკლამას, ნაწყვეტებს ფილმებიდან, სხვადასხვა სასწავლო ვიდეოს და ა.შ.

აუდიტორიაში მუშაობისას, სტუდენტთა კითხვებისა და მოსაზრებების გაცნობის შემდეგ, ხელს ვუწყობთ ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას, რასაც საბოლოოდ ფორმაზე ფოკუსირება და წესის ფორმულირება მოჰყვება.

- მესამე ეტაპი – წესების გაცნობა და გრამატიკული ფორმებისა და სტრუქტურების ექსპლიციტური სწავლება;

კურსზე განთავსებულ გრამატიკულ მასალას ახლავს მაგალითები, თვალსაჩინოება, სავარჯიშოები და ვიდეოგაკვეთილები, რომელთა დამუშავება უმეტესად პედაგოგის გარეშე, დამოუკიდებლად (ხშირად ჯგუფურად) ხდება. სტუდენტებში კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ გრამატიკული მასალის კვლევასა და გარკვეული საკითხების აღმოჩენაში მონაწილეობას იღებენ და, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთსაც ეხმარებიან. ამ დროს განსაკუთრებით აქტიურდება შემეცნების პროცესი, რადგან მასალის ათვისების ერთ-ერთი საუკეთესო ხერხი, სხვისთვის სწავლებაა. ნებისმიერი საკითხის ახსნისას ადამიანი მარტივ, გასაგებ სიტყვებს ეძებს, ეს ძიება უბიძგებს მას ღრმად ჩასწვდეს საკითხის არსს, იფიქროს მაგალითებზე და, შესაბამისად, ცოდნაც გაიღრმავოს. ამ პროცესში დაუფლებული წარმატებულობისა და კმაყოფილების შეგრძნება მის მოტივაციაზეც დადებითად მოქმედებს.

- მეოთხე ეტაპია წესის განმტკიცება – გრამატიკული ფორმებისა და სტრუქტურების გავარჯიშება ნებისმიერ საკომუნიკაციო კონტექსტში.

ლინგვისტური ინფორმაცია, რომელიც სტუდენტს ესმის, იაზრებს და შემდგომში მისი ცოდნის ნაწილი ხდება, ენობრივი კომპეტენციების განმავითარებელ მასალას წარმოადგენს. ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი კი გადამუშავებული მასალის პროდუცირებაა, რადგან, დასწავლილი მასალის გამოყენების გარეშე, ცოდნის მეხსიერებაში გამყარება არ ხერხდება. დაუსრულებელი გრამატიკული სავარჯიშოები ფორმების დამახსოვრებას ხელს უწყობს, მაგრამ რეალური საჭიროების დროს სტუდენტს კომუნიკაციის დამყარებაში ნაკლებად ეხმარება. ამიტომ უნდა ვეცადოთ, ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტივობის დაგეგმვა გავლილი გრამატიკული მასალის გათვალისწინებით მოხდეს.

## გ) ესპანური ენის ქართველ შესწავლელთა დემოტივაციის პრევენცია

მოტივაცია უცხოური ენების შესწავლისას აღიარებულია წარმატებისა და ხარისხის გასაღებად. როგორც მოტივაციას, ისე დემოტივაციას მხოლოდ ერთი კონკრეტული მიზეზი არ იწვევს, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებულ ფაქტორთა ერთობლიობა. (María del Carmen Méndez Santos, 2020, 74-91) შესაბამისად, პედაგოგის ყველაზე დიდი გამოწვევა სტუდენტის დემოტივაციის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მისი პრევენციაა.

ესპანური ენის სტუდენტების შემთხვევაში დემოტივაცია სხვადასხვა მიზეზით შეიძლება წარმოიშვას. მათ შორისაა:

- მცდარი მოლოდინი და სწავლის პროცესისადმი არასერიოზული დამოკიდებულება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის არჩევისას ზოგიერთი სტუდენტი ფიქრობს, რომ ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეძლებს ამ „მარტივი“ ენის შესწავლას. თუმცა, როდესაც გააცნობიერებს, რომ მიზნის მისაღწევად სერიოზული შრომა უწევს, სწავლის სურვილი ეკარგება. პრობლემას წარმოადგენს დასწრების დაბალი მაჩვენებელიც, რასაც ზოგჯერ აქვს ადგილი სწავლის დასაწყისში. მსგავსი ფაქტების პრევენციისთვის სტუდენტებთან საუბარი და გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება თავიდანვეა საჭირო. მათ უნდა ავუხსნათ, რაოდენ მნიშვნელოვანია ყოველი მეცადინეობა, ვუჩვენოთ სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური, მეტაკოგნიტური, ემოციურ-მოტივაციური და რესურსების მოხმარებაზე დაფუძნებული) და ხშირად ვესაუბროთ ესპანური ენის გამოყენების შესაძლო არეალზე. სასურველია, დავინტერესდეთ, ესპანური ენის არჩევისას, რა მიზეზები ამოძრავებდათ და კურსის დასრულების შემდეგ, რა მოლოდინი და გეგმები აქვთ. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სასურველია სტუდენტებს შევთავაზოთ მასში აქტიური მონაწილეობა, რაც შერეული სწავლების პირობებში მეტადაა შესაძლებელი. ასინქრონული აქტივობების ჯგუფურად შესრულებისას მათ ინიციატივებს თუ წავახალისებთ და ვაგრძნობინებთ, რომ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება თავადაც შეუძლიათ, სტუდენტები სწავლის პროცესს მეტი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მიუდგებიან.

- სწავლის პროცესისადმი სავალდებულო და იძულებითი დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის არჩევისას სტუდენტებს სხვადასხვა მიზანი და მოლოდინი აქვთ. ზოგიერთისთვის ეს მიზანი საჭირო დროს საჭირო ფრაზის გამოყენებაა, ზოგისთვის – მოგზაურობისას კომუნიკაცია, ტექსტების თარგმნა და ა.შ. მათი მოლოდინი უმეტესად პოზიტივსა და ინდივიდუალურ ინტერესებს უკავშირდება, თუმცა, კურსის მიმდინარეობისას, როდესაც დავალებები გროვდება, თავდაპირველი ხალისიანი განწყობა იკლებს და მის ადგილს ვალდებულებები იკავებს. უწინდელი განწყობის შესანარჩუნებლად, აუცილებელია სასწავლო მასალა და ნებისმიერი აქტივობა რეალურ საჭიროებებსა და ინტერესებს მივუსადაგოთ და სინქრონულ და ასინქრონულ მეცადინეობებზე გონივრულად გადავანაწილოთ. სტუდენტს უნდა დავანახოთ, რომ ყველაფერს, რასაც სწავლობს, უკვე წარმატებულად იყენებს და რომ შეძენილი ცოდნა ახალი აღმოჩენების გაკეთებაში მომავალშიც დაეხმარება. ამ შემთხვევაში მას ვალდებულებისა და იძულების შეგრძნება გაუქრება და ცოდნის გაღრმავებას თავადვე მოინდომებს.

- უინტერესო სასწავლო მასალა დემოტივაციას ყველაზე ხშირად უინტერესო სასწავლო მასალა იწვევს. მონდომებულ და მოტივირებულ სტუდენტსაც კი გაუუნელდება სწავლის სურვილი, მრავალფეროვანი, აქტუალური და საინტერესო მასალა თუ არ შევთავაზებთ.

მოტივაციის ასამაღლებლად ეფექტიანია შევარჩიოთ აუდიოვიზუალური მასალა (სერიალი, მუსიკალური კლიპი, ფილმები, რეკლამა...) და ადაპტირებული ლიტერატურული ტექსტები, რომლებიც ლინგვისტური და კულტურული თვალსაზრისით მდიდარი სასწავლო რესურსია და ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებასაც ხელს უწყობს. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაეცნონ ესპანური ენის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და სოციალური ფენისათვის დამახასიათებელ ფრაზებს, ჟარგონებსა და იდიომებს. აღნიშნული მასალის შინაარსი ესპანური ყოფის, კულტურული თავისებურებებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას იძლევა.

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები გვარწმუნებს, რომ მსგავსი მასალის დამუშავება მათთვის ენის დაუფლების ეფექტიანი და მამოტივირებელი საშუალებაა და ამ პროცესში ისინი მეცადინეობისა და დროის სვლის შეგრძნებას კარგავენ. პედაგოგის მიზანი მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ მიღწეულად, როდესაც სტუდენტი ამბობს ფრაზას – დრო ისე გავიდა, ვერც კი გავიგე (Egbert, 2003). ამ შეგრძნების ხელშემწყობი ფაქტორებია – საკმარისი დრო, მიღწევადი მიზანი, ინტერესი დავალების მიმართ, მთელი ყურადღების მობილიზება დავალების შესრულებაზე, სიამოვნება დავალების შესრულების პროცესში და კმაყოფილებისა და წარმატების შეგრძნება დავალების შესრულების შემდეგ.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად სააუდიტორიო მეცადინეობებისთვის გამოყოფილი დრო ხშირად არასაკმარისია, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ჯგუფების შემთხვევაში. თუმცა, პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების ნაწილის (დავალებების შესწორება, გრამატიკულ ფორმებსა და სტრუქტურებზე ვარჯიში) ელექტრონულ სასწავლო სივრცეში გადატანით ფიზიკურ ან ვირტუალურ აუდიტორიაში სტუდენტებთან პირისპირ შეხვედრები ბევრად სასიამოვნო და ნაყოფიერი გახდება.

დასასრულ, სასწავლო მასალის როგორც სინქრონულ, ისე ასინქრონულ რეჟიმში დამუშავებისას მიზანშეწონილია მოვისმინოთ სტუდენტთა აზრიც იმაზე, თუ რამდენად მოსწონთ მასალა, ისურვებდნენ თუ არა მის ჩანაცვლებას და თავად რატოების ტექსტს, ფილმს თუ სერიალს დაამატებდნენ. მსგავსი მიდგომა სწავლის პროცესში სტუდენტთა მეტ ჩართულობას იწვევს, რაც დემოტივაციის პრევენციისთვის ერთ-ერთი ქმედითი ფაქტორია.

- სწავლების არასწორი და ერთფეროვანი მეთოდები და ხერხები

სასწავლო მეთოდებისა და ხერხების არჩევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოველი ჯგუფი და თითოეული სტუდენტი უნიკალურია. პედაგოგი უნდა ფლობდეს სწავლების სხვადასხვა მეთოდსა და ხერხს, რათა ისინი სტუდენტთა კონკრეტულ ჯგუფსა და სიტუაციას მიუსადაგოს.

- დავალებების დიდი მოცულობა და სირთულე



დიდი მოცულობის დავალებები, თუნდაც მარტივად შესასრულებელი, მონდომებულ სტუდენტსაც დაუკარგავს მოტივაციას. დავალების მიცემისას უნდა გავითვალისწინოთ ლექციებს შორის შუალედი და სტუდენტთა განწყობა, მათი ინტერესები დასახულ მიზანს შევუსაბამოთ და სამეცადინო დროის კვირის დღეების მიხედვით განაწილებაში დავეხმაროთ. მთავარია, სტუდენტი სისტემატურ მეცადინეობას მივაჩვიოთ, რადგან უცხოური ენის შესწავლისას სისტემატურობა და ენასთან ხშირი შეხება უმნიშვნელოვანესია. ყოველდღიურად ენისთვის 15-20 წუთის დათმობა უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე კვირაში ერთ-ორჯერ საათობით მეცადინეობა. სტუდენტებს, ზოგადად, დატვირთული გრაფიკი აქვთ, მათი მეცადინეობების სიხშირეს პედაგოგი ვერ გააკონტროლებს. ამიტომ საჭიროა, ელექტრონულ კურსზე დავალების ჩაბარების ვადები ისე გავანაწილოთ, რომ სტუდენტს ესპანურ ენასთან შეხება, თუნდაც მცირე ხნით, მაგრამ ყოველდღიურად უწევდეს. მარტივი დავალება, რომელიც დიდ დროს არ მოითხოვს, დემოტივაციის მიზეზი ვერ გახდება.

- თანმიმდევრულობის დარღვევა

სტუდენტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მასალისა და აქტივობების თანმიმდევრულობასაც. მიზანშეწონილი არ არის, პედაგოგი ერთი თემიდან მეორეზე ხშირ-ხშირად ინაცვლებდეს. ეს სტუდენტის დაბნევისა და ყურადღების გაფანტვას იწვევს. ენის შერეული სწავლებისას ელექტრონულ კურსზე განთავსებული, ყოველთვის ხელმისაწვდომი და თანმიმდევრული მასალა ამ პრობლემას თავიდან გვარიდებს.

- შეცდომების გასწორება და დაბალი ქულები

სტუდენტის დემოტივაციის ერთ-ერთი მიზეზი შეცდომებზე ყურადღების ზედმეტად გამახვილებაა. კორდერის (Corder 1967:162 y ss.) აზრით, შეცდომა ინტერენის (შუალედური საფეხური, რომელსაც შემსწავლელი გადის, სანამ სამიზნე ენის ცოდნას მიაღწევს) საფუძველია, შეცდომის დაშვება პოზიტიური ნიშანია იმისა, რომ სწავლის პროცესი მიმდინარეობს. ამიტომ, უნდა გვახსოვდეს, რომ სტუდენტს პირველ რიგში მიღწეული დავუფასოთ, შევაქოთ და შემდეგ მივუთითოთ შეცდომებზე. მუდმივი შენიშვნებით, სტუდენტს საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვის შეპარვისკენ ვუბიძგებთ და ვაფიქრებინებთ, რომ მისთვის ზედმეტად რთულ მასალას შეეჭიდა. ასეთ დროს დიდია იმის ალბათობა, რომ სწავლის გაგრძელების სურვილი განელდეს.

შეცდომებზე ყურადღების გამახვილების მსგავსად, დემოტივაციის კიდევ ერთი მიზეზი დაბალი ქულებია. მუდმივად დაბალი ქულებით შეფასება არაეფექტურია და, მიჩვევის შემთხვევაში, სტუდენტებს სწავლის სურვილის მომატების შანსს ართმევს. სტუდენტს ძალისხმევა უნდა დავუფასოთ, შეცდომის სერიოზულობა გავითვალისწინოთ და კონკრეტული შეცდომის მიზეზები გავარკვიოთ. ქულის დაწერისას პერიოდული წახალისება სასურველია, რადგან ერთხელ მიღწეული წარმატების შემდეგ ადამიანს საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენა უძლიერდება და წინსვლის სურვილი უჩნდება (Dörnyei, Z. 1998). დავალებების ელექტრონული უკუკავშირი სტუდენტს საკუთარ შეცდომებსა და პროგრესზე დაკვირვების საშუალებას აძლევს, პედაგოგს კი სასწავლო პროცესში ხარვეზების აღმოჩენასა და სასწავლო ხერხების ეფექტიანობის დადგენაში ეხმარება.

- არაჰუმანური მიდგომა და ნეგატიური გარემო

სწავლის პროცესი დამაბულობის გარეშე რომ წარიმართოს, აუცილებელია პედაგოგსა და სტუდენტს შორის ბარიერის აღმართვის თავიდან აცილება. დავალების არქონისას სტუდენტს ტყუილის თქმა არ უნდა სჭირდებოდეს და პრობლემებზე პედაგოგთან საუბარი არ უნდა ერიდებოდეს. სტუდენტთა დემოტივაციის შემთხვევაში აუცილებელია შევეცადოთ სწავლის სურვილის დაკარგვის მიზეზების გარკვევას, თანაგრძნობის გამოჩენასა და გამოსავლის მათთან ერთად მოძებნას. აუდიტორიაში მუშაობისას პოზიტიური გარემოს შექმნა და მისი შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია. სტუდენტებთან კონფიდენციალური, მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება და სახალისო სააუდიტორიო (სინქრონული) აქტივობები მათი განწყობისა და მოტივაციის ამაღლებას ხელს უწყობს.

- წერიტი ინტერაქციის ნაკლებობა

დღევანდელ საზოგადოებაში ადამიანებს შორის ინტერაქცია უმეტესად წერიტი ფორმით მიმდინარეობს და, სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ენის შესაბამის ადაპტაციას მოითხოვს. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით წერიტი ინტერაქციის დროს, დაუყოვნებელი უკუკავშირის უზრუნველსაყოფად, ხშირია ენის გამარტივების შემთხვევები – აბრევიატურების ან სიმბოლოების გამოყენება, რომელთა ცოდნაც ენის შემსწავლელთათვის აუცილებელია. აღსანიშნავია ამ დროს გამოყენებული ენის სასაუბრო ენასთან იდენტურობაც, რაც რეალური დიალოგის

წარმოების უნარს მნიშვნელოვნად ავითარებს. ამიტომ სტუდენტებს შორის მუდმივი წერითი ინტერაქციის ხელშეწყობა აუცილებლად მიმაჩნია. იმისათვის, რომ სტუდენტი აღნიშნული აქტივობით დავაინტერესოთ, სასაუბრო თემა მათი ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით უნდა შევაჩიოთ. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წერითი ინტერაქციის დროს აკადემიური ნორმები ნაკლებადაა დაცული და შეცდომებსაც ნაკლები ყურადღება ექცევა, რადგან ამ დროს მთავარია აზრის ბუნებრივად გამოხატვისა და რეალური დიალოგის აგების ხელშეწყობა.

- დემოტივაციის ეპიზოდების უგულვებელყოფა

დემოტივაცია სტუდენტებში სხვადასხვა ეპიზოდში ხდება, ამიტომ აუცილებელია გავარკვიოთ, ყველაზე ხშირად რა დროს შეიმჩნევა სწავლის სურვილის განელება და რა იწვევს მას. ხდება ეს ამა თუ იმ აქტივობის შესრულებისას, წარუმატებელი ლექციის შემდეგ, ჯგუფებთან ურთიერთობისას, თუ მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. ხშირად სტუდენტს ერიდება საკუთარი აზრის საჯაროდ დაფიქსირება, ამიტომ შეგვიძლია მათ მოსაზრებების ელექტრონულ კურსზე კონფიდენციალურად გაზიარება ვთხოვოთ. ეს საშუალება კონკრეტულ შემთხვევებზე დასაკვირვებლად და დემოტივაციის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად უფრო ჰუმანური და შედეგიანია.

**დ) ავტონომიურობისა და ინდივიდუალური სასწავლო სტრატეგიების გამომუშავების ხელშეწყობა სასწავლო პროცესის წარმართვაში სტუდენტთა ინტეგრირებით, მათი მონაწილეობით წყაროების მოძიებასა და ცოდნის აგებაში, მეტაკოგნიტური პროცესებითა და თვითრეგულაციით**

უცხოური ენების სრულყოფილად შესასწავლად განსაზღვრული დრო არ არსებობს. ადამიანი ცოდნას გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად მთელი ცხოვრების მანძილზე იღრმავებს. თუმცა, იმისათვის, რომ ცოდნის გაღრმავებას სწორი მიმართულება ჰქონდეს, საჭიროა, ადამიანს საფუძველი და შესაბამისი უნარ-ჩვევები გააჩნდეს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ სტუდენტებს, რომელთაც ენის შესასწავლად არასაკმარისი დრო აქვთ გამოყოფილი და სწავლის დამოუკიდებლად გაგრძელების სურვილი გააჩნიათ. ამ საფუძვლისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში სწავლების შერეული მოდელი და პედაგოგის მიდგომა მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ხელს უწყობს:

- სწავლის პროცესში სხვადასხვა სასწავლო ხერხისა და სტრატეგიის შემუშავებას; თითოეული სტუდენტი უნიკალურია. ზოგი წერითი სავარჯიშოებით აღწევს მიზანს, ზოგს აუდიოვიზუალური მასალის დამუშავება ურჩევნია, ზოგს კი ინტერაქცია ეხმარება ცოდნის მიღებასა და განმტკიცებაში. ამიტომ პატივი უნდა ვცეთ ყველა სტუდენტის ინდივიდუალურ უნარებსა და სურვილებს და მათ მრავალფეროვანი სასწავლო ხერხები შევთავაზოთ. ამგვარად, სტუდენტი საკუთარ ძალებს მოსინჯავს, ინდივიდუალურ სასწავლო სტრატეგიებს შეიმუშავებს და, მომავალშიც, მასალის დამუშავების სხვადასხვა ფორმიდან დამოუკიდებლად არჩევანის გაკეთებაც ეცოდინება.

- სტუდენტის ჩართვას წყაროების მოძიებასა და ცოდნის აგებაში;

სტუდენტი უნდა მიეჩვიოს დამატებითი წყაროების მოძიებას, მათ დამუშავებასა და გაზიარებას. ეს ჩვევა მას სამომავლოდ გამოადგება, თუკი ცოდნის გაღრმავების გადაწყვეტილებას მიიღებს. ბუნებრივია, მოძიებული მასალის დამუშავება მისი სანდოობის შემოწმების შემდეგ უნდა მოხდეს, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, გაწეული შრომისთვის მაღლიერების გამოხატვა აუცილებელია.

ასევე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოვლისმცოდნე და უშეცდომო პედაგოგი არ არსებობს. არც იმის დაშვების უნდა შეგვრცხვეს, რომ სტუდენტის მიერ მოძიებული ავთენტური მასალა შესაძლოა ჩვენსას სჯობდეს. შეცდომას არ დავუშვებთ, თუ მათ გემოვნებასა და სურვილს გავითვალისწინებთ და მასალის მოძიების პროცესში ჩავრთავთ. ამით მათ დამოუკიდებელ შემსწავლელებად ჩამოყალიბებას ხელს შევუწყობთ.

ამ დროს უკეთესია, სამუშაო ჯგუფურად შესრულდეს, რადგან დრო დაიზოგება და მუშაობის პროცესიც თანამშრომლური და სახალისო გახდება. ჯგუფების დაყოფა, სასურველია, თემატურად მოხდეს. მაგალითად, მუსიკის მოყვარულ სტუდენტებს, უმჯობესი იქნება, სიმღერის ტექსტის მოძიება ვთხოვოთ, სპორტის მოყვარულებს – საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვის, მეცნიერების მოყვარულებს კი რაიმე ინოვაციის შესახებ შეეძლებათ ინფორმაციის მოძიება. მასალის მოძიების პროცესში პედაგოგი მხოლოდ სანდო წყაროს რჩევითა და სტუდენტთათვის

მიმართულების მიცემით უნდა შემოიფარგლოს და მათ დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა მისცეს.

- მეტაკოგნიტურ პროცესებსა და თვითრეგულაციას.

სწავლების პროცესში სტუდენტს საკუთარი ცოდნის დონის გააზრება უნდა ვასწავლოთ. ამისთვის სხვადასხვა ტესტის, თვითშეფასების კითხვარის პერიოდულად გამოყენება და სამომავლო სასწავლო გეგმების დასახვაა საჭირო.

შერეული სწავლებისას, ელექტრონული კურსი სტუდენტის თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის საუკეთესო საშუალებაა. სტუდენტი, რომელიც საკუთარ განვითარებას თვალს ადევნებს, მასალის ნებისმიერ დროს გამეორებისა და აღდგენის საშუალება აქვს და ზუსტად აქვს გააზრებული, სწავლების რომელ საფეხურზეა, დამოუკიდებლად ცოდნის გასაღრმავებლად სამომავლო გეგმებსაც უკეთ დასახავს.

### 3.2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის შერეული სწავლების გამოცდილების აღწერა და დიდაქტიკური ანალიზი

კურსი „ესპანური ენა A1 - A2“ მოიცავს 10 თემას:

I თემა – ¡Hola! გამარჯობა

ანბანი, კითხვის წესი, არსებითი სახელი – სქესი და რიცხვი, არტიკლი, პირის ნაცვალსახელები, წინდებულები და კითხვითი სიტყვები;

II თემა – Voy a presentarme საკუთარი თავის წარდგენა

ზმნები – ყოფნა (სამი სახის „ყოფნა“ ზმნა) და ქონა/ყოლა, რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ზედსართავი სახელი;

III თემა – Familia, cuerpo humano, aspecto físico y carácter ოჯახი, ადამიანის სხეული, გარეგნობა და ხასიათი

წესიერი ზმნების უღლება, ინდივიდუალური წარმოების არაწესიერი ზმნები, ზედსართავი სახელი;

IV თემა – La rutina diaria ყოველდღიური რუტინა

არაწესიერი და უკუქცევითი ზმნები, ახლო მომავალი დრო, ჩვენებითი ნაცვალსახელი;

V თემა – Mi casa ჩემი სახლი

ნამყო სრული დრო, კუთვნილებითი ნაცვალსახელი, შედარება;

VI თემა – Alimentos საკვები

წარსული დასრულებული დრო – წესიერი ზმნების უღლება, ირიბი დამატება, ნაცვალსახელოვანი ზმნები;

VII თემა – La ciudad ქალაქი

წარსული დასრულებული დრო – არაწესიერი ზმნების უღლება, ბრძანებითი კილო, უკუქცევითი ზმნების ბრძანებითი კილო, პირდაპირი დამატება;

VIII თემა – La ropa ტანსაცმელი

წარსული დაუსრულებელი დრო, გერუნდივი – განგრძობითი მოქმედება, პირდაპირი და ირიბი დამატება;

IX თემა – La salud, el tiempo atmosférico, emociones ჯანმრთელობა, ამინდი, ემოციები  
კავშირებითი კილოს აწმყო დრო, ბრძანებითი კილოს უარყოფითი ფორმა;

X თემა – Ocio y viajes თავისუფალი დრო და მოგზაურობა

თხრობითი კილოს მომავალი დრო, მარტივი პირობითი კილო, დროთა შეთანხმება ირიბი თქმის დროს.

თითოეულ თემაში შემავალი სავარჯიშოები, საკომუნიკაციო აქტივობები, ვიდეოლექციები და აუდიოვიზუალური მასალა მოცემული თემატური ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურების საფუძვლიანად ათვისებას, მათ მეხსიერებაში გამყარებასა და პრაქტიკულ გამოყენებას ემსახურება.

სტუდენტებს, სურვილისამებრ, სასწავლო მასალების მოძიებაში, ან მათ ჩანაცვლებაში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება.

სტუდენტებს ასევე ვთავაზობ სასწავლო სერიალებს, ონლაინთამაშებსა და კონკორდანსერს – ესპანური ენის კორპუსს, ავთენტური მაგალითების გასაცნობად.<sup>19</sup>

**ელექტრონულ კურსზე – ესპანური ენა A1-A2 – ხშირად გამოყენებული მოდულები**

გთავაზობთ პროგრამის Moodle მოდულების აღწერას, რომელთაც ზემოთ მოყვანილი გრამატიკული და ლექსიკური მასალის ასათვისებლად და განსამტკიცებლად ყველაზე ხშირად ვიყენებთ. ასევე, გაგაცნობთ ჩემს მოსაზრებებს, თუ როგორ გადავანაწილოთ სასწავლო მასალა სააუდიტორიო მეცადინეობებსა და ელექტრონულ

---

<sup>19</sup> <https://corpus.rae.es/creanet.html>

კურსზე ისე, რომ დროის მაქსიმალურად დაზოგვით, სტუდენტებს ესპანური ენა სილაბუსით განსაზღვრულ დონეზე შევასწავლოთ, მისი პრაქტიკაში გამოყენების გზები ვასწავლოთ და დამოუკიდებლად მუშაობის უნარები განვუვითაროთ.

პროგრამა Moodle მასალის დასამუშავებლად მოდულების მრავალფეროვან არჩევანს გვთავაზობს. მსურს განვიხილო რამდენიმე მათგანი, რომლებიც ესპანური ენის ელექტრონულ კურსზე ხშირადაა გამოყენებული:

- დავალება – სტუდენტს საშუალება აქვს, ატვირთოს მიცემული დავალება და პედაგოგისგან უკუკავშირი მიიღოს. ამ მოდულის საშუალებით ნებისმიერი სახის დავალების ატვირთვაა შესაძლებელი. შემფასებელს შეუძლია თითოეულ წარდგენილ დავალებას კომენტარი (წერილობითი ან ხმოვანი) დაურთოს. შემფასებელს წარდგენილი დავალების გადმოწერა, შეფასება-დამუშავება და კვლავ ატვირთვა შეუძლია, თუმცა კომენტარის ჩაწერა ან რედაქტირება ორიგინალ ტექსტშიცაა შესაძლებელი.

დავალების ატვირთვა ელექტრონულ კურსზე ბევრად კომფორტულია, ვიდრე მისი აუდიტორიაში წაკითხვა და შესწორება, რადგან ამგვარად, თითოეული სტუდენტის კონფიდენციალურობა დაცულია და საკუთარი შეცდომების შესახებ ინფორმაცია პირადად მას მიეწოდება. ამ მეთოდის ნაკლოვანება ისაა, რომ სტუდენტები ერთმანეთის შეცდომებზე ვეღარ სწავლობენ, თუმცა პედაგოგს შეუძლია საერთო შეცდომები, ავტორების ანონიმურობის დაცვით, ჯგუფს გააცნოს და მათი გამოსწორების ხერხები ასწავლოს. დისტანციური (დაშორებით) სწავლების დროს კი, ავტორთა ნებართვით, დავალების ეკრანზე გაზიარება და სტუდენტთათვის ერთმანეთის დავალებების შესწორების თხოვნაა შესაძლებელი.

- ტესტები – ტესტირების მოდული საშუალებას გვაძლევს, ვაწარმოოთ დროში გაწერილი ტესტირება, რომელსაც მრავალფეროვანი ტიპის შეკითხვების გენერირების, შეფასებისა და შედეგების ანალიზის მექანიზმი გააჩნია. ტესტს დროის ლიმიტის, ცდების შეზღუდული რაოდენობის ჩართვის ფუნქცია აქვს და შეფასების მეთოდიც წინასწარაა აღწერილი.

ტესტის შევსება სტუდენტთა უმეტესობას ეხალისება. ამ დროს შეცდომის დაშვებაც სასარგებლოა, რადგან, მრავალჯერადი მცდელობის შემთხვევაში, სწორი პასუხის მიება ყურადღების გამახვილებას იწვევს და ფორმების დამახსოვრებას ხელს უწყობს.

შეკითხვის ტიპები შეიძლება შემდეგი სახის იყოს:

1. მრავალჯერადი არჩევანი;
2. სწორი/მცდარი;
3. დაწყვილება;
4. მოკლე პასუხი;
5. ღია ტესტი;
6. დახურული ტიპის კითხვა მოცემული სავარაუდო პასუხებით და ა.შ.

ტესტების შედგენა დროს მოითხოვს, თუმცა ერთხელ შედგენილი სავარჯიშოები კითხვების ბანკში ინახება და მისი მრავალჯერადად გამოყენება შესაძლებელია.

- ჩათი – ამ მოდულის საშუალებით ვაწარმოებთ ასინქრონულ დისკუსიას. შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩათის შემდეგი სესიის დაწყების თარიღი და დრო, რაც სტუდენტებს კალენდარზე გამოუჩნდებათ. ასევე შესაძლებელია განვსაზღვროთ, ჩათის ისტორიის შენახვა რა პერიოდით გვსურს. ჩათი წერითი ინტერაქციის ხელშესაწყობად იდეალური საშუალებაა.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული კურსის ჩათის გამოყენება ნაკლებად ხდება, რადგან სტუდენტთა უმეტესობა ვირტუალური საუბრებისთვის უკვე ნაცად სოციალურ ქსელებს მიმართავს და ახალ სივრცეში გადასვლას ხელოვნურ ქმედებად მიიჩნევს. ელექტრონული კურსი აკადემიური სივრცეა, შესაბამისად, მისი ჩათიც სტუდენტებს აკადემიური საუბრისთვის განაწყოფს. ამიტომ, თუ სტუდენტებს სურვილი არა აქვთ, კურსის ჩათის გამოყენების დაძალება არ ღირს. შერეული სწავლების პროცესში სასწავლო რესურსს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. კონკრეტული აქტივობის შესასრულებლად აჯობებს სხვა ონლაინ რესურსზე შევაჩეროთ არჩევანი.

- ფორუმი – ამ მოდულის საშუალებით ვირტუალურ გარემოში სადისკუსიო სივრცის შექმნას შევძლებთ. ფორუმი ინფორმაციის გაცვლის მოქნილი



ასინქრონული სისტემაა. ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია გახსნას ახალი სადისკუსიო თემა, გაწევრიანდეს ან ამოერიცხოს ამა თუ იმ ფორუმიდან. ფორუმი კურსის დასაწყისში განთავსდება, რათა სტუდენტის ყურადღების მიღმა არ დარჩეს და ნებისმიერ მათგანში მონაწილეობის სურვილი გამოიწვიოს.

- ბმულები – საჭირო ბმულების გაზიარება Moodle-ის ძალზე სასარგებლო ფუნქციაა და კურსზე მათი ატივრთვა და გრამატიკულ ან ლექსიკურ მასალაზე თან დართვა შეგვიძლია. ბმულების ნაწილის დათვალიერება, ხშირად, დამატებითი, არასავალდებულო აქტივობაა, ზოგი კი მასალის ასათვისებლად აუცილებელი პირობაა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელის დარქმევასთან ერთად, ბმულებს მივუთითოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის მათი გაცნობა.
- ფაილი – ფაილის მეშვეობით ხდება ნებისმიერი სახის დოკუმენტის სტუდენტთათვის გაზიარება<sup>20</sup>

ესპანური ენის კურსზე ეს მოდული, ძირითადად, გრამატიკული მასალის სტუდენტთათვის გაცნობას ემსახურება.

მიუხედავად მოდულების მრავალფეროვანი არჩევანისა, ყველა მათგანის გამოყენება კურსზე აუცილებელი არ არის, განსაკუთრებით სწავლების პირველ ეტაპზე, რათა რესურსების სიმრავლემ სტუდენტთა და თავად პედაგოგის დაბნეულობა არ გამოიწვიოს. ჯობს, შევარჩიოთ რამდენიმე სასარგებლო და ყველაზე ეფექტიანი მოდული, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ, თუმცა დანარჩენი მოდულების ფუნქციონირებაზეც უნდა გვქონეს ინფორმაცია, რათა, მათი გამოყენების სურვილის შემთხვევაში, კურსის რესურსით სარგებლობა შევძლოთ.

უცხოური ენის შესწავლისას, პირველ შთაბეჭდილებას და პირველ ნაბიჯებს სტუდენტის მოტივაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უინტერესო მასალითა და მონოტონური ლექციებით, მონდომებულ და ბეჯით სტუდენტსაც კი შეიძლება დავუკარგოთ სწავლის ხალისი, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, როდესაც დიდი მოცულობის თეორიული მასალაა ერთდროულად ასათვისებელი. ახალი ენის

---

<sup>20</sup> <https://e-learning.tsu.ge/pluginfile.php/2/course/section/42/e-learning-%20Instructions%20for%20teachers%20-%20Copy%20%281%29.pdf>

სტრუქტურასთან შეჩვევა, ლექსიკური მარაგის დაგროვება და გრამატიკული ფორმების დამახსოვრება მარტივი ნამდვილად არ არის. ამიტომ, მასალის შერჩევასა და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, იგი მრავალფეროვანი, სახალისო, საინტერესო და, ამავდროულად, ხარისხიანი იყოს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უცხოური ენის შესწავლის საწყის ეტაპზე უნდა გავითვალისწინოთ, მასალის სიმარტივეა. ახალი მასალა სტუდენტს მაქსიმალურად მარტივი ენით უნდა მიეწოდოს, რათა მას დავალების ადვილად დაძლევადობის განცდა გაუჩნდეს. ეს განცდა სტუდენტში საკუთარი მიღწევებით კმაყოფილებას გამოიწვევს და მის მოტივაციასა და სწავლის შედეგზე დადებითად იმოქმედებს.

ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი – სასწავლო მასალის დროში სწორად გადანაწილება. უცხოური ენის შესასწავლად, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, სისტემატური მეცადინეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს. ენასთან ყოველდღიური შეხება ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გვაახლოებს მასთან, ვეჩვევით ენის სტრუქტურას, სწორ გამოთქმას, ვიმდიდრებთ ლექსიკურ მარაგს და გავლილ მასალასაც განვამტკიცებთ. სწორედ ამ მიზნით, სააუდიტორიო თუ კურსზე არსებული დავალებები ისე უნდა გავანაწილოთ, რომ სტუდენტს ენასთან ხშირი შეხება უწევდეს.

აქვე მსურს აღვნიშნო, რომ სწავლების პროცესის „დაშორებით“ რეჟიმში გადატანის გამო, სააუდიტორიო აქტივობების ნაწილის მოდიფიცირება გახდა საჭირო. აუდიტორიაში გადაადგილება და ჯგუფური ფიზიკური აქტივობები სასწავლო პლატფორმის სხვადასხვა ფუნქციამ ჩაანაცვლა, თუმცა სინქრონულ მეცადინეობებს შერეული სწავლების მთავარ პრონციპზე არ უმოქმედია – პედაგოგისა და სტუდენტების პირისპირ სამუშაო დრო, ძირითადად, ინტერაქციასა და საკომუნიკაციო აქტივობებს ეთმობოდა, თეორიული მასალის დამოუკიდებლად გაცნობა და დამუშავება, სავარჯიშოების შესრულება, დავალებების შეფასება, აუდიოვიზუალური მასალის პირველადი დამუშავება, წერითი ინტერაქცია და სხვა მსგავსი აქტივობები ასინქრონულად, ელექტრონული კურსის მეშვეობით ხორციელდებოდა.

## I თემა

მასალა – ანბანი, კითხვის წესი, არსებითი სახელი - სქესი და რიცხვი, არტიკლი, პირის ნაცვალსახელი, წინდებულები და კითხვითი სიტყვები.

- ანბანი

ესპანური ენის ელექტრონული კურსი იწყება ანბანით (ასოთა სახელწოდებებით), კითხვის წესებით, მარტივი სამეტყველო ლექსიკით, რომელიც ნელ-ნელა რთულდება და მდიდრდება. თითოეული საკითხის ამომწურავად და საფუძვლიანად დასამუშავებლად, თეორიულ მასალას ონლაინ სავარჯიშოები და აუდიო-ვიდეო და ვიზუალური მასალა ახლავს, რომელიც პერიოდულად ახლდება და აქტუალობის მიხედვით ჩანაცვლებას ექვემდებარება.

ანბანის დამუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დიგრაფებს (წერილობითი ნიშანი, რომელიც ორი ასოთი იწერება და ერთ ბგერას შეესაბამება) ექცევა.

### ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)

ელექტრონული კურსის პირველ თემაში ატვირთულია სასწავლო მასალა, რომელიც ხელს უწყობს ასოთა სახელწოდებების დასწავლას. ამ თემაზე სხვადასხვა სასწავლო პლატფორმა აუდიო-ვიდეო და ვიზუალური მასალის მრავალფეროვან რესურსს გვთავაზობს.

მოდულის „დავალება“ საშუალებით, ვტვირთავთ ფაილს, რომელშიც ლექსიკური ერთეულებია მოცემული. სტუდენტები მათ ანბანის მიხედვით აჯგუფებენ .

უმჯობესია, ანბანზე სავარჯიშოდ შეთავაზებული ლექსიკური ერთეულები ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინებით შეირჩეს – ყოველდღიური კომუნიკაციისთვის საჭირო ფრაზები, ჟარგონები, სახალისო გამონათქვამები, პოპულარული ადამიანების სახელები და გვარები და ა.შ.

სწავლების საწყის ეტაპზე დაუშვებელია რთული ან არარელევანტური ლექსიკის სტუდენტთათვის შეთავაზება. სასურველია, თითოეული მაგალითი ენის შემსწავლელში პოზიტიურ ასოციაციას იწვევდეს.

### აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)

ასოთა სახელწოდებების განსამტკიცებლად სტუდენტთა სახელებს ვიყენებთ, რა დროსაც ამ სახელის მატარებელს ფეხზე წამოდგომას ვთხოვთ („დამორებით“ რეჟიმში – ხელის აწევას). სახალისო და ეფექტიანი აქტივობაა ასევე სტუდენტთა ორ ჯგუფად გაყოფა და სიტყვების ასოთა სახელწოდებების მიხედვით გამოცნობა.

მსგავსი სავარჯიშოები პერიოდულად უნდა მეორდებოდეს. ამისთვის დიდი დროის გამოყოფა საჭირო არ არის, მთავარია, ვარჯიში სისტემატური იყოს და აქტივობებს თამაშის სახე ჰქონდეს გამარჯვებულისთვის პრიზით, დამარცხებულისთვის კი სახალისო სასჯელით.

- კითხვის წესი, არსებითი სახელი, არტიკლი, პირის ნაცვალსახელები, წინდებულები და კითხვითი სიტყვები, ყოველდღიური კომუნიკაციისთვის საჭირო ფრაზები

### ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)

კურსზე არსებულ ფაილებში სტუდენტებს საშუალება აქვთ დამოუკიდებლად გაეცნონ ინფორმაციას კითხვის წესების, არსებითი სახელის, არტიკლის, პირის ნაცვალსახელების, წინდებულებისა და კითხვითი სიტყვების შესახებ. გრამატიკულ მასალას თან ახლავს სხვადასხვა ტესტი და ონლაინ სავარჯიშოების ბმულები, რომელთა პასუხების ხილვა ავტომატურადაა შესაძლებელი. მოდულის „ლექსიკონის“ მეშვეობით სტუდენტებს ყოველდღიურ, ხშირად გამოყენებად ლექსიკას ვთავაზობთ, რომლის განმტკიცებაც სხვადასხვა ვიდეომასალით ხდება. გაცნობისას გამოყენებული ფრაზების დასამახსოვრებლად, შესაბამისი შინაარსის მოკლე ვიდეოების ყურება და ანალიზი დადებით შედეგს იძლევა. ესპანურენოვანი ვიდეოები რეალური სიტუაციების ჩვენებისას ესპანური კულტურის შესახებ არავერბალურ ინფორმაციასაც გვაწვდის – ჟესტები, სოციალური ყოფა, გარემო და ა.შ.

პირველ თემაში შემავალი ლექსიკური ერთეულების დასწავლა სტუდენტებს კურსზე არსებული აუდიომასალითაც შეუძლიათ. სინქრონული მეცადინეობების დროს მოსასმენი აქტივობებისთვის ხშირად საკმარისი დრო არ რჩება, ამიტომ მათი დამუშავება უმჯობესია დამოუკიდებლად, ელექტრონულ კურსზე მოხდეს.

## აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)

აუდიტორიაში მასალის განსამტკიცებლად უპირატესობას ჯგუფურ სამუშაოს ვანიჭებთ (შეჯიბრი, სიმღერა ან სხვა სახალისო აქტივობა), რათა დასწავლა სასიამოვნო გარემოში მოხდეს. თითოეული სტუდენტის დავალების წაკითხვის ნაცვლად (რაც ლექციას მონოტონურსა და მოსაწყენს ხდის), მხოლოდ ძირითად, საერთო შეცდომებზე ვამახვილებთ ყურადღებას და სტუდენტებს მათი გამოსწორების ხერხებს ვასწავლით.

სინქრონული მეცადინეობის დროს განსაკუთრებულ აქცენტს არტიკლსა და მის სემანტიკურ ანალიზზე ვაკეთებთ. ამ დროს აუცილებელია მოვერიდოთ ფორმალური ტერმინების გამოყენებას და სტუდენტებს არტიკლის საჭიროება და მისი გამოყენების კონკრეტული მაგალითები ვუჩვენოთ. სქესსა და რიცხვში ცვალებადობის გამო, ესპანური არტიკლი ორმაგად რთულად აღსაქმელია ქართულენოვანი შემსწავლელისთვის, რადგან მას მშობლიურ ენაში არა აქვს ის წინარე ცოდნა, რომელიც აღნიშნული საკითხის მეორე ენაში პოზიტიურ ტრანსფერს ხელს შეუწყობს.

არტიკლზე ვარჯიში აუდიტორიაში შემდეგნაირად ხდება – სტუდენტებს ვთხოვთ ირგვლივ მიმოიხედონ (ან წარმოიდგინონ) და დაასახელონ საგნები ან ადამიანები, რომლებსაც პირველად ხედავენ. ამის შემდეგ ისინი უკვე ნაცნობ, მათთვის რაიმე ნიშნით გამორჩეულ საგნებს ან ადამიანებს ჩამოთვლიან, რომლებსაც მოგვიანებით შესაბამის განუსაზღვრელ ან განსაზღვრულ არტიკლს უკავშირებენ. მაგალითად, მაგიდა (una), სკამები (unas), ყვავილები ეზოში (unas), წიგნი თაროზე (un), ჩვენი ესპანური ენის სახელმძღვანელო (el), ჯგუფელები (los), მასწავლებელი (la).

ლექსიკის ასათვისებლად, ძირითადად, როლურ თამაშებს ვიყენებთ – ჯგუფელის გაცნობა სასწავლო დაწესებულებაში, ახალი მეზობლის გაცნობა, მოწონებული ბიჭის ან გოგონას გაცნობა, ცნობილ ადამიანთან გამოლაპარაკება და ა.შ. თამაშების დროს სტუდენტებს არ ვზღუდავთ და არ მივუთითებთ, რომ მხოლოდ ახლად ნასწავლი ლექსიკა გამოიყენონ. იმ შემთხვევაში, თუ დიალოგის აგებისას ახალი, რთული ფრაზის ჩართვას მოისურვებენ, მათ აუცილებლად ვეხმარებით. მსგავს სიტუაციაში გამოყენებული ლექსიკური ერთეულების დამახსოვრება მარტივია, რადგან მათი დასწავლა რეალური საჭიროების დროს ხდება. სწავლის პროცესის

ეფექტიანობისთვის გამოცდილებითა და სოციალური ინტერაქციით ცოდნის მიღება საუკეთესოა.

- **რაოდენობითი რიცხვითი სახელი**

**ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

რიცხვითი სახელის ათვისება ეტაპობრივად უნდა მოხდეს, რათა დიდი მოცულობის მასალის დასწავლამ სტუდენტის მოტივაციაზე უარყოფითად არ იმოქმედოს. კურსზე ატვირთულია რიცხვით სახელთან დაკავშირებული გამოსახულებები, ვიდეო- და აუდიომასალა, რათა მისი მხოლოდ წერილობითი სახით აღქმა არ მოხდეს და მოსმენისას კონკრეტული ციფრის ვიზუალიზაცია იყოს შესაძლებელი.

**აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

რიცხვითი სახელის აუდიტორიაში დამუშავებისას, უპირატესობა მის პრაქტიკულ გამოყენებას ენიჭება – შეკრება-გამოკლება, ტელეფონის ნომრების დასახელება და ა.შ. კურსის თითოეული თემის დასამუშავებლად დაახლოებით ორი კვირაა გამოყოფილი, ამიტომ მასალა შემდეგნაირად გადანაწილდება – თავდაპირველად სტუდენტებს ვაწვდით დავალებებს ანბანის, კითხვის წესისა და ყოველდღიური ფრაზების ასათვისებლად. შემდეგ ვამატებთ არსებითი სახელის სქესსა და რიცხვს, არტიკლს, პირის ნაცვალსახელებს, წინდებულებს, კითხვით სიტყვებსა და მარტივი დიალოგის ასაგებად საჭირო ლექსიკურ მასალას.

ზემოხსენებული მასალის ცოდნა აუცილებელია სრულყოფილი წინადადებების შესადგენად, ამიტომ მისი დამუშავება ნელ-ნელა, ზეპირი და წერითი პრაქტიკული სავარჯიშოებითა და ჯგუფური ინტერაქტიული დავალებებით ხდება.

- **კულტურული ნაწილი**

**ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

თითქმის ყველა სახელმძღვანელოში პირველი თავის კულტურული ნაწილი დაკავშირებულია ქვეყნის რუკასთან, მის რეგიონებთან და ქალაქებთან, რაც უდავოდ საჭირო და საინტერესო მასალაა, თუმცა უმჯობესი იქნება, თუ კურსზე სტუდენტებს შედარებით სახალისო და მსუბუქ მასალას შევთავაზებთ – სტუდენტებს ვასმენინებთ,

როგორ ჟღერს ესპანური ენა ესპანეთის სამეფოს სხვადასხვა რეგიონში და დანარჩენ ესპანურენოვან ქვეყნებში.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

აუდიტორიაში სტუდენტებს ესპანურენოვანი ადამიანების საუბრის მიზანმიმართულ და ჩვენი ქვეყნის დიალექტებთან პარალელის გავლენას ვთხოვთ. მსგავსი აქტივობები აუდიტორიას აცოცხლებს და სტუდენტებს ერთმანეთის გაცნობისა და დამეგობრების მეტ შესაძლებლობას აძლევს.

## **II თემა**

**მასალა – ზმნის „ყოფნა“ სამი ფორმა, ზმნა ქონა-ყოლა, რაოდენობითი რიცხვითი სახელი, კვირის დღეები, ეროვნებისა და პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები, საკუთარი თავისა და მეგობრის წარდგენა.**

### **• ზმნის „ყოფნა“ სამი ფორმა**

ესპანური ენის ერთ-ერთ სირთულედ ზმნის „ყოფნა“ სამი განსხვავებული ფორმა მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს გამოყენების მკაფიოდ განსაზღვრული წესები გააჩნია, სტუდენტთათვის ეს საკითხი მაინც დამაბნეველია. სხვადასხვა სახელმძღვანელოში ზმნის „ყოფნა“ ფორმების ახსნა რიგრიგობით გვხვდება, რის გამოც იმ ფორმის უკეთ დასწავლა ხდება, რომელსაც სტუდენტს პირველად ვაწვდით. ამიტომ მართებულად ზმნის სამივე ფორმის ერთდროულად განხილვა მიმაჩნია.

აღნიშნული ზმნის გასააზრებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა შემზადებას. სამივე ფორმა საჭირო კონტექსტში ხშირად უნდა ვიმეოროთ, რათა თითოეული მათგანის კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირება სტუდენტმა დაფიქრების გარეშე, გაუცნობიერებლად შეძლოს.

### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

აუცილებელია, რომ ფორმების დასამახსოვრებელი მექანიკური სავარჯიშოების უმეტესი ნაწილი, დროის დაზოგვის მიზნით, სტუდენტებმა დამოუკიდებლად

შეასრულონ. თუმცა, მნიშვნელოვანია, მექანიკურ სავარჯიშოებს ისეთი აქტივობები სჭარბობდეს, რომლებიც „ყოფნა“ ზმნის სამი ფორმის კონტრასტს დაანახებს სტუდენტებს. ამისათვის მათ როგორც ონლაინსავარჯიშოების ბმულებს, ასევე ჩემ მიერ შედგენილ სავარჯიშოებს ვთავაზობ. მნიშვნელოვანია თავად სტუდენტთა მიერ შედგენილი წინადადებებიც, რადგან ამ დროს ისინი დავალების შესრულებას მიზნობრივ მასალაზე დაფიქრებისა და გაანალიზების შემდეგ ცდილობენ. ასევე საინტერესო აქტივობაა ტექსტის კორექტირება (სწავლების საწყისი დონის გათვალისწინებით, საუბარია მარტივ წინადადებებზე), სადაც სამივე „ყოფნა“ ზმნა შეცდომითაა გამოყენებული.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

როგორც უკვე აღვნიშნე, აუცილებლად მიმაჩნია, რომ სტუდენტებს „ყოფნა“ ზმნის სამივე ფორმა ერთდროულად შევთავაზოთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფორმა – haber, რომელიც სახელმძღვანელოებში ცალკეა განხილული და, ჩემი დაკვირვებით, მისი სწორად გამოყენება იშვიათად ხდება. აუდიტორიაში ამ საკითხზე სამუშაოდ ჯგუფურ აქტივობებს ვანიჭებ უპირატესობას. შერეული სწავლების წყალობით, წესების გაცნობა და ფორმების დასწავლა წინასწარ, დამოუკიდებლად ხდება, რაც საშუალებას მაძლევს სააუდიტორიო დრო ნაწილობრივ ათვისებულ მასალაზე ვარჯიშს დავუთმო. მაგალითად, თვალსაჩინო ადგილას ვათავსებ საგანს და სტუდენტებს მასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო შეკითხვის დასმას ვთხოვ – რა არის ეს? როგორია? რისგანაა? ვისია? სადაა? რა მდგომარეობაშია? რამდენია? არის იგივე საგანი მეორე ოთახში? შემდეგი ეტაპია შეკითხვების კლასიფიკაცია და მათი სამ ჯგუფად დაყოფა – პირველ ჯგუფში ვაერთიანებთ შეკითხვებს, რომლებიც უძრაობასთან, მუდმივობასთანაა დაკავშირებული, მეორე ჯგუფში ცვალებადობასთან, მოძრაობასთან, ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ შეკითხვებს ვწერთ, მესამე ჯგუფში კი შედის კითხვები, რომლებიც ყოფნა-არყოფნას, არსებობას გამოხატავს. აქტივობის ბოლოს შეკითხვების თითოეულ ჯგუფს შესაბამის „ყოფნა“ ზმნას მივაკუთვნებთ. აღწერილი აქტივობა ეფექტიანია და სტუდენტს ზმნის „ყოფნა“ გამოყენებისას მისთვის შესაბამისი კითხვის დასმისა და მის შინაარსზე დაკვირვებისკენ უბიძგებს.



ზმნის „ყოფნა“ ფორმების დამუშავება საჭიროა მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში, რათა მასზე სისტემატურმა დაკვირვებამ მასალის ავტომატიზება მოახდინოს. აუდიტორიაში მუშაობისას ასევე სასარგებლოა შესაბამისი ნახატებისა და სქემების გამოყენება, მშობლიურ ენაზე ზმნის სხვადასხვა კონტექსტში ხსენება და მისი ესპანური ეკვივალენტის დასახელება, მაგალითების ანალიზი, შეჯიბრი, სასწავლო სახალისო თამაშები და ა.შ.

- **რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ზმნა ქონა-ყოლა**

#### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

რიცხვით სახელს ეტაპობრივად ვამუშავებთ, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, მასალის წინსწრებით სწავლა, ნებისმიერს შეუძლია.

უცხოურ ენას სხვადასხვა უნარისა და მოტივაციის მქონე ადამიანები შეისწავლიან. ამიტომ უნდა ვეცადოთ, განსაკუთრებულად მოტივირებულ სტუდენტებს, მუშაობის ნელი ტემპის გამო, სწავლის სურვილი არ გაუნელდეთ.

ზმნა „ქონა-ყოლა“ სხვადასხვა ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის შემადგენელი ნაწილია. ელექტრონულ კურსზე შესაბამისი თეორიული მასალა ხელმისაწვდომია.

#### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

ზმნის „ქონა-ყოლა“ დამუშავებისას ის აქტივობა, რომელშიც მთელი ჯგუფის ჩართულობაა შესაძლებელი, ჯობს აუდიტორიაში განხორციელდეს – კითხვა-პასუხი, წინადადებების შედგენა, ფრაზების შესაბამისი გამოსახულებების დაფაზე დახატვა და ა.შ. ეფექტიანობით გამოირჩევა ჯგუფური თამაშები, რა დროსაც ერთი ჯგუფის წევრები სხვადასხვა ემოციას მიმიკით გამოხატავენ, მეორე ჯგუფმა კი ემოციის გამოცნობა და ზმნის „ქონა-ყოლა“ გამოყენებით შესაბამისი ფრაზის დასახელება უნდა შეძლოს.

- **კვირის დღეები, ეროვნებისა და პროფესიის აღმნიშვნელი ლექსიკა, წარდგენა**

#### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

კურსზე არსებული კვირის დღეების, ეროვნებისა და პროფესიის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები და მასთან დაკავშირებული ონლაინ სავარჯიშოები მასალის

წინასწარ დამუშავების საშუალებას იძლევა, რაც სააუდიტორიო მეცადინეობებისთვის მომზადებას ხელს უწყობს.

მეორე თემაში მოცემული ლექსიკური მასალა სხვადასხვა შინაარსის წინადადებების შედგენისა და პიროვნების წარდგენის შესაძლებლობას იძლევა. ელექტრონულ კურსზე ატვირთულია რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ საუბრობენ ადამიანები საკუთარ თავზე. ამ ვიდეოების გაცნობის შემდეგ, სტუდენტები წერენ მნიშვნელოვან ინფორმაციას საკუთარ თავზე და პედაგოგის უკუკავშირსაც ელექტრონულად იღებენ. პრეზენტაციის გაკეთება როგორც წერილობით, ასევე ვიდეო-ან აუდიომასალის სახითაა შესაძლებელი.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

ეროვნების აღმნიშვნელ სიტყვებზე მუშაობას აუდიტორიაში ვიქტორინის სახე აქვს – ქვეყნების მიხედვით ეროვნებების დასახელება, ცნობილი ადამიანების წარმომავლობის აღნიშვნა, ღირსშესანიშნაობების მიხედვით ქვეყნების გამოცნობა ...

პროფესიების აღმნიშვნელი ლექსიკის დამუშავებისას სტუდენტებს სხვადასხვა საქმიანობის შეძლებისდაგვარად განსახიერებას, შესაბამის პროფესიასთან ასოცირებული ცნობილი ადამიანების დასახელებას ან პროფესიების სხვადასხვა ნიშნის (პრაქტიკულობის, შრომატევადობის, პოპულარობის ...) მიხედვით დაყოფას ვთხოვთ.

რაც შეეხება საკუთარი თავის პრეზენტაციას, ელექტრონული უკუკავშირის შემდეგ, სტუდენტები ჯგუფელებს წარუდგენენ თავს. პრეზენტაცია მეტად საინტერესო იქნება, თუ სტუდენტებს მათი საყვარელი ცნობილი ადამიანის ფოტოს ჩვენებასა და მის სხვებისთვის წარდგენას დავავალებთ. ამ დროს ჯგუფი აქტიურდება, ძლიერდება აზრის გამოხატვის სურვილი, რა დროსაც მათ უკვე ათვისებული ფრაზების გამოყენების შესაძლებლობა ეძლევათ.

- **კულტურული ნაწილი**

ეროვნებისა და პროფესიის აღმნიშვნელი ლექსიკის დამუშავებისას, სტუდენტებს სხვადასხვა პროფესიის მქონე ესპანურენოვან ცნობილ ადამიანებს – ფეხბურთელებს, მსახიობებს, მომღერლებს, მწერლებს ვაცნობთ. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ამ ადამიანების შერჩევაში სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. წარდგენა რომ სახალისო

გამოვიდეს, ისინი თავს რომელიმე ცნობილ პიროვნებად გვაცნობენ და პრეზენტაციას პირველ პირში აკეთებენ.

### III თემა

**მასალა – წესიერი ზმნების უღლება, ინდივიდუალური წარმოების არაწესიერი ზმნები, ზედსართავი სახელი, საათი, ლექსიკური მასალა – სასწავლო გარემო, ოჯახი, ადამიანის სხეული, გარეგნობა და ხასიათი**

მე-3 თემაში არსებული გრამატიკული მასალის – წესიერი ზმნების უღლება – დამუშავება საკმაოდ დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა შეგვიძლია ამ პროცესის გამარტივებასა და პოზიტიურ აქტივობებად გარდაქმნას ხელი შევუწყოთ, როგორც ელექტრონული კურსის დავალებებით, ასევე, სააუდიტორიო (სინქრონული) აქტივობებით. მასალის გაცნობა, ესპანური ენის სწავლების პირველივე დღიდან იწყება, როდესაც ყოველდღიურ ფრაზებს ვაცნობთ სტუდენტებს. ამ ფრაზების მეშვეობით ზმნების სხვადასხვა პირის გაუცნობიერებელი, უნებლიე დასწავლა ხდება.

- **წესიერი ზმნების უღლება**

#### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

მესამე თემაში პირველად ვიყენებთ შეტრიალებულ სწავლებას გრამატიკული მასალის ინდუქციური მეთოდით გასაცნობად. კურსზე ატვირთულია დიალოგი, რომელშიც ზმნის ფორმები გამოუქებულია. სტუდენტებს ვთხოვთ, ზმნები დაბოლოებისა და პირის ნაცვალსახელების მიხედვით დააჯგუფონ და სათანადო დასკვნები გააკეთონ. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვაჩენთ კურსზე თეორიულ მასალასა და ონლაინ სავარჯიშოებს.

#### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

აუდიტორიაში წესიერი ზმნების უღლებაზე სავარჯიშოდ, სტუდენტებს ჯგუფურ აქტივობებს ვთავაზობთ, რა დროსაც მთავარი დინამიკა, პოზიტიური განწყობა და მთელი ჯგუფის ჩართულობაა.

აქტივობების მაგალითები:

ა) სტუდენტებს ვყოფთ 3-კაციან ჯგუფებად და თითოეულ წევრს ზმნის რომელიმე პირში (მხოლოდით და მრავლობით რიცხვში) უღლებას ვთხოვთ. უღლების ტემპი ნელ-ნელა ჩქარდება;

ბ) კითხვა-პასუხი;

გ) სტუდენტთათვის ზმნის სხვადასხვა პირის მიკუთვნება და უღლებისას წამოდგომის ან ხელის აწევის თხოვნა (bailamos, cerráis, hablan, descansamos);

დ) სტუდენტი საუბრობს საკუთარ თავზე, დანარჩენები მის მონაყოლს მე-3 პირში მოკლედ გადმოსცემენ.

არ უნდა დაგვავიწყდეს წინადადებების შედგენაც, როგორც წერიითი დავალების სახით, ასევე აუდიტორიაში, სპონტანურად. ბუნებრივია, წინადადებების შედგენისას ნაცნობ ლექსიკურ მასალას ვანიჭებთ უპირატესობას, თუმცა სტუდენტებს, სურვილის შემთხვევაში, ლექსიკონით სარგებლობაც შეუძლიათ.

რაც შეეხება ინდივიდუალური წარმოების არაწესიერ ზმნებს, მათი სტუდენტთათვის მიწოდება ნელ-ნელა, სირთულისა და ფუნქციურობის მიხედვით ხდება.

- **ზედსართავი სახელი**

ქართული და ინგლისური ენებისგან განსხვავებით, ესპანურ ენაში არსებითი და ზედსართავი სახელების ურთიერთკავშირი მათი სქესისა და რიცხვის თანხვედრით გამოიხატება. ქართულენოვან შემსწავლელთათვის განსაკუთრებულ სირთულეს ზედსართავი სახელის პოსტპოზიცია წარმოადგენს, ვინაიდან ქართულ და ინგლისურ ენებში მსაზღვრელები უსწრებენ მეთაურ სახელს. შესაბამისად, ინტერფერენციის შემთხვევები ხშირად გვხვდება.

პირადი პედაგოგიური გამოცდილება, სტუდენტთა შეცდომებისა და ქართული და ესპანური ენების კონტრასტული ანალიზის შესახებ კვლევები სასწავლო აქტივობების დაგეგმვაში მეხმარება. პირველი ენის სტრუქტურების მეორე ენაში არასწორად გამოყენების პრევენციისთვის შემდეგ აქტივობებს მივმართავ:

ა) წინადადების წევრთა განსხვავებულ დისტრიბუციაზე ფოკუსირებისთვის ეფექტიანია ერთმანეთის (ცნობილი ადამიანების, საგნების) აღწერა მშობლიურ ენაზე, თუმცა ესპანური წყობით;

ბ) სტუდენტთა კარნახით არსებითი და ზედსართავი სახელების დაფის სხვადასხვა მხარეს დაწერა და მათი ერთმანეთთან შინაარსობლივად დაკავშირება სქესსა და რიცხვში შეთანხმებით;

გ) იგივე აქტივობა ზეპირად – სტუდენტთა ერთ ჯგუფს ევალება არსებითი სახელის წარმოთქმა, მეორე მას შესაბამისი შინაარსის, სქესისა და რიცხვის ზედსართავს უმატებს;

დ) შეცდომების გასწორება როგორც სააუდიტორიო (სინქრონული), ისე ასინქრონული მეცადინეობებისას, ელექტრონულ კურსზე.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ საკითხზე ყურადღების გამახვილება და ვარჯიში სწავლების დასაწყისშია საჭირო. მოგვიანებით, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსისა და შესაბამისი საკომუნიკაციო კონტექსტის წყალობით, ზედსართავი სახელის და, ზოგადად, მსაზღვრელის პოსტპოზიცია ბუნებრივ მოვლენად აღიქმება და შეცდომებიც თანდათანობით მცირდება.

- **ლექსიკური მასალა – სასწავლო გარემო**

მე-3 თემის ლექსიკური მასალის დამოუკიდებლად გაცნობისას, სტუდენტებს იმ გარემოსა და ადამიანების აღწერის საშუალება აქვთ, რომლებთანაც ყველაზე ხშირად უწევთ ურთიერთობა. როდესაც ენის შეცნობა მათთვის ნაცნობი გარემოს ესპანურ ენაზე აღქმით ხდება, სწავლის სურვილი და მოტივაცია იმატებს. საჭირო არ არის სტუდენტები სიტყვების გრძელი სიებით დავტვირთოთ, თუმცა ფაილებში მოცემული თემატური ლექსიკური ერთეულების რაოდენობა შეზღუდული არ უნდა იყოს. ჯგუფში ყოველთვის არიან სტუდენტები, რომლებიც ლექსიკურ მასალას მარტივად ითვისებენ, ან მეტი ცოდნის მიღების სურვილი აქვთ. მთავარია, სტუდენტებს ავუხსნათ, რომ თავად წყვეტენ, მოცემული მასალიდან საკომუნიკაციო აქტივობებისთვის, რომელი სიტყვა თუ ფრაზა აირჩიონ. შეგვიძლია დავუსახელოთ კონკრეტული რაოდენობაც იმ ლექსიკური ერთეულებისა, რომელთა შესწავლა და

სავარჯიშოებში გამოყენება სწავლების ამ ეტაპზეა მიზანშეწონილი. მსგავსი მიდგომა მეტ ინტერესს აჩენს სტუდენტებში. ისინი ძალაუნებურად ეცნობიან შეთავაზებულ მასალას და მას, მომავალში გამოყენების შესაძლებლობის მიხედვით, ახარისხებენ.

- **ლექსიკური მასალა – ოჯახი, სხეულის ნაწილები, ადამიანის გარეგნობა და ხასიათი**

### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

ელექტრონულ კურსზე, სადაც მულტიმედიის გამოყენების მეტი საშუალება გვაქვს, სტუდენტებს შესაბამისი თემატიკის აუდიოვიზუალურ მასალას ვთავაზობთ. სტუდენტები კი საკუთარ გადაღებულ ვიდეოს ან პოდკასტს უზიარებენ ერთმანეთს (ინტერვიუ, დიალოგი, მონოლოგი...).

ასევე სასარგებლო და დროის დამზოგველია ჩვენ მიერ შექმნილი ან შერჩეული ონლაინსავარჯიშოები – სიტყვების გამოსახულებებთან დაკავშირება, ტექსტი თანდართული ტესტით, ცნობილი ადამიანების ფოტოების მათი გარეგნობის აღწერილობასთან დაკავშირება და ა.შ. მსგავსი სავარჯიშოების მოძიება ინტერნეტრესურსის გამოყენებით ძალზე მარტივია. მთავარია პედაგოგი წინასწარ გაეცნოს მათ, რათა არასწორი ან შეცდომების მქონე მასალის გამოყენება არ მოხდეს.

საბოლოო დავალება გენეალოგიური ხის შექმნა და მისი აუდიტორიაში გასარჩევად მომზადებაა.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

აუდიტორიაში ამ თემის ირგვლივ მრავალი აქტივობის განხორციელება შეგვიძლია. მაგალითად, ყველასთვის ცნობილი ადამიანების (მსახიობების, მომღერლების, მოდელების, სპორტსმენების...) გარეგნობის აღწერა, სხვებთან შედარება, მათი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და ა.შ. ასევე, ლექსიკური მასალის მეხსიერებაში გასამყარებლად ეფექტიანია სტუდენტთა მიერ ადამიანის გარეგნობის აღწერა და ზეპირი აღწერილობის მიხედვით, მისი დაფაზე ან ფურცელზე დახატვა.

ნებისმიერი აქტივობისა და დავალების შესრულებისას უნდა გვახსოვდეს, რომ უმჯობესია, სტუდენტმა კონკრეტული ფრაზის შეცდომით, მაგრამ დაუფიქრებლად წარმოთქმა მოახერხოს და მეტად იყოს ინფორმაციის გადმოცემაზე ორიენტირებული,

ვიდრე ამ ინფორმაციის სწორად გამოთქმაზე ღელავდეს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ გრამატიკული ფორმების სწორად დამახსოვრება მნიშვნელოვანი არ არის. ამისთვის ცალკე სავარჯიშოები არსებობს, თუმცა ეს სავარჯიშოებიც გარკვეულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სტუდენტები კონკრეტული სიტყვის შესაბამის საგანთან ასოცირებას მივაჩვიოთ. მაგალითად, წიგნს, მაგიდას, სკამს, თაროებს, რვეულებს და სხვა საგნებს, რომლებიც სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია, წარწერას ესპანურად ვუკეთებთ. შესაბამისად, ამ საგნების სახელების დამახსოვრება, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, ბუნებრივად ხდება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ლექსიკაზე მუშაობისას, სტუდენტებს რაიმე მიზანი ან გამოწვევა დავუსახოთ. მაგალითად, სტუდენტთა ერთი ჯგუფის დახმარებით ვმალავთ ნივთს და მინიშნებებით ვცდილობთ, მეორე ჯგუფმა ის იპოვოს. ამ დროს არა მხოლოდ ახალი ლექსიკის გამოყენება და განმტკიცება ხდება, არამედ რთული წინდებულებისა და „ყოფნა“ ზმნის სხვადასხვა ფორმის გამეორება შეგვიძლია.

მსგავსი აქტივობების მიზანია, სტუდენტს დაავიწყოს, რომ ის სწავლის პროცესშია. დავალებაზე ორიენტირებულ ადამიანს, რომელსაც სასწავლო პროცესი სიამოვნებას ანიჭებს, სწავლის შედეგიც შესაბამისი აქვს.

მესამე თემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საათის ესპანურად დასახელება. საათზე მუშაობისას, სხვადასხვა წერითი თუ ონლაინ სავარჯიშოს შესრულების გარდა, საჭიროა ხშირად ვიკითხოთ, რომელი საათია. ისრიანი საათის გამოყენებით პერიოდული ვარჯიშიც, აპრობირებული და ნაყოფიერი აქტივობაა.

მესამე თემის დასასრულს, სტუდენტებს ვაცნობთ ამინდთან დაკავშირებულ ლექსიკას, ფერებს, წელიწადის დროებს, თვეებსა და კვირის დღეებს. ხსენებული ლექსიკური მასალის გამეორება, ისევე, როგორც რუტინული მისალმება, მოკითხვა და დროის დასახელება, ყოველი ლექციის მიმდინარეობისას ხდება.

- **კულტურული ნაწილი**

მე-3 თემის კულტურული ნაწილი ესპანეთის სამეფოს მონარქის ოჯახის სტუდენტთათვის გაცნობაა. მეფის გარეგნობა, შვილები, საქმიანობა, ნათესავები თითქმის ყველასთვის საინტერესო სასაუბრო თემაა. ელექტრონულ კურსზე

შესაბამისი ვიდეოს ნახვის შემდეგ, სტუდენტები აღწერენ მონარქის ოჯახის თითოეულ წევრს, მათ გარეგნობას, სავარაუდო ხასიათს და ა.შ. დაინტერესების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ სამეფო ოჯახზე დამატებითი ინფორმაცია მოიძიონ, ან სხვა ქვეყნების სამეფო ოჯახებთან შედარება გააკეთონ.

### **საკითხავი ლიტერატურა**

სტუდენტთა ცოდნის დონის შესაბამისად შერჩეულ ტექსტზე მუშაობა, ძირითადად, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს. მასალის დამოუკიდებლად დამუშავების შემდეგ, პრაქტიკული მუშაობა აუდიტორიაში ხორციელდება. ვახასიათებთ პერსონაჟებს, ვმსჯელობთ შინაარსზე და ვვარაუდობთ, როგორ განვითარდება მოვლენები. კურსზე ატვირთულია საკითხავი მასალის აუდიოვერსიაც, რომლით ხელმძღვანელობა, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია.

### **IV თემა**

**მასალა – არაწესიერი ზმნების უღლება, უკუქცევითი ზმნები, დღის რუტინა, ახლო მომავალი დრო, ჩვენებითი ნაცვალსახელი**

- **ინდივიდუალური წარმოების არაწესიერი ზმნების უღლება, არაწესიერი ზმნების ჯგუფები**

### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

კურსზე ატვირთულ თეორიული მასალას სხვადასხვა ტიპის დავალება ახლავს – ფრჩხილების გახსნა, ზმნების პირების მიხედვით დალაგება, ზმნის ფორმის შესაბამის გამოსახულებასთან დაკავშირება, მარტივი წინადადებების შედგენა და ა.შ.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

ზმნებზე ვარჯიში მექანიკურ, მოსაწყენ აქტივობად რომ არ იქცეს, მას ჯგუფური შეჯიბრის ან თამაშის სახეს ვაძლევთ. ფორმების დამახსოვრება უმეტესად სპონტანური დიალოგის წარმოებისას ხდება.



- **უკუქცევითი ზმნები**

უკუქცევითი ზმნების მნიშვნელობის გააზრება და სწორად გამოყენება მრავალფეროვან პრაქტიკულ ვარჯიშს მოითხოვს. თუმცა ამ პროცესში გვეხმარება ის ფაქტი, რომ რამდენიმე უკუქცევით ზმნას (llamarse, ducharse, peinarsse, ponerse) სტუდენტები უკვე იცნობენ და საჭირო კონტექსტში იყენებენ.

**ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

უკუქცევით ზმნებზე მუშაობისას შეტრიალებულ სასწავლო პროცესს ვანიჭებთ უპირატესობას, რათა სააუდიტორიო დრო უკვე ნაწილობრივ ათვისებული მასალის პრაქტიკულად გამოყენებას დავეთმოთ. ასინქრონული მუშაობა, პირველ რიგში, შესაბამის ტექსტზე დაკვირვებასა და გარკვეული დასკვნების გაკეთებას ითვალისწინებს (ინდუქციური სავარჯიშო). მხოლოდ ამის შემდეგ ვაჩვენებთ სტუდენტებს უკუქცევითი ზმნების გამოყენების წესებსა და მაგალითებს.

მომდევნო ეტაპი ფორმების განმამტკიცებელი ონლაინ სავარჯიშოებისა და შესაბამისი შინაარსის ვიდეოების დამუშავებაა. რაც შეეხება საბოლოო დავალებას, ეს შეიძლება იყოს სტუდენტის რეალური ან საოცნებო დღის აღწერა, მათთვის განსაკუთრებულ დღეს – ახალ წელს, დაბადების დღეზე, ქორწილში საკუთარი ქმედებების აღწერა ...

**აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

სტუდენტებთან პირისპირ მუშაობა სახალისო და საინტერესო რომ გახდეს, სქემების, ნახატების, თამაშების გამოყენება აუცილებელია. ეფექტიანობით გამორჩეული აქტივობებია – უკუქცევითი ზმნების მნიშვნელობის გამოცნობა ჟესტიკულაციით, კითხვა-პასუხი დღის რუტინის შესახებ, მნიშვნელოვანი დღის დაგეგმვა (ჯგუფურად), საოცნებო (კურიოზული, უსიამოვნო) დღის რუტინის აღწერა და ა.შ.

- **ახლო მომავალი დრო, ჩვენებითი ნაცვალსახელები**

**ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

ახლო მომავალი დროის ათვისება ესპანური ენის შემსწავლელ სტუდენტებს უადვილდებათ, რადგან ამ კონსტრუქციის ინგლისური ეკვივალენტის არსებობა პოზიტიურ ენობრივ ტრანსფერს ხელს უწყობს.

ინდუქციური სავარჯიშოსა და თეორიული მასალის დამოუკიდებლად გაცნობის შემდეგ, სტუდენტები ონლაინ სავარჯიშოებს ასრულებენ და საკუთარ სამომავლო გეგმებზე საუბრობენ. საბოლოო დავალება მათ მიერ აღწერილი დღის რუტინის მომავალ დროში გადაყვანაა, რა დროსაც უკუქცევითი ზმნების დამატებით გავარჯიშება ხდება.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

აუდიტორიაში სტუდენტთა წყვილებს ან ჯგუფებს ერთმანეთისთვის სამომავლო გეგმების გაზიარებას ვთხოვთ.

- **კულტურული ნაწილი**

მეოთხე თემის დამუშავება წინასაშობაო პერიოდს ემთხვევა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, სტუდენტებს ის ტრადიციები და წეს-ჩვეულებები გავაცნო, რომლებითაც ესპანურენოვან სამყაროში შობა-ახალ წელს აღნიშნავენ.

კურსზე განთავსებული ვიდეო ესპანეთში საშობაო და საახალწლო დღესასწაულების შესახებ მოგვითხრობს. სტუდენტებს ვიდეოს ყურებას და ესპანური და ქართული ტრადიციების შედარებას ვთხოვთ. პრეზენტაცია სასურველია, ჯგუფურად იქნეს შესრულებული, რათა სტუდენტთა ურთიერთთანამშრომლობას ხელი შეეწყოს და მუშაობის პროცესიც სახალისო გახდეს. აღნიშნულ დღესასწაულებთან დაკავშირებულ გეგმებზე სასაუბროდ აქტიურად ხდება ჩათვის გამოყენება.

### **V თემა**

**მასალა – ნამყო სრული დრო, კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ლექსიკური მასალა (სახლი, გარემო)**

- **ნამყო სრული დრო**

### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

ნამყო სრული დროის დასამუშავებლად კურსზე მრავალფეროვანი მასალაა ხელმისაწვდომი – ტექსტი, სავარჯიშოები, ფაილი შესაბამისი წესებითა და მაგალითებით, ფოტოგამოსახულება და აუდიოვიზუალური მასალა. სტუდენტები,

პირველ რიგში, ეცნობიან მოკლე ტექსტს, რათა აღნიშნული მასალის შესახებ თავდაპირველი წარმოდგენა შეიქმნან. მოცემულ ტექსტში თითქმის ყველა წინადადება ორჯერ მეორდება – თხრობითი კილოს აწყო და ნამყო სრულ დროებში. ზმნების ფორმები და დროის აღმნიშვნელი ზმნიზედები ყველგან გამოყოფილია, რათა სტუდენტებმა წინადადებებს შორის განსხვავება უკეთ დაინახონ. ტექსტზე დაკვირვების შემდეგ, ხდება წესების გაცნობა და სავარჯიშოების შესრულება (მათ საშუალება აქვთ მოცემული ორი ან სამი ტესტიდან აარჩიონ ერთ-ერთი, სირთულის მიხედვით).

საბოლოო დავალებაა თემა – რა გავაკეთე დღეს. დავალების მიზანია უკუქცევითი ზმნების ნამყო სრულ დროში გადაყვანა, რაც აღნიშნული მასალის განსამტკიცებლად დამატებითი ვარჯიშია. დავალების შესრულებისას სტუდენტებს ვთხოვთ, ფანტაზიას მოუხმონ და ორიგინალური და სახალისო ქმედებები აღწერონ.

#### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

მასალის დამოუკიდებლად გაცნობისა და დავალებების შესრულების შემდეგ, მის აუდიტორიაში გასავარჯიშებლად მაქსიმალურად ვიყენებთ დაფას, ნახატებს და მარტივ, სახალისო თამაშებს.

სტუდენტებს ვთხოვთ, წარმოთქვან მონოლოგი იმის შესახებ, თუ რა გაუკეთებიათ ცხოვრებაში, რისი გაკეთება ვერ მოახერხეს და რა სამომავლო გეგმები აქვთ. ამ დროს, ნამყო სრულ დროზე ვარჯიშის გარდა, ახლო მომავალი დროის გამეორება და მისი პრაქტიკული გამოყენებაც ხდება. ლექცია მოსაწყენი რომ არ გახდეს, ჯობს სტუდენტთა მონათხრობი სახალისო და უჩვეულო იყოს.

- **კუთვნილებითი ნაცვალსახელები და ზედსართავი სახელები**

#### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

კუთვნილებითი ნაცვალსახელები და ზედსართავი სახელები სტუდენტთათვის უკვე ნაცნობი საკითხებია, თუმცა ამ თემაში დამატებითი ინფორმაციის მიღება და მასალის განმტკიცება ხდება.

ამ შემთხვევაშიც ვიყენებთ შეტრიალებული სწავლების მეთოდს და სტუდენტებს თეორიული მასალის გაცნობას დამოუკიდებლად ვთხოვთ, რის შემდეგაც მათ მარტივი ონლაინსავარჯიშოების შესრულება უწევთ.

- **ლექსიკური ნაწილი – სახლი, ავეჯი, ნივთები**

#### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

სტუდენტებს საშუალება აქვთ, ახალ ლექსიკურ მასალას ელექტრონულ კურსზე გაეცნონ. ფაილი თემატური ლექსიკით, ფოტოები, სხვადასხვა სირთულის აუდიოვიზუალური მასალა და ონლაინ სავარჯიშოები ლექსიკური ერთეულების დამახსოვრებაში დიდ როლს თამაშობს.

კურსზე განთავსებულ ერთ-ერთ ვიდეოში სახლის პატრონი საკუთარ საცხოვრებელს აღწერს. სტუდენტებს ვთავაზობთ, თავადაც გადაიღონ მსგავსი ვიდეო და ჯგუფელებს გაუზიარონ.

საბოლოო დავალებაა საოცნებო (უცნაური, საშინელი) სახლის აღწერა, რომლის მეშვეობით გავლილი გრამატიკული მასალის – ზმნის „ყოფნა“ სამი ფორმის, განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლების, არსებითი და ზედსართავი სახელების გამეორებაც ხდება.

#### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

ლექსიკური მასალის აუდიტორიაში დასამუშავებლად ეფექტიანია როლური თამაშები – ბინის დაქირავების ან შეძენის იმიტაცია, პირდაპირი ჩართვა ფემენებელური ან იაფფასიანი სასტუმროდან, კმაყოფილება ან უკმაყოფილება სახლის შეძენის შემდეგ, სახლის ავეჯით გაწყობა და სხვა.

- **კულტურული ნაწილი**

#### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

სტუდენტებს ვთხოვთ, ინტერნეტრესურსის გამოყენებით, მოიძიონ ესპანეთის სხვადასხვა რეგიონისთვის ან რომელიმე ესპანურენოვანი ქვეყნისთვის დამახასიათებელი სტილის სახლების ფოტოები და კურსზე გააზიარონ.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

საკითხავი ლიტერატურისა და აუდიოვიზუალური მასალის დამუშავებისას განსაკუთრებული აქცენტი გარემოზე, პერსონაჟების საცხოვრებელ ადგილზე, ნივთებსა და სტილზე კეთდება.

### **VI თემა**

**მასალა – წარსული დასრულებული დრო (წესიერი ზმნების უღლება), ირიბი დამატება, ზმნა „მოწონება“, ჰობი, საკვები**

- **წარსული დასრულებული დრო**

### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

გრამატიკული მასალის ინდუქციური მეთოდით დასამუშავებლად სტუდენტებს ვთავაზობთ ტექსტს, რომელშიც წარსულ დასრულებულ დროში ჩასმული ზმნები და დროის აღმნიშვნელი ზმნიზედებია ხაზგასმული. ტექსტს ახლავს დავალებაც – ზმნების პირის ნიშნების მიხედვით დაჯგუფება.

სტუდენტი დამოუკიდებლად ეცნობა კურსზე არსებულ თეორიულ მასალასაც, რომელშიც წარსული დასრულებული დროის ძირითადი მახასიათებლები მარტივი ენითაა ახსნილი, ასრულებს ფორმების განმამტკიცებელ ონლაინ სავარჯიშოებს და ამუშავებს შესაბამისი შინაარსის აუდიოვიზუალურ მასალას.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

აუდიტორიაში წარსული დასრულებული დროის ძირითადი წესების ფორმულირება სტუდენტთა მონაწილეობით ხდება, რასაც პრაქტიკული ვარჯიში მოსდევს – დაფაზე თარიღების ჩამოწერა და მათთან დაკავშირებული მოვლენების წარსულ დროში დასახელება, გამორჩეული დღის გახსენება, ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიებიდან ძირითადი ფაქტების დასახელება (სად და როდის დაიბადა, რა დაწერა, სად იცხოვრა, როდის გარდაიცვალა...) და ა.შ.

აღნიშნულ მასალაზე მუშაობისას საჭიროა გვახსოვდეს, რომ გრამატიკა რეალურ საკომუნიკაციო ამოცანებს ემსახურება და შერჩეული აქტივობების მიზანი ფორმების

დაზეპირება კი არა, მათი შინაარსის გააზრება და პრაქტიკული გამოყენება უნდა იყოს. ენის ათვისების პროცესში მთავარია ლინგვისტური ფორმების განვითარება სემანტიკური ან პრაგმატული ფუნქციების შესასრულებლად.<sup>21</sup>

- ირიბი დამატება და ზმნა “მოწონება”

#### ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)

მოწონების გამომხატველი ზმნა ესპანურ ენაში რიგი თავისებურებებით ხასიათდება – მოქმედ პირს ობიექტური პირის ნიშანი აღნიშნავს, სამოქმედოს კი – სუბიექტური. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ზმნა მის ქართულ ეკვივალენტთან მორფოლოგიური აგებულებით ახლოსაა, შედარებითი ანალიზისგან თავს ვიკავებთ და უპირატესობას მის მთავარ მახასიათებელზე ხაზგასმასა (მოწონების ობიექტზე ფოკუსირება) და სხვადასხვა კონტექსტში მის ხშირ გამოყენებას ვანიჭებთ. მასალის სირთულის მიუხედავად, ამ შემთხვევაშიც, შეტრიალებულ სასწავლო პროცესს მივმართავთ.

არსებული თეორიული მასალის დამოუკიდებლად (თავდაპირველად ინდუქციური სავარჯიშოს მეშვეობით) დამუშავებისა და მისი აუდიტორიაში განხილვის შემდეგ, სტუდენტები კურსზე არსებულ შესაბამის აუდიოვიზუალურ მასალას ეცნობიან და სავარჯიშოებს ასრულებენ.

საბოლოო დავალებაა – საკუთარი და ახლობელი ადამიანების ჰობის აღწერა. დავალების ფორმას სტუდენტი თავად ირჩევს – თემა, წერილობითი ინტერვიუ მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან, ინტერვიუს აუდიო-ან ვიდეოჩანაწერი და ა.შ.

#### აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)

სააუდიტორიო დრო, პირველ რიგში, დამოუკიდებლად დამუშავებული მასალის ანალიზსა და გაურკვეველი საკითხების ირგვლივ კითხვა-პასუხს ეთმობა. შემდეგ ვიწყებთ პრაქტიკულ მუშაობას. სტუდენტებს ვთხოვთ, დაასახელონ საკუთარი ჰობი, დაჯგუფდნენ მსგავსი გატაცებების მიხედვით და საყვარელი საქმიანობის შესახებ ისაუბრონ.

---

<sup>21</sup> მურიელ სავილიე-ტროიკე, მეორე ენის ათვისების ლინგვისტიკა.

- **ლექსიკური მასალა – საკვები**

#### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

საკვებთან დაკავშირებული თემატური ლექსიკის დამუშავება ეტაპობრივად, კურსზე არსებული მრავალფეროვანი ონლაინსავარჯიშოებითა და სახალისო შინაარსის აუდიოვიზუალური მასალით ხდება.

#### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

აუდიტორიაში უპირატესობა როლურ თამაშებს ენიჭება (წარმოსახვითი სიტუაცია რესტორანში, დიალოგი ბაზარში, წვეულების დაგეგმვა, სადილის მომზადება და ა.შ.). ასევე, ეფექტიანია კერძის გამოცნობა ინგრედიენტების მიხედვით, ან პირიქით, კონკრეტული კერძისთვის საჭირო ინგრედიენტების დასახელება.

ვარჯიშის დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს სწავლების მოცემული საფეხური, რაც მხოლოდ მარტივი და ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულების ცოდნას მოითხოვს. თუმცა, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს მასალის გამდიდრებასა და ცოდნის გაღრმავებაში უნდა დავუხმაროთ. დავალებების სირთულეც სტუდენტთა განსხვავებულ სასწავლო უნარებზე უნდა გავთვალოთ, რათა მათ საასურველი დავალების არჩევისა და თანაბარ პირობებში ცოდნის მიღების საშუალება ჰქონდეთ.

- **კულტურული ნაწილი**

#### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

მე-6 თემის კულტურული ნაწილი, ძირითადად, ესპანურ ეროვნულ კერძებსა და მათ ქართულ სამზარეულოსთან შედარებას ეხება. ფორუმზე თითოეულმა სტუდენტმა ჯგუფელებს ესპანეთის ან რომელიმე ესპანურენოვანი ქვეყნის ცნობილი კერძი და მისი ძირითადი ინგრედიენტები უნდა გააცნოს.

#### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

აუდიტორიაში ფორუმის თემის გაგრძელება და განვრცობა ხდება. სტუდენტები საუბრობენ სხვადასხვა, მათთვის საყვარელ კერძზე, ქართული და ესპანური კერძების ძირითად ინგრედიენტებზე და ა.შ.

## VII თემა

მასალა – წარსული დასრულებული დრო (არაწესიერი ზმნები), ბრძანებითი კილო, უკუქცევითი ზმნების ბრძანებითი კილო, პირდაპირი დამატების ნაცვალსახელები, ლექსიკური მასალა – ქალაქი, უბანი

- წარსული დასრულებული დრო (არაწესიერი ზმნები)

### ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)

მე-7 თემაში სტუდენტები არაწესიერი ზმნების ცხრილს ეცნობიან. ცხრილს მოსდევს სავარჯიშოები, რეალური სიტუაციების ამსახველი ვიდეო, რომელშიც უხვადაა წარსული დასრულებული დროის მაგალითები და ვიდეო მადრიდში ვიზიტის შესახებ, რომლის მეშვეობითაც, სტუდენტებს ესპანეთის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობების ხილვის შესაძლებლობა აქვთ. მასალის დამოუკიდებლად გაცნობის შემდეგ, სტუდენტები წერენ ან ზეპირად აყალიბებენ მის მოკლე შინაარსს.

ვიდეომასალის გარდა, კურსზე ატვირთულია ბმული გამოჩენილი ადამიანების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებით. სასურველი პიროვნების ბიოგრაფიის მოძიებისა და გაცნობის შემდეგ მისი მოკლე შინაარსი, დავალების სახით, კურსზე იტვირთება.

წარსული დასრულებული დროის განსამტკიცებლად სტუდენტებს წარსული ქმედებების დაწვრილებით აღწერას ვთხოვთ. დავალების შესრულებისას არაა აუცილებელი სტუდენტთა მონათხრობი რეალობას შეესაბამებოდეს. პირიქით, სასურველი, სახალისო ან აბსურდული ამბების მოყოლა პოზიტიურ განწყობას ქმნის და მოტივაციაზეც დადებითად მოქმედებს.

### აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)

წარსული დასრულებული დროის არაწესიერ ზმნებზე ვარჯიში მოსაწყენი რომ არ იყოს, მათი საკომუნიკაციო სიტუაციებში გამოყენება უნდა მოხდეს. უპირატესობას სახალისო როლურ თამაშებს ვანიჭებთ – გამომძიებლის მიერ ექვმიტანილის დაკითხვა, ვიზიტი ფსიქიატრთან, სიზმრის ახსნა და ა.შ. საინტერესო აქტივობებია ცნობილი ფაქტების განზრახ დამახინჯება და სტუდენტთათვის მათი შესწორების თხოვნა, კურსზე წინასწარ დამუშავებული ვიდეოების შინაარსის მოკლედ გადმოცემა, კითხვებზე პასუხი და მსჯელობა.



- **ბრძანებითი კილო**

**ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

მე-7 თემაში ბრძანებითი კილოს ნაწილობრივი (მხოლოდ მტკიცებითი ფორმა) დამუშავება ხდება. კურსზე ნებისმიერი მითითება ბრძანებით კილოშია მოცემული, რაც მასალის უნებლიე დამახსოვრებას ხელს უწყობს.

კურსზე არსებული გრამატიკული მასალის გაცნობა, ამ შემთხვევაშიც, დამოუკიდებლად, ორ ეტაპად ხდება (ინდუქციური სავარჯიშო და წესების გაცნობა-განმტკიცება შესაბამისი სავარჯიშოებით).

პრაქტიკული მუშაობისთვის ვიყენებთ ავთენტურ მასალას – ესპანურ რეკლამებს, რის შემდეგაც, სტუდენტებს ქართული რეკლამების გახსენებასა და მათ ესპანურ ენაზე თარგმნას ვთხოვთ. საბოლოო (ჯგუფური) დავალება სასურველი პროდუქტის რეკლამის შექმნაა.

**აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

ჯგუფური მუშაობისას საინტერესოდ და სახალისოდ მიიჩნევა აქტივობები მოძრაობით – სტუდენტები ერთმანეთს გარკვეული ქმედებების შესრულებას სთხოვენ. მაგალითად, ადექი! დაჯექი! ხელი ასწიე! მომიახლოვდი! გაიხედე მარცხნივ, იცეკვე და ა.შ. პასიური სტუდენტების გასახალისებლად და მათ საერთო მუშაობაში ჩასაბმელად, ამ აქტივობის შესრულება დაშორებით რეჟიმშიც ეფექტურია.

- **პირდაპირი დამატების ნაცვალსახელები**

**ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

პირდაპირი დამატების ნაცვალსახელების გამოყენება სტუდენტთათვის ახალი არაა, თუმცა მასალის ანალიზი აქამდე არ გაკეთებულა. ინდუქციური სავარჯიშო, მარტივი წესების გაცნობა და ონლაინ სავარჯიშოები ხელს უწყობს აღნიშნული მასალის გააზრებასა და განმტკიცებას. დამოუკიდებელი მუშაობის წასახალისებლად სტუდენტებს ვთხოვთ, პირდაპირი დამატების ნაცვალსახელების გამოყენების მაგალითები მოიძიონ და, ჩათის ან სოციალური ქსელის გამოყენებით, ჯგუფის

დანარჩენ წევრებს გაუზიარონ (ფრაგმენტი ცნობილი სიმღერის ტექსტიდან, ფრაზა ინტერვიუდან, ფილმიდან და ა.შ.).

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

ნებისმიერი მასალის დამუშავებისას, პერიოდულად, წინადადებებში პირდაპირ დამატებას გამოვყოფთ და მისი შესაბამისი სქესისა და რიცხვის ნაცვალსახელით ჩანაცვლებას ვითხოვთ. სასურველია, მაგალითები სხვადასხვა დროსა და კილოში იყოს მოყვანილი, რათა სტუდენტებს წინადადებაში არსებული პირდაპირი დამატების ნაცვალსახელით სწორად ჩანაცვლება ვასწავლოთ.

- **ლექსიკური მასალა – ქალაქი და უბანი**

### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

კურსზე ატვირთული ფაილის მეშვეობით, სტუდენტებს შესაბამისი ლექსიკური მასალის ხილვა და მისი, სურვილისა და საჭიროებისამებრ, გამოყენება შეუძლიათ.

ამ თემასთან დაკავშირებული ასინქრონულად შესასრულებელი აქტივობები შემდეგი სახისაა – საკუთარი ქალაქისა და უბნის აღწერა, ონლაინ სავარჯიშოები, ტურისტული მარშრუტის შემუშავება, წერილი სხვა ქალაქში მცხოვრებ მეგობარს, საჭირო რჩევები ტურისტებს და ა.შ.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

აუდიტორიაში თემატური ლექსიკის დასამუშავებლად, ძირითადად, დიალოგებსა და როლურ თამაშებს მივმართავთ. სტუდენტებს ვყოფთ წყვილებად ან ჯგუფებად და მათ კონკრეტულ ადგილზე მისასვლელად გზის მისწავლებას ვთხოვთ. მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული ადგილი ყველასათვის ნაცნობი იყოს, რათა რჩევის მიცემა დანარჩენ სტუდენტებსაც გაუადვილდეთ.

ასევე, შესაძლებელია საყვარელი ქალაქის ან სოფლის დასახელება და აღწერა, უბნების შედარება, კამათი დიდ ან პატარა ქალაქში ცხოვრების დადებით და უარყოფით მხარეებზე და ა.შ.

- **კულტურული ნაწილი**

მე-7 თემაში სტუდენტებს ვთავაზობთ ვიდეოს ბარსელონას შესახებ, სადაც ამ ულამაზესი ქალაქის ღირსშესანიშნაობებია ნაჩვენები. იმისათვის, რომ სტუდენტებს ესპანეთის (ესპანურენოვანი ქვეყნების) ქალაქებზე წარმოდგენა შეექმნათ, მათ პრეზენტაციების მომზადებას ვთხოვთ. უმჯობესია, მასალაზე მუშაობა ჯგუფურად, ყველა სტუდენტის ჩართულობით მოხდეს.

მე-7 თემის დამუშავება ხშირად ემთხვევა ალდგომის დღესასწაულს. ამიტომ სტუდენტებს, შესაბამისი ვიდეოს გამოყენებით, ესპანეთში ალდგომის კვირასთან დაკავშირებულ ტრადიციებს ვაცნობთ.

## **VIII თემა**

**მასალა – წარსული დაუსრულებელი დრო, პირდაპირი და ირიბი დამატების ნაცვალსახელები, გერუნდივი, ლექსიკური მასალა – ტანსაცმელი**

- **წარსული დაუსრულებელი დრო**

**ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

ნამყო სრული და წარსული დასრულებული დროების ინგლისურ ენასთან იდენტურობა შესაბამისი პარალელების გავლებასა და ესპანურ ენაში მათ პოზიტიურ ტრანსფერს ხელს უწყობს. წარსული დაუსრულებელი დრო კი ქართული ენის 1-ლი სერიის უწყვეტელ მწკრივთან ნაწილობრივი მსგავსებით გვეხმარება.

წარსული დაუსრულებელი დროის დამუშავებამდე, სტუდენტებს შესაბამისი ფრაზების უნებლიე დასწავლითა (აღქმადი შენატანი) და ინდუქციური სავარჯიშოს მეშვეობით ვამზადებთ.

გრამატიკული წესების დამოუკიდებლად გაცნობის შემდეგ, სტუდენტები კურსზე არსებულ სავარჯიშოებს ასრულებენ და აუდიტორიაში გასარჩევად ყველა იმ შეკითხვას ამზადებენ, რომელიც მასალის დამუშავებისას გაუჩნდათ.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

ა) დაფას ვყოფთ ორ ნაწილად და ვწერთ – ადრე და ახლა. სტუდენტები რიგრიგობით ასახელებენ, რას აკეთებდნენ ადრე და ამჟამად როგორ შეიცვალა მათი ცხოვრება და ჩვევები, რას აკეთებდნენ ადრე და რა განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღეს დღეს.

ბ) შემდეგი აქტივობა შეიძლება ცხოვრების ძველი სტილის ახლანდელთან შედარება იყოს. მაგალითად, როგორი იყო ქალის ცხოვრება გასულ საუკუნეში საქართველოსა და ესპანეთში და როგორია ახლა; კომუნიკაციის რა საშუალებები არსებობდა ადრე და ამჟამად როგორ ვურთიერთობთ ადამიანებთან; რითი ერთობოდნენ ახალგაზრდები ადრე და ამჟამად რა სახის განტვირთვას ანიჭებენ უპირატესობას და ა.შ.

გ) თითოეულ სტუდენტს ვუსვამთ შეკითხვას, რატომ ჩაიდინა ესა თუ ის ქმედება (უმჯობესია სახალისო და აბსურდული ბრალდებების წაყენება). მან კი, წარსული დაუსრულებული დროის (დასაშვებია სხვა დროის გამოყენებაც, კონტრასტის მიზნით) გამოყენებით ამ ქმედების მიზეზი უნდა დაასახელოს.

#### **• გერუნდივი, განგრძობითი მოქმედება**

გერუნდივის მაგალითები სტუდენტებს აქამდეც შეხვედრიათ საკითხავ თუ აუდიოვიზუალურ მასალაში და აუდიტორიაში საუბრისას. შესაბამისად, მათთვის ზმნის ეს ფორმა უცხო არ არის. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ თეორიული მასალის გაცნობისას, მათი ინტერესი უფრო მეტად გერუნდივის გამოყენების შემთხვევებზე იქნება ფოკუსირებული. ადრე დასწავლილი ფრაზების გახსენება და მის გრამატიკულ წესებთან დაკავშირება ხელს შეუწყობს საჭირო დასკვნების გაკეთებას.

### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

სწავლის ამ ეტაპზე სტუდენტებს უკვე გააჩნიათ თეორიული მასალის დამოუკიდებლად გაცნობის უნარი, ამიტომ შეტრიალებული სასწავლო პროცესი მათ დისკომფორტს აღარ უქმნის. ისინი ელექტრონულ კურსზე კითხულობენ და უსმენენ გრამატიკულ მასალას, გერუნდივის წარმოების წესებს, აკეთებენ ონლაინ სავარჯიშოებს, ეცნობიან არაწესიერ ზმნებსა და ვიდეოს, რომელშიც ადამიანთა ქმედებებია ნაჩვენები. მეცადინეობის დროს გაჩენილი შეკითხვების შემთხვევაში

კონსულტაციისთვის ჩათს ან ფორუმს მიმართავენ, რაც მათ თანამშრომლობითი უნარების განვითარებაში ხელს უწყობს.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

სააუდიტორიო აქტივობები სრულად ეთმობა ინტერაქციასა და სასწავლო თამაშებს:

ა) გამოცნობა – სტუდენტები რიგრიგობით დგებიან და გარკვეულ ქმედებას ახორციელებენ, დანარჩენები კი ქმედების შესატყვის ზმნას ესპანურ ენაზე განგრძობით ფორმაში წარმოთქვამენ;

ბ) სტუდენტთა მიერ მოძიებული ფოტომასალის დამუშავება, რა დროსაც საჭიროა ფოტოზე არსებული ადამიანების ქმედებების აღწერა.

მსგავსი აქტივობების დროს იმპროვიზაციის წახალისებაც ხდება, რათა აუდიტორიაში პოზიტიური და სასიამოვნო ატმოსფერო შენარჩუნდეს.

- **პირდაპირი და ირიბი დამატების ნაცვალსახელები**

ესპანური ენის ქართულენოვან შემსწავლელებს უჭირთ პირდაპირი და ირიბი დამატების ნაცვალსახელების (აკუზატივისა და დატივის) ფორმების სწორად გამოყენება. აღნიშნული მასალის გამარტივების მიზნით, სტუდენტებს შემდეგ ხერხს ვთავაზობთ – პირდაპირი და ირიბი ობიექტის წარმოსაჩენად ყოველთვის დასვან კითხვა – რისკენაა მიმართული მოქმედება და ვისთვისაა იგი გამიზნული.

აღნიშნულ მასალაზე მუდმივი ფოკუსირება, როგორც ელექტრონულ, ისე სააუდიტორიო (სინქრონულ) მეცადინეობებზე, მრავალფეროვანი საკომუნიკაციო კონტექსტის ფარგლებში ხდება.

- **ლექსიკური მასალა – ტანსაცმელი**

### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

კურსზე მრავალფეროვანი თემატური მასალაა ატვირთული – ფაილი შესაბამისი ლექსიკით, ონლაინსავარჯიშოები და ვიდეომასალა, რომელიც რეალურ სიტუაციებს ასახავს (მაღაზიების ვიტრინების დათვალიერება, მეგობარი გოგონების მზადება წვეულებისთვის, ბარგის ჩალაგება ზღვაზე არდადეგების გასატარებლად და ესპანელი მასწავლებლის სახალისო მონოლოგი საკუთარ ჩაცმის სტილზე).

სტუდენტები ვიდეოებს კურსზე დამოუკიდებლად ეცნობიან, იღრმავებენ ცოდნას და თითოეული ვიდეოს მოკლე შინაარსს ყვებიან. ამით ისინი ეჩვევიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის არჩევას, ძირითადი აზრის გადმოცემას და ამბის მესამე პირში მოყოლას. ვიდეოების საინტერესო და სახალისო შინაარსი სტუდენტებს სწავლის პროცესის შეგრძნებას უკარგავს და ყურადღების მასალის შინაარსზე ფოკუსირებისკენ უბიძგებს. საბოლოო ასინქრონული დავალებაა ტანსაცმლის მაღაზიაში წარმოსახვითი დიალოგის შექმნა, ბლოგი მოდაზე, ან საკუთარი ჩაცმის სტილის შესახებ მსჯელობა (მაგალითად, რას ჩაიცვამდა ესა თუ ის სტუდენტი უნივერსიტეტში, სავარჯიშო დარბაზში, დაბადების დღეზე თუ ზღვის სანაპიროზე). ჩათში კი შესაძლებელია თანამედროვე მოდის ტენდენციების განხილვა.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

აუდიტორიაში უპირატესობა როლურ თამაშებს ენიჭება. იქამდე, სანამ სტუდენტები მაღაზიაში წარმოსახვით დიალოგს კურსზე ატვირთავენ, ამ თემაზე ვარჯიში აუდიტორიაში ხდება. სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და საყიდლებზე წასვლას გეგმავენ (ტანსაცმლის შერჩევა, ერთმანეთისთვის რჩევების მიცემა, დიალოგი გასასინჯ ოთახში, საუბარი ფასდაკლებებსა და გადახდის ფორმებზე და ა.შ.). ამ აქტივობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირდაპირი და ირიბი დამატების ნაცვალსახელების ცალ-ცალკე და ერთად გამოყენების წესებს.

ამ თემასთან დაკავშირებული სხვა აქტივობებია: ჩაცმულობის მიხედვით ჯგუფების გამოცნობა; კარნახით დაფაზე (ფურცელზე) ადამიანის შესაბამისი ტანსაცმლით შემოსვა; იმ სამოსის დასახელება, რომელიც სტუდენტებს ყველაზე მეტად მოსწონთ ან აღიზიანებთ; გასული საუკუნის ან მომავლის მოდაზე საუბარი და ა.შ.

- **კულტურული ნაწილი**

ამ ნაწილში სტუდენტებთან ერთად განვიხილავთ ჩაცმის სტილსა და პოპულარულ ბრენდებს საქართველოსა და ესპანეთში, ადგილობრივ დიზაინერებს, მოდის ტენდენციებს, ე.წ. ინფლუენსერებს, რომლებიც სხვებს ჩაცმის მაგალითს აძლევენ და ა.შ. ამ თემების განხილვა ნაწილობრივ, აუდიტორიაში, ნაწილობრივ, ელექტრონულად ფორუმისა და ჩათის მეშვეობით ხდება.

## IX თემა

მასალა – კავშირებითი კილოს აწმყო დრო, ბრძანებითი კილოს უარყოფითი ფორმა, ჯანმრთელობა, ამინდი, ემოციები

- კავშირებითი კილო

### ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)

კავშირებითი კილოს აწმყო დროის კურსზე დამოუკიდებლად გაცნობის შემდეგ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ცოდნა ონლაინსავარჯიშოებით გაიდრმავონ. მასალის შერჩევასას სიფრთხილეთა საჭირო, რადგან კავშირებითი კილოს ესპანური ენის A2 დონეზე სწავლება გათვალისწინებული არ არის და ონლაინ სავარჯიშოებიც სტუდენტებს შესაძლოა რთულად მოეჩვენოთ. თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ კილოს გამოყენების სიხშირეს, მისი სტუდენტათვის გაცნობა აუცილებლად მიმაჩნია როგორც ლინგვისტური კომპეტენციის განსავითარებლად, ასევე სამომავლოდ, სწავლის გაგრძელების შემთხვევაში. სტუდენტს, რომელიც კავშირებითი კილოს შესახებ გარკვეულ ინფორმაციას ფლობს, მისი სხვადასხვა დროში გააზრება მეტად გაუადვილდება. კავშირებით კილოზე მუშაობისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მასალის სირთულე და სტუდენტებს იგი მაქსიმალურად მარტივი ენით ახსნილი, უხვი მაგალითებით შევთავაზოთ; ონლაინსავარჯიშოებიც სტუდენტთა უკვე არსებული ცოდნის გათვალისწინებით შევქმნათ და შევარჩიოთ.

### აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)

ა) კავშირებითი კილოს ფორმების დასამახსოვრებლად, სტუდენტებს ვთხოვთ ერთმანეთს მითითებები ბრძანებით კილოში მისცენ, შემდეგ კი მითითების დასაკონკრეტებლად, კითხვები დასვან – 1-ლი სტუდენტი – გააღე ფანჯარა! მე-2 სტუდენტი – გინდა, რომ ფანჯარა გავალო?

ბ) სტუდენტი დაფაზე წერს ფრაზებს იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო უცხოური ენის შესასწავლად (ან სხვა მიზნის მისაღწევად). დანარჩენები კი აზრს სხვადასხვა პირში კავშირებითი კილოს მეშვეობით აყალიბებენ – საჭიროა, რომ იკითხო ბევრი, საჭიროა, ვუყუროთ ფილმებს, აუცილებელია, მათ ესპანურად ისაუბრონ...

გ) სტუდენტებს ვთხოვთ, დაასრულონ შეკითხვა – რას გააკეთებ, როცა ... და მას შესაბამისი პასუხი გასცენ. კავშირებითი კილოს წესის მიხედვით, საკავშირებელი მიმართებითი ზმნიზედის „როდესაც“ შემდეგ მომავალ დროს კავშირებითი კილო ანაცვლებს. ამიტომ თითოეულმა სტუდენტმა პასუხი ამ კილოში უნდა გასცეს. მაგალითად, რას გააკეთებ, როდესაც 90 წლის იქნები? უპირატესობა, ამ შემთხვევაშიც, ორიგინალურ, სახალისო პასუხს მიენიჭება.

დ) დაფაზე სტუდენტთა კარნახით ვწერთ აბსურდულ და რთულად დასაჯერებელ ფრაზებს აწმყო ან მომავალ დროში. სტუდენტებმა უნდა აღნიშნონ, რომელი მათგანი ეჩვენებათ სანდოდ და რომლის არ სჯერათ. მაგალითად, სპილო ზის ხეზე – არ მჯერა, რომ სპილო ხეზე ზის, ან ეჭვი მეპარება, რომ სპილოს ხეზე ასვლა შეეძლოს...

ე) შემდეგი აქტივობაა ემოციების გამომხატველ სიტყვებსა და ფრაზებზე ვარჯიში. მასალის კურსზე დამოუკიდებლად დამუშავების შემდეგ, დაფაზე ვწერთ ფრაზას, სტუდენტები კი შესაბამისი ემოციის გამომწვევ მიზეზებს კავშირებით კილოში ასახელებენ. მაგალითად, რა უცნაურია, რომ მარი დღეს აქ არის, რა კარგია, აუზზე რომ მივდივართ...

- **ბრძანებითი კილოს უარყოფითი ფორმა**

#### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

ა) ინდუქციური სავარჯიშო, ბრძანებითი კილოს უარყოფითი ფორმის წარმოების დამოუკიდებლად გაცნობა, ტესტები და ონლაინსავარჯიშოები.

ბ) დავალება – ინსტრუქცია ჯანსაღი ცხოვრებისთვის – სტუდენტი წერს რჩევებს, რომლებიც ადამიანმა ჯანსაღი ცხოვრებისთვის უნდა გაითვალისწინოს. დავალებას სტუდენტები ერთმანეთს უგზავნიან, მოსაზრებებს ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან და საკუთარ რჩევებს ამატებენ. საბოლოო დავალება კურსზე იტვირთება.

#### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

ა) დაფაზე ვწერთ – რა არ უნდა გავაკეთოთ, თუ არ გვინდა, რომ: გაგვებუტოს მეგობარი, ჩავიჭრათ გამოცდაზე, გავსუქდეთ, დაგვზორდეს შეყვარებული, ავად გავხდეთ და ა.შ. სტუდენტები თავიანთ მოსაზრებებს ბრძანებითი კილოს უარყოფითი ფორმით აფიქსირებენ.



ბ) სტუდენტებს ვყოფთ ორ ჯგუფად, ერთი ჯგუფის წევრები ასახელებენ ფრაზებს ბრძანებითი კილოს მტკიცებით ფორმაში, მეორე ჯგუფმა იგივე ფრაზები უარყოფით ფორმაში უნდა წარმოთქვას. მაგალითად, დაწერე რამე დაფაზე! არ დაწერო არაფერი! მოდი აქ! არ მოხვიდე აქ! გააკეთე შენი საქმე! ნუ გააკეთებ შენს საქმეს და ა.შ.

- **ამინდი, ემოციები**

### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

სტუდენტებს კურსზე შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ამინდის შესახებ ძირითად გამონათქვამებს, რომელთა განმტკიცებაც შესაბამი სავარჯიშოების მეშვეობით ხდება. იმავე გზას მივმართავთ ემოციების გამომხატველი ფრაზების ასათვისებლად და მათ სხვადასხვა სიტუაციაში გამოსაყენებლად.

პრაგმატული კომპეტენციის განსავითარებლად სტუდენტებს კურსზე სხვადასხვა ემოციის გამოხატვის რეალურ, ავთენტურ მაგალითებს ვთავაზობთ (ნაწყვეტი ნაწარმოებიდან, ფრაგმენტი ფილმიდან, სიმღერის ტექსტიდან და ა.შ.).

პრაგმატული კომპეტენცია არის უნარი, გაიაზრო, ჩამოაყალიბო და გადასცე შინაარსი (სათქმელი) იმგვარად, რომ ერთდროულად იყოს ზუსტიც და შესაფერისიც იმ სოციალური და კულტურული გარემოსთვის, რომელშიც კომუნიკაცია მიმდინარეობს. სწორედ ასეთ შემთხვევებშია შეუცვლელი ელექტრონული და ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციებსა და ამოცანებში მონაწილეობას სთავაზობს მსურველს (ქ. გოჩიტაშვილი 2013).<sup>22</sup>

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

მიზნობრივი ლექსიკისა და კავშირებითი კილოს გავარჯიშებისთვის სტუდენტებს რეალური პროგნოზის გაცნობასა და ამინდის შესახებ საკუთარი ემოციური დამოკიდებულების გამოხატვას ვთხოვთ. მაგალითად, რა კარგია, მზე რომ ანათებს, უცნაურად მეჩვენება, რომ მისში ასე ცივა, არ მომწონს, რომ წვიმს და ქარია და ა.შ. თუმცა, ემოციების გამოხატვისას მხოლოდ ამინდთან დაკავშირებული ლექსიკით არ

---

<sup>22</sup> ISSN 1512-3146 (online) საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისთვის  
[www.multilingualeducation.org](http://www.multilingualeducation.org)

ვიზუალურად. სტუდენტებს კონკრეტული ემოციის გამომწვევი სხვა მიზეზების დასახელებაც შეუძლიათ.

- **თემატური ლექსიკა – ჯანმრთელობა**

**ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

ფაილი შესაბამისი ლექსიკით ელექტრონულ კურსზე ატვირთული და მისი შესწავლა ეტაპობრივად, სხვადასხვა აქტივობის პარალელურად ხდება.

ვიდეომასალის (ექიმთან კონსულტაცია) დამუშავების შემდეგ სტუდენტები წერენ დიალოგს, რომლის შინაარსი უმჯობესია, თითოეული სტუდენტის რეალურ გამოცდილებას ეყრდნობოდეს.

**აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

თემატური ლექსიკის აუდიტორიაში დასამუშავებლად, უპირატესობას როლურ თამაშებს ვანიჭებთ. წარმოვიდგინოთ სიტუაციას ექიმის მისაღებში, სადაც ყველას კონსულტაციაზე შესვლა ეჩქარება და საკუთარ ჩივილებს ასახელებს, რის გამოც პირველს სურს ექიმთან კაბინეტში მოხვედრა. დიალოგი შეგვიძლია, ხელოვნურად, კამათსა და ჩხუბში გადავზარდოთ. ცოტა ხანში დიალოგი „ექიმის“ კაბინეტში გადაინაცვლებს, სადაც რუტინული კითხვა-პასუხი და რეკომენდაციების ჩამოყალიბება იქნება მთავარი. აქტივობის დასასრულს კი ექიმთან ვიზიტისა და მისი რეკომენდაციების შეჯამებას ვახდენთ.

შესაძლებელია ცუდ ექიმთან ვიზიტის აღწერაც, რა დროსაც წარმოუდგენელი და შეუსაბამო მკურნალობის დანიშვნა ხდება. ეს აქტივობა სასწავლო გარემოს გახალისებას უწყობს ხელს.

მსგავსი აქტივობების შესრულებისას ხელი ეწყობა გავლილი მასალის გამეორებასა და რეალურ ყოფით სიტუაციებში კომუნიკაციის დამყარების უნარის ჩამოყალიბებას.

- **კულტურული ნაწილი**

კულტურული ნაწილი ეთმობა ესპანურ და ქართულ ენებში ემოციების გამომხატველი ფრაზების შედარებას; ყურადღება ეთმობა ჟარგონებსა და იდიომებს, რაც ცოცხალ ენასთან მეტ კავშირს უზრუნველყოფს.

## X თემა

**მასალა – თხრობითი კილოს მომავალი დრო, მარტივი პირობითი კილო, დროთა შეთანხმება ირიბი თქმის დროს, თავისუფალი დრო და მოგზაურობა**

მე-10 თემით სრულდება კურსი „ესპანური ენა A1-A2“, რაც გულისხმობს, რომ ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით, სტუდენტი ფლობს ესპანური ენის, როგორც უცხოური ენის, ენობრივი კომპეტენციის A2 დონისათვის აუცილებელ შემდეგ უნარებს:

მოსმენა – სტუდენტს შეუძლია გაიგოს ნაცნობი და ხშირად გამოყენებადი ლექსიკა ყოველდღიურ თემებზე (ოჯახი და მეგობრები, საცხოვრებელი ადგილი, კვება, ჩვეულებები, საყიდლები, გარემო, ჯანმრთელობა, მოგზაურობა, გართობა, სწავლა, დასაქმება და ა.შ.). არ უჭირს საშუალოს წინა დონის სირთულის ავთენტური ტექსტების გაგება და ინტერპრეტაცია;

კითხვა – სტუდენტს შეუძლია საწყისი დონის ტექსტების კითხვა გაცნობის, შესწავლისა და ძიების მიზნით, შეუძლია იპოვოს პროგნოზირებადი ინფორმაცია ისეთ ავთენტურ მასალაში, როგორცაა განცხადება, რეკლამა, მენიუ, განრიგი და ა.შ.;

საუბარი/ზეპირმეტყველება – სტუდენტი თავს ართმევს ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციებს ესპანურენოვან გარემოში. ახერხებს ინფორმაციის მარტივ და პირდაპირ ურთიერთგაცვლას და საკუთარი აზრის გამოთქმას. შეუძლია გამოიყენოს წინადადებები და ფრაზები, თავისი საცხოვრებელი პირობების, განათლების, სამომავლო გეგმების, ემოციების, წარსული და ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ, ესპანური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაციით. შეუძლია მარტივ თემებზე მსჯელობა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება. ესპანურენოვან გარემოში ნათქვამის ადეკვატურად გაგება და მისი გამართულად გადმოცემა;

წერა – სტუდენტს შეუძლია შესაბამისი სირთულის ბარათის ან შეტყობინების დაწერა, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე (მადლობის წერილი, ინფორმაციის მოთხოვნა, განცხადება, გარემოს, ადამიანების ან ქმედებების აღწერა, მარტივი ამბის მოყოლა, ფილმისა თუ ნაწარმოების მოკლე შინაარსის გადმოცემა და ა.შ.).

გარდა ამისა, სტუდენტი უკვე ფლობს ძირითად გრამატიკულ ნორმებს, იმისათვის, რომ შეძლოს სპონტანურ დისკურსში ჩართვა იმ ლექსიკური მარაგისა და

გრამატიკული სტრუქტურების გამოყენებით, რომელიც ყოველდღიური საუბრისათვისაა დამახასიათებელი. ასევე, სტუდენტი მიჩვეულია საკუთარი ცოდნის მუდმივად და თანმიმდევრულად შემოწმებას, მეტ-ნაკლებად იცნობს ესპანურენოვანი ქვეყნების კულტურულ ღირებულებებს, გააჩნია ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რომლებიც მას ესპანური ენის შემდეგი, B1 დონის საფეხურის გასავლელად სჭირდება.<sup>23</sup>

აღსანიშნავია, რომ მე-9 და მე-10 თემების გრამატიკული ნაწილი მეტად შეესაბამება ესპანური ენის A2+B1 დონეს და ზოგჯერ მათი სრულფასოვნად დამუშავება შესაძლოა, სემესტრის დასრულებამდე ვერ მოესწროს. თუმცა ამ მასალის კურსზე არსებობა აუცილებლად მიმაჩნია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სასწავლო პროცესის განმავლობაში დამატებითი აქტივობების მიმართ მეტ ინტერესს იჩენდნენ და ცოდნის გაღრმავების სურვილს გამოთქვამდნენ.

- **თხრობითი კილოს მომავალი დრო**

**ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

მომავალი დროის გაცნობა შეტრიალებული სასწავლო პროცესის მეშვეობით ხდება, რაც ზმნის ფორმებზე ვარჯიშს, წესების დამოუკიდებლად ფორმულირებასა და სააუდიტორიო აქტივობებისთვის მზადებას გულისხმობს.

**აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

მომავალ დროზე ვარჯიშისას, ძირითადად, როლურ თამაშებს ვანიჭებთ უპირატესობას:

ა) ნათელმხილველისა და კლიენტის საუბარი – სტუდენტი ჯგუფელს, რომელიც მკითხავს განასახიერებს, საკუთარ მომავალზე (შესაძლებელია, წარსულზეც) კონკრეტულ შეკითხვებს უსვამს და შესაბამის პასუხებს იღებს. კითხვა-პასუხის შინაარსს დანარჩენი სტუდენტები მესამე პირში გადმოსცემენ. ამ ვარჯიშის დროს, პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, უმჯობესია საუბრის შინაარსი სახალისო და უცნაური იყოს;

---

<sup>23</sup> სილაბუსი ესპანური ენა 2 (A2)

ბ) სამომავლო გეგმების დასახვა – დაფაზე ვწერთ კონკრეტულ თარიღებს. სტუდენტებმა მომავალი დროის გამოყენებით, ამ თარიღებთან დაკავშირებულ გეგმებზე უნდა ისაუბრონ;

გ) ზოდიაქო – ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით დაჯგუფებულ სტუდენტებს საკუთარ ნიშანზე (რეალური წყაროების გამოყენებით) სამომავლო პროგნოზების გაკეთებას ვთხოვთ;

დ) კითხვები და სავარაუდო პასუხები – ჩემს კითხვებზე სტუდენტები საკუთარ ვარაუდს გამოთქვამენ. მაგალითად, სად არის ჩემი სათვალე? – თქვენს ჩანთაში იქნება.

- **პირობითი კილო**

#### **ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

ესპანური ენის A2 დონეზე პირობითი კილოს ძირითადი ფუნქციებისა და ფორმების გაცნობა სტუდენტებს სწავლების შემდეგ საფეხურზე რთული მასალის ათვისებას გაუადვილებს.

აღნიშნული მასალის დამოუკიდებლად გაცნობისა და სავარჯიშოების შესრულების შემდეგ, სტუდენტებს ვთხოვთ, გაეცნონ შეთავაზებულ დიალოგებს, ცალკეულ ფრაზებსა და ტექსტებიდან ამონარიდებს, რომლებშიც მარტივი პირობითი კილო სხვადასხვა კონტექსტშია გამოყენებული. სტუდენტები აკვირდებიან მასალას და შესაბამის დასკვნებს აკეთებენ, რომელთა გაზიარება მოგვიანებით, აუდიტორიაში ხდება.

#### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

გამომდინარე იქიდან, რომ პირობითი კილოს გამოყენების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას ვამუშავებთ, სააუდიტორიო აქტივობებიც მხოლოდ ამ შემთხვევებზე ვარჯიშით შემოიფარგლება.

ა) რჩევა – სტუდენტი საუბრობს სამომავლო გეგმებზე, დანარჩენები მას რჩევებს აძლევენ. (1-ლი სტუდენტი – მომავალ კვირას დასასვენებლად წასვლას ვაპირებ. მე-2 სტუდენტი – მე შენ ადგილას, არ წავიდოდი, რადგან ცუდი ამინდია);

ბ) რეკომენდაცია – სტუდენტი საუბრობს პრობლემაზე, დანარჩენები მას ამ პრობლემის მოგვარების გზებს ასწავლიან (1-ლი სტუდენტი – ძალიან ვიღლები სამსახურში. მე-2 სტუდენტი – კარგი იქნებოდა, ახალი სამუშაო მოგეძებნა);

გ) მომავალი წარსულში – სტუდენტი სამომავლო გეგმებზე საუბრობს, დანარჩენები მის ნათქვამს მესამე პირში იმეორებენ (1-ლი სტუდენტი – ხვალ ადრე მოვალ, მე-2 სტუდენტი – მან თქვა, რომ დღეს ადრე მოვიდოდა);

დ) თავაზიანი თხოვნა – სტუდენტები ერთმანეთს დახმარებას თავაზიანად სთხოვენ (შეგიძლია ფანჯარა გააღო? შეგიძლიათ, ცოტა ჩუმიად ისაუბროთ?).

- **ირიბი თქმა**

**ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

ირიბი თქმა სწავლების ელემენტარულ საფეხურზე ნაწილობრივ არის განხილული და სტუდენტებს საერთო სქემიდან მხოლოდ რამდენიმე ფორმის დამახსოვრება უწევთ. დროთა შეთანხმების ცხრილი მოცემულია ცალკე ფაილის სახით, რომელსაც ირიბი თქმის მაგალითები ახლავს. აუდიოვიზუალური მასალის ასინქრონულად დამუშავებისას უპირატესობას დიალოგების მესამე პირში გადაყვანასა და ამბის მოკლედ მოყოლას ვანიჭებთ. ამ პროცესში მთელი გავლილი მასალის შეჯამება და განმტკიცება ხდება.

**აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

სტუდენტებს ვთხოვთ, დაფაზე დაწერონ ირიბ თქმაში გადაყვანილი ფრაზები, რომლებსაც ჯგუფელები აუდიტორიაში წარმოთქვამენ, დაფის შევსების შემდეგ კი მათ პირვანდელი სახე დაუბრუნონ.

- **ლექსიკური მასალა და კულტურული ნაწილი – თავისუფალი დრო და მოგზაურობა**

**ელექტრონული აქტივობები (ასინქრონული მუშაობა)**

სტუდენტებს ლექსიკურ მასალას სხვადასხვა სახით ვთავაზობთ – ფაილი თემატური ლექსიკით, ონლაინ აქტივობები, რომლებიც სტუდენტს მოგზაურობისას სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში დაეხმარება (სასტუმროში განთავსება, დიალოგები

სადგურზე, ტაქსიში, მუზეუმში და ა.შ.) და ვიდეომასალა ესპანეთის რამდენიმე ცნობილი ფესტივალის შესახებ. გარდა იმისა, რომ აღნიშნულ ვიდეომასალას კულტურული ღირებულება გააჩნია, ლექსიკური თვალსაზრისით, მდიდარი სასწავლო რესურსია და სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში გვეხმარება – მოკლე შინაარსის მოყოლა, ანალიზი, ტრადიციათა შედარება, ბლოგი ან წერილი, რომელშიც სტუდენტი თავს რომელიმე ფესტივალის მონაწილედ წარმოიდგენს და საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს. საბოლოო დავალება ქართულ რეალობაზე მორგებული ფესტივალის მოფიქრებაა, რაშიც, ჩათის ან ფორუმის მეშვეობით, მთელი ჯგუფია ჩართული.

### **აქტივობები აუდიტორიაში (სინქრონული მუშაობა)**

აუდიტორიაში ლექსიკაზე მუშაობა შემდეგი აქტივობებით ხდება:

- ა) სტუდენტთა ჯგუფების მიერ მოგზაურობის დაგეგმვა და გეგმის პრეზენტაცია;
- ბ) როლური თამაშები – სიტუაცია აეროპორტში ბარგის დაკარგვის ან რეისზე დაგვიანების დროს, სიტუაცია ტაქსით ან ავტობუსით უცნობ ქალაქში მგზავრობისას, სიტუაცია მუზეუმში, სასტუმროში (ოთახის დალაგების მოთხოვნა, უკმაყოფილება საუზმით, ოთახის სხვადასხვა მიზეზით შეცვლის მოთხოვნა) და სხვა;
- გ) ღონისძიების დაგეგმვა (წვეულება, ლაშქრობა, პიკნიკი, კარნავალი და ა.შ.);
- დ) ზაფხულის არდადეგებისთვის საინტერესო ღონისძიებების შერჩევა და მეგობრებისთვის შეთავაზება (ფესტივალი, სპექტაკლი, კონცერტი, სპორტული ღონისძიება და ა.შ.);
- ე) მსჯელობა ქართველი ახალგაზრდების ხედვებზე, თავისუფალი დროის სასარგებლოდ გამოყენებასთან დაკავშირებით, შედარება მათი მშობლების თაობის შეხედულებებთან.

თავი IV. თსუ-ში ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის ეფექტიანობის კვლევა, კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

2014-2021 წლებში ჩატარებული კვლევები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის შემუშავებისთვის წლების მანძილზე სხვადასხვა სახის კვლევა ჩავატარე.

კვლევის ფაზები	კვლევის დასახელება	კვლევის პერიოდი	კვლევის მიზანი	სამიზნე ჯგუფები	კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტები
1-ლი კვლევა	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო მასალის სამი განსხვავებული ფორმით დამუშავება.	2014 წ.	ესპანური ენის სწავლებისას ისტის გამოყენების სხვადასხვა ფორმის ნაკლოვანებებისა და უპირატესობების გამოვლენა.	თსუ-ის ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) სტუდენტები (3 ჯგუფი, სულ 45 სტუდენტი).	თვისებრივი კვლევა; ექსპერიმენტი (პრეტესტი, დაკვირვება მიღწევის ტესტი).
მე-2 კვლევა	შერეული სწავლების გავლენა დაბალი და მაღალი მოსწრების სტუდენტთა სწავლის შედეგზე.	2018-2019 წ.წ.	შერეული სწავლების ეფექტიანობის დამტკიცება სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტთათვის, ესპანური ენის ელექტრონული კურსის გამოყენებით.	თსუ-ის ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) სტუდენტები (20 სტუდენტი).	თვისებრივი კვლევა; დაკვირვება.



<b>კვლევა</b>	კოვიდ-19-ის პერიოდში ესპანური ენის სწავლება-სწავლის პროცესისა და ასინქრონული ელექტრონული სასწავლო აქტივობების ეფექტიანობის კვლევა.	2020 წ.	„დაშორებით“ რეჟიმში ესპანური ენის სწავლებისას წარმოქმნილი პრობლემების შესწავლა და ამ ვითარებაში ასინქრონული ელექტრონული სასწავლო აქტივობების ეფექტიანობის გამოკვეთა.	ოსუ-ის, საქართველოს უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივერსიტეტის ესპანური ენის (მეორე უცხოური ენა) სტუდენტები და ესპანური ენის პედაგოგები (42 სტუდენტი და 6 პედაგოგი).	თვისებრივი კვლევა;  დაკვირვება, გამოკითხვა.
<b>მე-4 კვლევა</b>	ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე).	2021 წ.	ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის ადაპტაცია ქართულ რეალობაში როგორც ტრადიციულ სააუდიტორიო, ასევე საგანგებო დაშორებით რეჟიმში მუშაობისას და ამ მოდელის ეფექტიანობის ამაღლების გზებისა და შემდგომი რეკომენდაციების შემუშავება.	ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) შემსწავლელი ოსუ-ის სტუდენტები (სულ 52 სტუდენტი).	თვისებრივი კვლევა;  პედაგოგიური ექსპერიმენტი – ერთი ჯგუფის დროის სერიები; გამოკითხვა (კითხვარი ღია კითხვებით).

სადისერტაციო ნაშრომის დანართში ვრცლად არის აღწერილი 2014 - 2020 წლებში ჩატარებული კვლევების მიზნები, ამოცანები, მეთოდოლოგია და შედეგები.

## **კვლევა – 2021 წლის გაზაფხულის სემესტრი**

### **კვლევის მიზანი**

ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის ადაპტაცია ქართულ რეალობაში როგორც სააუდიტორიო, ისე „დამორებით“ სწავლების რეჟიმში და ამ მოდელის ეფექტიანობის ამაღლების გზებისა და შემდგომი რეკომენდაციების შემუშავება.

### **ამოცანები**

- შერეული სწავლების სხვადასხვა მოდელის ანალიზი;
- ესპანური ენის შერეული სწავლებისთვის აქტივობების, სასწავლო მასალის შემუშავება;
- თსუ-ში ესპანური ენის, როგორც საფაკულტეტო ევროპული ენის, შერეული სწავლება-სწავლის პროცესში შემუშავებული მოდელის აპრობაცია;
- თსუ-ში ესპანური ენის, როგორც საფაკულტეტო ევროპული ენის, სწავლის შედეგის (ენობრივი კომპეტენციების – მეტყველების, წერის, წაკითხულისა და მოსმენილის გაგების უნარების – თანაბრად განვითარება სილაბუსით განსაზღვრული დონის შესაბამისად და ენის დამოუკიდებლად შესწავლის უნარების შეძენა) შეფასება;
- დასკვნები და რეკომენდაციები.

### **კვლევის საგანი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) შერეული სწავლების მოდელი.

### **კვლევის ობიექტი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) შერეული სწავლება-სწავლის პროცესი.

### **კვლევის ხანგრძლივობა**

15 კვირა (კვირაში 16 სთ).

**ცდისპირები** – ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) შემსწავლელი თსუ-ის სტუდენტები, რომლებიც „დაშორებით“ რეჟიმში ესპანურ ენას შერეული მოდელით შეისწავლიან.

კვლევის დაწყებამდე ენის ცოდნის დონე – A1. სულ 52 სტუდენტი (18-29 წლის).

### **კვლევის ჰიპოთეზა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) შერეული სწავლების მოდელი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებასა და სწავლის სასურველი შედეგის (ენობრივი კომპეტენციების თანაბრად განვითარება სილაბუსით განსაზღვრული დონის შესაბამისად და ენის დამოუკიდებლად შესწავლის უნარის გამომუშავება) მიღწევას.

### **მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები**

კვლევის დაგეგმვისას უპირატესობა თვისებრივ მიდგომას მივანიჭე, რომლის ვალიდიზაცია გულწრფელმა, ღრმა და მოცულობითმა მონაცემებმა და კვლევის ერთზე მეტმა მეთოდმა უზრუნველყო. კვლევის ინსტრუმენტებად პედაგოგიური ექსპერიმენტი – ერთი ჯგუფის დროის სერიები და გამოკითხვა (კითხვარი ღია კითხვებით) ავარჩიე.

### **კვლევის ინსტრუმენტების შერჩევის საფუძველი**

პედაგოგიური ექსპერიმენტის ფორმა – ერთი ჯგუფის დროის სერიები – გამოკვეთს ცვლადების მნიშვნელობას და ახდენს ჰიპოთეზის შემოწმებას, იგი ამ კონკრეტული საკვლევი თემისთვის ვალიდური და სანდო ინსტრუმენტია.

ექსპერიმენტი ბუნებრივ სასწავლო გარემოში სწავლების შერეული მოდელის იმპლემენტაციასა და დასაკვირვებელი სიტუაციის ხელოვნურად გამოწვევას გულისხმობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანური ენის შერეული სწავლების გარკვეული გამოცდილება ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში უკვე არსებობდა, არსებულ ვითარებაში (საგანგებო დაშორებით სწავლების რეჟიმი) ხსენებული მოდელის ექსპერიმენტულ

დანერგვაზე (ინტეგრირებული შერეული სწავლება) დაკვირვება განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო.

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას, განმეორებითმა ტესტირებამ და დაკვირვებამ ჩარევამდე და ჩარევის შემდეგ, მონაწილეები საკუთარი თავის მაკონტროლებელ ჯგუფად აქცია (დესკრიპტული ვალიდობა).

გამოკითხვა (კითხვარი ღია კითხვებით) ემსახურებოდა კომპლექსური საკითხების შესწავლას, რესპონდენტები (თსუ-ის ესპანური ენის სტუდენტები და პედაგოგები) პასუხის ფორმულირებაში შეზღუდულნი არ იყვნენ. გამოიკვეთა საკვლევი თემის ამოცანები, ცვლადების მნიშვნელობა და შესაძლებელი გახდა ჰიპოთეზის შემოწმება (ინტერპრეტაციული ვალიდობა).

### **ეთიკური პრინციპები**

კვლევის პროცესში ეთიკური პრინციპები დაცული იყო. სტუდენტები ნაწილობრივ ინფორმირებულნი იყვნენ ექსპერიმენტის – სასწავლო პროცესის განსხვავებული ფორმით განხორციელების – შესახებ, თუმცა არ დამიკონკრეტებია, რომ მათი საქმიანობის დეტალური აღწერა ხდებოდა. ამით თავიდან იქნა არიდებული ცდისპირთა დაძაბულობა და ხელოვნური ქცევა. ექსპერიმენტისა და მონაცემების შეჯამების შემდეგ, მათ ეს ინფორმაცია მიიღეს და მონაცემების გამოყენების ნებართვის თხოვნაზე დასტური განაცხადეს. გამოკითხვა (კითხვარი ღია კითხვებით) რესპონდენტთა ანონიმურობის დაცვით ჩატარდა.

**დამოკიდებული ცვლადები** – ესპანური ენის სწავლება-სწავლის პროცესის ხარისხის ამაღლება, მეტყველების, წერის, წაკითხულისა და მოსმენილის გაგების უნარების განვითარება, სილაბუსით განსაზღვრული დონის შესაბამისად (A2) და სტუდენტთა ავტონომიურობა.

**დამოუკიდებელი ცვლადი** – ქართულ რეალობაში ადაპტირებული შერეული სწავლების მოდელი, რომლის მეშვეობითაც ხდება სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და სტუდენტის ენობრივი კომპეტენციებისა და დამოუკიდებელი შემსწავლელის უნარების შესაბამის დონეზე განვითარება.

**დამატებითი ცვლადები** – ტექნიკური პრობლემები, სინქრონული და ასინქრონული აქტივობების შინაარსი და თანაფარდობა, სტუდენტთა ინდივიდუალური მიდგომა ამა თუ იმ აქტივობისადმი, თითოეული სტუდენტის სწავლის ინდივიდუალური უნარები და ა.შ.

**პრეტესტირება** – პრეტესტირების დროს მოხდა ცდისპირთა ცოდნის ზუსტი შეფასება, რამაც მათი აკადემიური პროგრესის განსაზღვრა და ექსპერიმენტის შემდგომი მიღწევის ტესტის ვალიდურობა უზრუნველყო.

### **საველე სამუშაოები**

- პედაგოგიურ ექსპერიმენტზე დაკვირვების შედეგად ჩანაწერების წარმოება და მონაცემთა ანალიზის პროცესი;
- პრეტესტის, შუალედური ტესტისა და პოსტტესტის შედგენა;
- კითხვარების შედგენა, პილოტირება და დებულებების დახვეწა;
- ელექტრონული კითხვარების ბმულების რესპონდენტებისთვის გაზიარება;
- კითხვარების პასუხების ანალიზი და საკითხების მიხედვით დაჯგუფება.

**მონაცემთა ანალიზის პროცესი** – ექსპერიმენტზე დაკვირვებისას წარმოებული ჩანაწერები პერიოდულად ექვემდებარებოდა ანალიზს, რაც ინფორმაციის შეჯამებასა და კვლევისთვის საინტერესო საკითხების მიხედვით დაჯგუფებაში გამოიხატებოდა.

პოსტტესტირების შედეგების ანალიზის დროს, ცდისპირების ქულებს მათივე პრეტესტის ქულებს ვადარებდი და თითოეული ცდისპირის სწავლის პროცესში ჩართულობის გათვალისწინებით, მათი აკადემიური პროგრესის ანალიზს ვაკეთებდი.

კითხვარებიდან მიღებული ინფორმაციის განზოგადების შემდეგ, მისი დაკვირვებისა და პოსტტესტირების შედეგებთან შედარება მოხდა. საბოლოო დასკვნები კი ჰიპოთეზის დამადასტურებელ და უარყოფ ფაქტებად დაიყო.

### **ძიებითი კვლევა ექსპერტებთან**

კვლევის აქტუალობის გამოსაკვეთად და თემის დასაკონკრეტებლად ჩავატარე თვისებრივი ძიებითი კვლევა ესპანური ენის პედაგოგებთან. გამოკითხვის მიზანი იყო

კოლეგების მუშაობის სპეციფიკის, შერეული სწავლების შესახებ მათი მოსაზრებებისა და ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ჩართვის მათ მიერ გამოყენებული ხერხების გაცნობა. ასევე, დავინტერესდი, იყენებდნენ თუ არა ელექტრონულ კურსს, შერეული სწავლების მიზნით, როგორც პრეკოვიდურ, ისე კოვიდ-19-ის პერიოდში „დაშორებით“ რეჟიმში მუშაობისას.

გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი დამეხმარა თსუ-ში ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ჩართვის სხვადასხვა ხერხი გამეცნო.

როგორც მოსალოდნელი იყო, პედაგოგთა უმეტესობა ესპანური ენის სწავლების შერეულ მოდელს დადებითად უყურებს, თუმცა მისი განხორციელების გზები ჯერ ნათლად არა აქვს წარმოდგენილი. ფიქრობენ, რომ ელექტრონული კურსის გარდა, მასალის სტუდენტთათვის შეთავაზების ალტერნატიული გზებიც არსებობს და დამატებითმა რესურსმა, შესაძლოა, სასწავლო პროცესი გადატვირთოს. ასევე, დაბრკოლებას წარმოადგენს სტუდენტთა მხრიდან სასწავლო მასალის დამოუკიდებლად დამუშავების ნაკლები მზაობა. პედაგოგები შიშობენ, რომ ტექნიკურმა პრობლემებმა შესაძლოა, სტუდენტთა ნაწილს მასალის ასინქრონულად დამუშავებაში ხელი შეუშალოს.

შეტრიალებული სასწავლო პროცესის გამოცდილება დაფიქსირდა მხოლოდ ერთ პედაგოგთან.

საერთო ჯამში, გამოიკვეთა, რომ გარკვეული ეჭვების მიუხედავად, მომავალში ესპანური ენის პედაგოგთა ნაწილს სასწავლო პროცესის შერეული მოდელით წარმართვის მზაობა აქვს. ისინი ხსენებული მოდელის წარმატებით გამოყენების მაგალითებს ყურადღებით ადევნებენ თვალყურს.

### **უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება**

საერთაშორისო გამოცდილების გაცნობის მიზნით, გამოვკითხე ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტში მოღვაწე ესპანური ენის პედაგოგები (ბორის გრინჩენკოს კიევის უნივერსიტეტი, კარაზინის ხარკოვის ეროვნული უნივერსიტეტი, სოფიის წმინდა კლიმენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, ალიკანტეს, ჰაიდელბერგის,

ვილნიუსის უნივერსიტეტები). კვლევის მიზანი ესპანური ენის სწავლების პროცესში ესპანური ენის შერეული სწავლებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ხერხების გაცნობა იყო.

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზემოხსენებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ესპანური ენის სწავლების პროცესში სასწავლო პლატფორმის (უმეტესად „Moodle“) გამოყენება არასავალდებულოა, თუმცა ეს რესურსი შერეული სწავლება-სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია. სასწავლო მასალების ატვირთვა, სხვადასხვა ტესტის შექმნა, პედაგოგის უკუკავშირი, წერიტი ინტერაქცია და შეტრიალებული სასწავლო პროცესი ელექტრონული კურსის მეშვეობით ხორციელდება.

### **ექსპერიმენტზე დაკვირვება**

კვლევის დროს ვიყენებდი შედეგების დაფიქსირების სამ ეტაპს: მონაცემთა პირველადი ჩაწერა, დღიური და კვლევის ანგარიში, სადაც მონაცემების აღწერის გარდა, მათი წინასწარი ანალიზი და დასკვნები იყო მოყვანილი.

სტუდენტებს შემოდგომის სემესტრში უკვე ჰქონდათ ციფრული ტექნოლოგიებისა და ესპანური ენის ელექტრონული კურსის სასწავლო პროცესში ჩართვის გარკვეული გამოცდილება (ელექტრონულ კურსზე სასწავლო მასალების გაცნობა და დავალებების ატვირთვა), თუმცა გაზაფხულის სემესტრიდან ელექტრონულ ასინქრონულ აქტივობებს უფრო მეტად ორგანიზებული სახე მიეცა. სინქრონული და ასინქრონული აქტივობების თანაფარდობა წინასწარ იყო დაგეგმილი და კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული. სემესტრის დასაწყისში ცდისპირებს განემარტათ, თუ რაში მდგომარეობდა და რა შედეგს მოუტანდა სწავლება-სწავლის ფორმის ამგვარი ცვლილება.

### **ცდისპირთა დამოკიდებულება, ესპანური ენის სწავლების შერეული მეთოდის მიმართ**

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების ყველა საფეხურზე უკვე დანერგილ პრაქტიკად მიიჩნევა, ის თანამედროვე სტანდარტები, რომლებითაც საგანმანათლებლო დაწესებულებები დაწყებით, საბაზისო და საშუალო საფეხურებზე უნდა ხელმძღვანელობდნენ, ხშირად მხოლოდ ფურცელზე რჩება და

მათი განხორციელება არასაკმარისად ხდება. ამ მოსაზრების საფუძველს მაძლევს თსუ-ის სტუდენტებზე დაკვირვება და მათი გამოკითხვის შედეგები, საიდანაც ვასკვნი, რომ უცხოური ენის შესწავლა მათთვის ტრადიციულ მეთოდებთან ასოცირდება და სწავლების თანამედროვე მიდგომები მათი უმრავლესობისთვის სიახლეს წარმოადგენს. ამის გამო, ესპანური ენის შერეული მეთოდით სწავლების დასაწყისში, სტუდენტებს მცირედი დაბნეულობა და დამაბულობა ეტყობოდათ. ისინი დარწმუნებულნი არ იყვნენ, რომ მარტივად გაუმკლავდებოდნენ ენის ახლებური ხერხებით შესწავლას.

თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, შერეული მოდელი მათთვის სწავლის ჩვეულ ფორმად იქცა და მათი მიდგომაც შეიცვალა.

### **ციფრული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და გამოყენების უნარ-ჩვევები**

შერეული სწავლების ერთ-ერთი უპირატესობა ტექნიკური პრობლემების შემსუბუქებაც აღმოჩნდა. სტუდენტებს ლექციის აღდგენის საშუალება ესპანური ენის ელექტრონული კურსის მეშვეობით ეძლეოდათ, სადაც თანმიმდევრული სასწავლო მასალის დამოუკიდებლად დამუშავება ნებისმიერ დროს იყო შესაძლებელი. კურსზე ხდებოდა სინქრონული ლექციის ვიდეოჩანაწერის ატვირთვაც და, გაუგებრობის შემთხვევაში, პედაგოგთან ან ჯგუფელებთან ვირტუალური კონსულტაცია.

რაც შეეხება შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონას, სემესტრის დასაწყისში სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა აცხადებდა, რომ ვერ ახერხებდა კურსზე დარეგისტრირებას, ან კონკრეტული მასალის მოძიებას, თუმცა, როდესაც ნათელი გახდა, რომ მასალის დამუშავება სხვაგვარად ვერ მოხერხდებოდა, მათ პრობლემების მოგვარება შეძლეს. ამ ფაქტმა სტუდენტთა თავდაჯერებულობასა და მოტივაციაზე დადებითად იმოქმედა და სწავლის ხალისმაც იმატა.

სამწუხაროდ, რამდენიმე სტუდენტს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არქონამ შერეული სწავლების უპირატესობებით სრულყოფილად სარგებლობაში ხელი შეუშალა.



## დასწრება

სწავლების „დაშორებით“ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ, დასწრების მაჩვენებელმა იმატა, თუმცა სემესტრის დასასრულს სტუდენტთა ერთ ჯგუფს (14 სტუდენტი) გაცდენები დაუგროვდა.

ჩემი დაკვირვებით, სტუდენტი ლექციებზე დასწრებას, ძირითადად, თავს მაშინ ანებებს, როდესაც პროგრამას ჩამორჩება და მორიდების ან, უბრალოდ, მისთვის უცნობი და რთული მასალის თავიდან არიდების მიზნით, სასწავლო პროცესში ჩართვას სამომავლოდ გადადებს.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად სტუდენტთა ზემოხსენებულ ჯგუფს შევთავაზე, რომ პროგრამა ელექტრონულ კურსზე არსებული გამარტივებული სასწავლო მასალის მეშვეობით დაესრულებინა. თუმცა, ლექციის მიმდინარეობისას საერთო მუშაობაში ჩართულობა აუცილებელი პირობა იყო.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ დასწრების მაჩვენებელმა შედარებით მოიმატა. სტუდენტთა ხსენებულმა ჯგუფმა სილაბუსით გათვალისწინებული მინიმალური, თუმცა A2 დონისთვის საკმარისი ენობრივი კომპეტენციები შეიძინა. მათ ნაწილს ენის შესწავლის დამოუკიდებლად გაგრძელების ინტერესიც გაუჩნდა. ეს შედეგი, ბუნებრივია, სტუდენტთა მიერ სწავლის შუა გზაზე მიტოვებას სჯობდა.

რაც შეეხება მაღალი მოსწრების სტუდენტებს, შერეული სწავლების მოდელი მათთვის ეფექტიანი და მოსაწონი აღმოჩნდა. გაცდენის ან დაგვიანების იშვიათ შემთხვევებში, დავალებების აღდგენა კურსზე არსებული მასალითა და ლექციების ვიდეოჩანაწერით ხდებოდა.

## ქართულენოვან სტუდენტთა საჭიროებების მიხედვით ადაპტირებული გრამატიკული მასალა

ესპანური ენის ელექტრონული კურსისთვის გრამატიკული მასალის შემუშავების დროს ვითვალისწინებდი ესპანური ენის ქართველ შემსწავლელთა მიერ ხშირად დაშვებული შეცდომებისა და სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გამოსავლენად ქართველ და ესპანელ პედაგოგთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს.

კონკრეტული გრამატიკული მასალის დამუშავებამდე, ცვდილობდი სტუდენტები ახალი მასალის გასაცნობად შემემზადებინა. საუბრის, ტექსტებისა და აუდიო-ვიზუალური მასალის დამუშავების დროს, ან კურსზე არსებულ დავალებებში სტუდენტებს ჯერ კიდევ უცნობი გრამატიკული მასალის მაგალითები ხვდებოდათ. თუმცა, თანდათანობით, გამოყენებული ფრაზების კონტექსტთან დაკავშირების გზით, მათი ნაწილის მნიშვნელობის ლოგიკური აღქმა და გააზრება ხდებოდა.

შემდეგი ეტაპი გრამატიკული მასალის ინდუქციური მეთოდით ათვისება იყო, რა დროსაც სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის დავალებას ვაძლევდი – ტექსტის გამუქებული სიტყვების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება, აუდიოვიზუალურ მასალაში სამიზნე გრამატიკულ მასალაზე დაკვირვება, ერთი შემთხვევის შესწავლა და მისი განზოგადება, ჰიპოთეზების ჩამოყალიბება და ა.შ.

გრამატიკული წესების დამოუკიდებლად გაცნობა შეტრიალებული სასწავლო პროცესის დროს კურსზე არსებული კონსპექტის ტიპის ჩანაწერებით ხდებოდა, სინქრონული მეცადინეობისას კი სტუდენტები საკუთარ მოსაზრებებსა და მაგალითებს ასახელებდნენ და, საჭიროების შემთხვევაში, კითხვებს სვამდნენ.

სინქრონულ ლექციებზე გრამატიკულ წესებსა და ფორმებს ნაკლებად განვიხილავდით, მათ პრაქტიკულ გამოყენებას სტუდენტები სპონტანური დიალოგების აგების ან ინტერაქტიული თამაშების დროს ცდილობდნენ.

შედეგად, პირისპირ მეცადინეობა მეტად დინამიკური, სახალისო და გრამატიკული მასალის პრაქტიკულ გამოყენებაზე ორიენტირებული იყო. ამ პროცესში, თავდაპირველად, გარკვეული ხარვეზებიც გამოიკვეთა. გამომდინარე იქიდან, რომ გრამატიკული მასალის გამოკითხვა სინქრონული ლექციების დროს არ ხდებოდა, სტუდენტთა ნაწილი დავალებას იშვიათად ასრულებდა. თუმცა, როდესაც ნათელი გახდა, რომ ელექტრონული დავალებების შესრულების გარეშე ლექციაზე აქტიურობა და სხვადასხვა სახალისო აქტივობაში ჩართვა შეუძლებელი იყო, ელექტრონული დავალებების შესრულებამ სისტემატური სახე მიიღო და სტუდენტთა უმეტესობა სწავლების ახალ სტილს თანდათანობით შეეჩვია.

## **სასწავლო დროისა და მასალის ორგანიზება**

დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ შერეული სწავლების უპირატესობა, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო დროისა და მასალის სწორად ორგანიზების შესაძლებლობაა.

კურსზე არსებული მასალა იმგვარად იყო შერჩეული, რომ მისი დამოუკიდებლად დამუშავება სასიამოვნო ყოფილიყო და სტუდენტი სინქრონული აქტივობებისთვის შეემზადებინა.

სინქრონული მეცადინეობის გაცდენის შემთხვევაში, ელექტრონული კურსი სტუდენტს გამოტოვებული მასალის აღდგენის საშუალებას აძლევდა. გავლილი მასალის გამეორება და, სურვილის შემთხვევაში, წინსწრებით დამუშავებაც სტუდენტის არჩევანი იყო. რამდენიმე მათგანმა ამ შესაძლებლობით ისარგებლა და კურსზე არსებული სასწავლო მასალა წინასწარ, დამოუკიდებლად დაამუშავა. შესაბამისად, სემესტრის დასასრულს მათი ცოდნის დონე სილაბუსით გათვალისწინებულზე მაღალი იყო.

## **შეტრიალებული სასწავლო პროცესი**

შეტრიალებული სასწავლო პროცესის შესახებ სტუდენტთა თავდაპირველი დამოკიდებულება სკეპტიკური იყო, რადგან სწავლის ტრადიციული მოდელის ეს ალტერნატივა მათთვის ბუნდოვანი და წარმოუდგენელი აღმოჩნდა. სტუდენტთათვის რთულად აღსაქმელი იყო ის პასუხისმგებლობა, რომელიც სწავლის დროს უნდა გამოეჩინათ. არსებობდა სასწავლო პროცესზე კონტროლის დაკარგვის საშიშროებაც, თუმცა, მიმაჩნია, რომ სწავლების ამ ხერხმა სტუდენტთა უმეტეს ნაწილთან გაამართლა.

შეტრიალებული სასწავლო პროცესის დროს როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური მასალის დამუშავება ონლაინ სავარჯიშოებითა და შესაბამისი აუდიოვიზუალური მასალის დახმარებით დამოუკიდებლად, ელექტრონულად ხორციელდებოდა.

შეტრიალებული სასწავლო პროცესის მეშვეობით, სტუდენტებთან პირისპირ მუშაობა ბევრად საინტერესო, სახალისო და ნაყოფიერი იყო, რადგან დრო უკვე ათვისებული

მასალის პრაქტიკულ გამოყენებას ეთმობოდა (როლური თამაშები, ამბების მოყოლა, კამათი, კითხვა-პასუხი და ა.შ.).

შეტრიალებული სასწავლო პროცესის ნაკლოვანება მხოლოდ ის იყო, რომ სტუდენტი, რომელსაც მასალა წინასწარ დამუშავებული არ ჰქონდა, მეცადინეობის პროცესში ჩართვას ვერ ახერხებდა. თუმცა გარკვეული ცოდნის მიღება მუშაობის პროცესშიც იყო შესაძლებელი.

### **ავტონომიურობა და სასწავლო სტრატეგიების შემუშავება დამოუკიდებელი მუშაობისთვის**

სააუდიტორიო მეცადინეობებისთვის გამოყოფილი დროის სიმცირის კომპენსირებისთვის, სტუდენტთა ავტონომიურობის განვითარება და სწავლის ხერხებისა და სტრატეგიების შერჩევაში მათი დახმარება უმთავრესია.

სწავლის დასაწყისში სტუდენტებს ავუხსენი, რომ მათი ავტონომიურობა იყო ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ სწავლის პროცესში უნდა გამოეჩინათ. ვთხოვე, საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებს დაკვირვებოდნენ და დამოუკიდებელი შემსწავლელის თვისებების შესაძენად საჭირო პირობები მაქსიმალურად გაეთვალისწინებინათ. ეს პირობებია:

- სწავლის პროცესის კონტროლი და სასწავლო მასალის დროში გონივრულად გადანაწილება;
- ინდივიდუალური სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება;
- არსებული სასწავლო რესურსებით სარგებლობა;
- სწავლის ახალი ხერხების მოსინჯვა (ჯგუფში სწავლის სხვადასხვა ხერხზე ვისაუბრეთ და ერთმანეთს გამოცდილება გავუზიარეთ. სტუდენტებს ავუხსენი, რომ მნიშვნელოვანი იყო საკუთარი, ინდივიდუალური სწავლის ხერხები შეემუშავებინათ და დაკვირვებოდნენ, რა გზებით ახერხებდნენ მასალის უკეთ ათვისებას);
- ესპანური ენის გამოყენება (ნასწავლი მასალის მუდმივად დაკავშირება რეალურ სამყაროსთან და მისი პრაქტიკულად გამოყენება);

- ჯგუფელებთან თანამშრომლობა;
- ტოლერანტულობა შეცდომების მიმართ – სწავლის დაწყებით საფეხურზე შეცდომის დაშვება ბუნებრივი მოვლენაა და პრიორიტეტი უცხოურ ენაზე აზრის ჩამოყალიბებას უნდა მიენიჭოს, სტუდენტებს ავუხსენი, რომ შეცდომის დაშვება და მისი გამოსწორება სწავლის პროცესის შემადგენელი ნაწილია და შეცდომები მათ ცოდნას არ აკნინებს;
- თვითშეფასება და ჯგუფელების შეფასება – „დაშორებით“ სწავლების რეჟიმის ერთ-ერთი უპირატესობა ლექციის ვიდეოჩანაწერის პედაგოგიური მიზნებით გამოყენება იყო. კურსზე ატვირთული სინქრონული ლექციების ვიდეოჩანაწერების გაცნობა და სტუდენტთა თვითშეფასება პერიოდულად ხდებოდა. მათ ასევე ერთმანეთის შესაფასებლად და შეცდომების გამოსასწორებლად ვიყენებდით. ეს პრაქტიკა სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების განსავითარებლად ძალზე ნაყოფიერი იყო.

ესპანური ენის ელექტრონულ კურსზე დარეგისტრირების შემდეგ, სტუდენტებს ვუჩვენე თითოეული აქტივობისა და დავალების დამოუკიდებლად შესრულების შესაძლო ხერხები, სანდო წყაროების მოძიების გზები და იმ აქტივობების ერთობლიობა, რომლებიც მათი ენობრივი კომპეტენციების განვითარებას ხელს შეუწყობდა. შერეული სწავლება დამეხმარა, სტუდენტებში დამოუკიდებელ შემსწავლელთა გარკვეული უნარები განმევითარებინა, რათა მათ, სურვილის შემთხვევაში, ესპანური ენის სწავლის დამოუკიდებლად გაგრძელება შეძლებოდათ.

### **მოტივაცია/დემოტივაცია**

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაზე დაკვირვებით, სტუდენტთა უმეტესობა, ესპანური ენის შესწავლის დასაწყისში, მოტივირებულია და პოზიტიური განწყობით გამოირჩევა. პედაგოგის მიზანიც სწორედ ამ განწყობის შენარჩუნება და ამაღლება უნდა იყოს, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა. მასალის სირთულე და სიჭარბე, გარე ფაქტორები, სხვადასხვა სუბიექტური მიზეზის გამო სასწავლო პროცესს ჩამორჩენა სტუდენტის მოტივაციას ანელებს და, საბოლოოდ, სწავლის პროცესი ზოგიერთი მათგანისთვის ტვირთად იქცევა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სწავლების დასაწყისში სტუდენტებს განვუმარტე ის რეალური გამოწვევები, რომლებიც ესპანური ენის შესწავლას უკავშირდება – მასალის სირთულე, ენის შესწავლის ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრის აუცილებლობა, სწავლის მოსალოდნელი შედეგების გააზრება და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების არეალის წარმოდგენა, ენის შესასწავლად ყოველდღიურად დროის გამოყოფისა და სისტემატური მეცადინეობისთვის მზადყოფნა, საკუთარი პროგრესისა და სასწავლო პროცესის შეფასება და ა.შ.

ჩემი მხრივ, სწავლების პროცესში სასწავლო მასალების შერჩევისას და ელექტრონული თუ სინქრონული აქტივობების შეთავაზებისას, ვცდილობდი სტუდენტთა ინტერესები გამეთვალისწინებინა და მასალა მათ ინდივიდუალურ უნარებსა და საჭიროებებზე მომერგო. ჩემი ნებისმიერი ქმედება – ჭარბი დავალებების თავიდან აცილება, მასალის თანმიმდევრულობა, შეცდომების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება და პრიორიტეტების განსაზღვრა მათი მოტივაციის შენარჩუნებისკენ იყო მიმართული. თითოეული სტუდენტის თავდაჯერებულობის მისაღწევად ვცდილობდი, მათთვის დავალების რამდენიმე ვერსია შემეთავაზებინა და, სირთულის მიხედვით არჩევის საშუალება მიმეცა. ჰუმანური მიდგომის, დაძლევადი დავალებებისა და, შესაბამისად, დადებითი შეფასების გამო, წარმატებულობის განცდა მათი მოტივაციის ამაღლებას იწვევდა.

### **სასწავლო მეთოდებისა და ხერხების კომპლექსური გამოყენება და ენობრივი კომპეტენციების თანაბრად განვითარება**

შერეულმა სწავლებამ მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდებისა და ხერხების გამოყენების საშუალება მომცა, რამაც სწავლის პროცესისადმი ინტერესის შენარჩუნებასა და ენობრივი კომპეტენციების თანაბრად განვითარებას ხელი შეუწყო. წაკითხულისა და მოსმენილის გაგებისა და წერითი კომპეტენციების განმავითარებელი აქტივობები – ლიტერატურული ტექსტებისა და აუდიოვიზუალური მასალის გაცნობა და ანალიზი, სხვადასხვა ტიპის ესესა და წერილის დაწერა, კითხვებზე პასუხი და ა.შ. ძირითადად, ელექტრონული კურსის მეშვეობით ხორციელდებოდა. წერითი დავალებების შესრულება და კორექციული უკუკავშირიც ელექტრონულად ხდებოდა. პერიოდულად სტუდენტებს ერთმანეთის ნაშრომის

შესწორებას ვთხოვდი და მათ შეფასებას ჩემსას ვაძარებდი. ზოგჯერ სინქრონული ლექციის ვიდეოჩანაწერს სტუდენტთა თვითშეფასებისა და ერთმანეთის შეფასების მიზნითაც ვიყენებდი. სწავლების ამ ხერხმა, თავად გამსწორებელთა ენობრივი კომპეტენციების განვითარებაზე დადებითად იმოქმედა.

ასევე მსურს აღვნიშნო წერითი ინტერაქციის დადებითი შედეგები. სტუდენტებს სოციალური ქსელის გამოყენებით პერიოდულად ვუსვამდი შეკითხვას (მაგალითად, რისი გაკეთება გენატრებათ პრეკოვიდური ცხოვრებიდან? დაასახელეთ თქვენი ცხოვრების სამი მნიშვნელოვანი მიღწევა, დაასახელეთ თქვენთვის მისაბამი ცნობილი ადამიანი და დაწერეთ მიზეზი, რის გამოც მოგწონთ, ქალის ცხოვრება და როლი ძველად და თანამედროვე სამყაროში, სიყვარულის ისტორია და ა.შ). კითხვების შედგენისას მაქსიმალურად ვითვალისწინებდი სტუდენტთა ასაკისთვის დამახასიათებელ სასაუბრო თემებს, მათი ინტერესის სფეროებს და მაგალითის მისაცემად, დასმულ შეკითხვას პირველი ვპასუხობდი. ამ აქტივობის მთავარი სარგებელი ბუნებრიობა და საჭიროებისა და ინტერესის მიხედვით, ენის გამოყენება იყო. სტუდენტთა აქტიურობამ მოლოდინს გადააჭარბა და აღნიშნულმა აქტივობამ მათი წერითი კომპეტენციის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

წერითმა ინტერაქციამ მეტყველების კომპეტენციის განვითარებაზეც დადებითად იმოქმედა, რადგან კომენტარები, ძირითადად, ზეპირმეტყველებისთვის დამახასიათებელი ლექსიკით იყო გადმოცემული. თუმცა, ამ აქტივობის გარდა, მეტყველების კომპეტენციის განვითარებას სინქრონული მეცადინეობების თითქმის მთელი დრო ეთმობოდა.

### **სტუდენტთა ურთიერთთანამშრომლობა**

შერეული სწავლება „დამორებით“ რეჟიმში მუშაობის დროს ხელს უწყობდა სტუდენტთა სოციალური უნარების გაუმჯობესებას, მათი პასუხისმგებლობის გრძნობისა და ემპათიის დონის ამაღლებას.

ჯგუფური დავალებების შესრულებისას სტუდენტები, გარკვეულწილად, ახერხებდნენ იმ ურთიერთობების დანაკლისის ანაზღაურებას, რომელიც ადრე, აუდიტორიაში მუშაობისას ბუნებრივად ჰქონდათ. ამიტომ ჯგუფური დავალებების შესრულება მათთვის განსაკუთრებით სახალისო და საინტერესო იყო.

წყვილებად ან პატარა ჯგუფებად დაყოფილი სტუდენტები პასუხისმგებლობას იღებდნენ აქტივობის საკუთარი წილის შესრულებაზე, პირისპირ შეხვედრამდე, ერთმანეთს ვირტუალურად აცნობდნენ საკუთარ ნამუშევარს და, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოს შესრულებაშიც ეხმარებოდნენ.

### **სასწავლო გარემო**

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის ჩატარების პერიოდი კოვიდ-19-ის პანდემიას დაემთხვა, პოზიტიური გარემოს შექმნა არა მხოლოდ სასწავლო პროცესისთვის იყო სასარგებლო, არამედ სტუდენტთა ცხოვრების იმ მონაკვეთის გახალისებას ისახავდა მიზნად, რომელიც ესპანური ენის შესასწავლად ჰქონდათ გამოყოფილი.

სტუდენტებთან მუშაობისას მათი სასწავლო აქტივობებისადმი პოზიტიური განწყობის შექმნასა და შენარჩუნებას შემდეგი მიდგომებით ვცდილობდი – ჰუმანური დამოკიდებულება, შეცდომების მიმართ ტოლერანტულობა, შექება, მაღალი ქულებით წახალისება, მასალის სახალისო და საინტერესო ხასიათი, სტუდენტთა არჩევანის პატივისცემა, მათი ინდივიდუალური პრობლემების გათვალისწინება, თანაბარი სასწავლო პირობების შექმნა და სხვა.

სინქრონული მეცადინეობებისას პოზიტიური გარემოს შექმნაში ხელს მიწყობდა ის აქტივობები, რომელთა განსახორციელებლად საჭირო დრო შერეული სწავლების დამსახურებით მრჩებოდა.

### **სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო აქტივობებში**

სწავლა სწავლის პროცესის შეგრძნების გარეშე არსებულ ვითარებაში („დაშორებით“ სწავლების რეჟიმი) შედარებით რთული აღმოჩნდა, თუმცა, გარკვეული აქტივობებისა და ჯგუფური მუშაობის მეშვეობით, მაინც ხერხდებოდა დავალების შესრულებაში სტუდენტთა იმგვარი ჩართულობა, რომ მათ ლექციაზე ყოფნის შეგრძნება დაეკარგათ. ეს შეგრძნება, ძირითადად, ისეთი აქტივობების შესრულებისას შეინიშნებოდა, რომლებიც მათი წარმოსახვის უნარს მოითხოვდა – ფილმის ან მოთხრობის ალტერნატიული დასასრულის მოფიქრება, საკუთარ სურვილებსა და ოცნებებზე საუბარი, სასურველი, განსხვავებული რეალობის წარმოდგენა, საკუთარი ან ახლობელი ადამიანების მომავალი ცხოვრების წარმოდგენა და ა.შ.



## **კითხვითი კომპეტენციის განვითარება**

სასწავლო მასალის ნაწილის ელექტრონულ ფორმატში გადატანამ საშუალება მომცა, სალექციო დროის დიდი ნაწილი კითხვითი კომპეტენციის განვითარებისთვის დამეთმო. საკითხავ მასალად ავირჩიე ესპანური ენის შემსწავლელთათვის შექმნილი სპეციალური ტექსტი, რომელიც სტუდენტთა გემოვნებასა და საჭიროებებს ესადაგებოდა. მარტივი ენა, მსუბუქი და სახალისო სიუჟეტი, ნებისმიერი ასაკისა და სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია, ჟარგონები, ხშირად გამოყენებული იდიომები სტუდენტებს მასალისადმი ინტერესის განვითარებაში ხელს უშლიდა. ტექსტის დამუშავებისას ხდებოდა მისი შინაარსის კითხვა-პასუხის რეჟიმში გადმოცემა, პერსონაჟების დახასიათება, მათ ქმედებებზე აზრის გამოთქმა, საინტერესო და საჭირო ფრაზების სხვა კონტექსტში გამოყენება და ა. შ. ტექსტის დამუშავება მისი აუდიოვერსიის საშუალებითაც იყო შესაძლებელი.

ადაპტირებული მასალის გარდა, სტუდენტებს პერიოდულად მცირე ზომის ავთენტური ტექსტებისა და მულტიმედია მასალის დამუშავებასაც ვთხოვდი, რათა მათ რთული და გაუგებარი მასალიდან აზრის გამოტანა და ძირითადი შინაარსის გააზრება შეძლებოდათ. მხოლოდ ცოდნის დონის შესაბამის მასალასთან შეხებით სტუდენტი რეალურ სიტუაციაში სირთულეს ვერ გაუმკლავდება. ავთენტური მასალის შერჩევა ფრთხილად და სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ხდებოდა, რათა ზედმეტად რთულ ან შინაარსობრივად უინტერესო მასალას მათთვის სწავლის მოტივაცია არ დაეთრგუნა. გარკვეული რჩევების მიცემის შემდეგ, მასალის არჩევას ზოგჯერ მათაც ვთავაზობდი.

## **აუდიოვიზუალური მასალით (სერიალი, ფილმი, რეკლამა, ვიდეოკლიპი) ენობრივი და სოციო-კულტურული კომპეტენციების განვითარება**

შერეული სწავლების მოდელმა შესაძლებლობა მომცა, აუდიოვიზუალური მასალის დამუშავებისთვის სალექციო დროის დიდი ნაწილი დამეთმო. აუდიოვიზუალურ მასალაზე მუშაობა ხდებოდა როგორც ინდივიდუალურად, ელექტრონული კურსის გამოყენებით (პირველადი დამუშავება), ასევე ჯგუფურად, სინქრონული მუშაობის დროს (წინასწარ, ნაწილობრივ დამუშავებული მასალის შესახებ ლექციაზე საუბარი, კითხვების დასმა და პასუხი, სხვადასხვა საკითხის შესახებ აზრის გამოთქმა,

დისკუსია, შედარება და ა.შ.). სტუდენტებს მათი ცოდნის დონის შესაბამისი სერიალის, სიმღერის, ვიდეოკლიპის, ფილმისა და სხვადასხვა თემატური ვიდეომასალის გაცნობის საშუალება ჰქონდათ. აღნიშნული მასალა ფუნქციურობისა და კულტურული ღირებულების მიხედვით შეირჩა და მისი დამუშავების დროს გრამატიკული საკითხების კონტექსტუალიზება და გრამატიკაზე არაპირდაპირი ვარჯიში ხდებოდა. აუდიოვიზუალური მასალის დამუშავება სტუდენტების საყვარელი აქტივობა იყო, რასაც მასალის საინტერესო და სახალისო შინაარსიც განაპირობებდა. აუდიოვიზუალური მასალა, ასევე, ხელს უწყობდა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. როდესაც სტუდენტს ერთი და იგივე სიტყვა ან ფრაზა სხვადასხვა მასალაში, სხვადასხვა კონტექსტში ხვდებოდა, მას უკეთ აღიქვამდა და იმახსოვრებდა.

სწავლების დაბალი საფეხურიდან გამომდინარე, ესპანური ენის კურსზე უპირატესობა სასწავლო სერიალებს, მოკლემეტრაჟიან ფილმებს, ფილმების ეპიზოდებსა და მუსიკალურ კლიპებს ენიჭებოდა, რათა სტუდენტებს აუდიოვიზუალური მასალის დამუშავების საშუალება, საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით, მისცემოდათ. საინტერესო და მამოტივირებელი აქტივობა იყო ქართული ფილმებისა და სერიალების ნაწყვეტების ესპანურ ენაზე გახმოვანება, რა დროსაც სტუდენტები, მეტწილად, საკუთარი ფანტაზიით ხელმძღვანელობდნენ.

ენობრივი კომპეტენციების განვითარების გარდა, აუდიოვიზუალური მასალა სტუდენტებს ესპანურენოვანი სამყაროს კულტურის გაცნობაში დაეხმარა. მათ არა მხოლოდ ღირსშესანიშნაობებისა და ცნობილი ადამიანების შესახებ მიიღეს გარკვეული ინფორმაცია, არამედ ესპანური ყოფა, წეს-ჩვეულებები და გემოვნება გაიცნეს.

ასევე აღსანიშნავია, რომ აუდიოვიზუალური მასალის ჯგუფურად დამუშავებამ სტუდენტები გუნდურ მუშაობას მიაჩვია და სხვისი ნამუშევრის ობიექტური შეფასებისა და ერთმანეთისგან სწავლის უნარი განუვითარა.

### **გამოკითხვა (ღია კითხვები)**

კვლევის დაწყებიდან მე-12 კვირას ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა, ექსპერიმენტის შესახებ მათი მოსაზრებების გაცნობის მიზნით.

გამომდინარე იქიდან, რომ საჭირო იყო სპეციფიკური, სიტუაციური შემთხვევის შესწავლა, კვლევის შემდგომი ინსტრუმენტის შერჩევისას თვისებრივ კითხვარზე (ღია კითხვებით) შევაჩერე არჩევანი, რადგან იგი კომპლექსური საკითხების შესასწავლად მეტად ხელსაყრელია და რესპონდენტს იმდენი პასუხის გაცემის საშუალებას აძლევს, რამდენიც მას სურს. კითხვარების გაგზავნამდე კითხვარის პილოტირება და შედეგად დებულებების დახვეწა მოხდა.

გამოკითხვის მიზანი იყო თავად ცდისპირთა მოსაზრებების გაგება, ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელის შესახებ. კითხვარში ცდისპირებს უნდა ესაუბრათ ყველა იმ საკითხზე, რომელიც არსებული კვლევისთვის იყო რელევანტური. ეს საკითხები შეეხებოდა ესპანური ენის შერეული სწავლების მიმდინარეობისას სასწავლო პროცესის ორგანიზებულობას, სასწავლო მასალის, მეთოდებისა და ხერხების მრავალფეროვნებას, სტუდენტთა ავტონომიურობას, სასწავლო პროცესის ხარისხს, მოტივაციას, სასწავლო გარემოს შეფასებას, შეძენილ უნარებს, სწავლის შედეგს და ა.შ.

1. რა მიზნით იყენებდით თსუ-ის სასწავლო პლატფორმა Moodle-ის ელექტრონულ კურსს ესპანური ენის შესწავლის პროცესში?

გავლილი მასალის გამოვლენა, წინსწრებით სწავლა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, დავალებების ატვირთვა და უკუკავშირის მიღება, სხვადასხვა საინტერესო ინფორმაციის გაცნობა, თემატური ვიდეოების, აუდიომასალისა და სერიალების დამუშავება და ანალიზი – ესაა იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომელთა განსახორციელებლად ესპანური ენის, როგორც საფაკულტეტო ევროპული ენის სტუდენტები პლატფორმა Moodle-ით სარგებლობდნენ. სტუდენტთა უმეტესობის აზრით, ესპანური ენის ელექტრონულ კურსზე ენის შესასწავლად ყველა საჭირო მასალის მოძიება იყო შესაძლებელი. ისინი კურსზე ამუშავებდნენ გრამატიკულ და ლექსიკურ მასალას და ასრულებდნენ ონლაინ სავარჯიშოებს, რა დროსაც დამოუკიდებლად ათვისებული მასალის განმტკიცება ხდებოდა. ასევე, გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტებს კურსიდან სინქრონული ლექციის ვიდეოჩანაწერის ჩამოტვირთვა და მისი ნებისმიერ დროს გაცნობა შეეძლოთ.

2. ესპანური ენის შერეული სწავლების რომელ დადებით და უარყოფით მხარეებს გამოყოფთ? (შერეული სწავლება – პლატფორმა „Zoom“-ით სინქრონული ლექციებისა და ელექტრონული კურსის კომბინაცია).

ცდისპირებს შერეული სწავლების მოდელის გაცნობა ონლაინ რეჟიმში მოუწიათ, როდესაც ერთმანეთთან ფიზიკურ ინტერაქციას მოკლებულნი იყვნენ. ეს ფაქტორი საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებდა მათ განწყობაზე. აქედან გამომდინარე, სტუდენტთა ნაწილმა შერეული სწავლების მოდელი ონლაინ სწავლებას დაუკავშირა, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით ჩატარებული ლექციების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინა და ენის აუდიტორიაში, პირისპირ კომუნიკაციის გზით შესწავლას მიანიჭა უპირატესობა; თუმცა, რამდენიმე მათგანი ონლაინ-ლექციების უპირატესობას მათი ვიდეოჩანაწერის მოგვიანებით დამუშავების შესაძლებლობითა და ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ჩართვით ასაბუთებს. რაც შეეხება ასინქრონულ, ელექტრონულ აქტივობებს, მათ სარგებლიანობზე ყველა მათგანი თანხმდება.

სტუდენტთა უმეტესობისთვის შერეული სწავლება-სწავლის მთავარი უპირატესობა ესპანური ენის მუდმივი პრაქტიკის შესაძლებლობა იყო. ის ფაქტი, რომ ენის გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში შეეძლოთ, მათში კმაყოფილებისა და სიამაყის შეგრძნებას იწვევდა. გარდა ამისა, სინქრონულ ლექციებზე ახსნილი მასალის ელექტრონულ კურსზე განმეორებით გაცნობის შესაძლებლობა მათ სწავლის პროცესს უიოლებდა.

რესპონდენტთა აზრით, შერეულ სწავლებას უარყოფითი მხარე არ გააჩნია. პლატფორმაზე ატვირთული მასალა დახარისხებულია და სინქრონული ლექციები მის შესაჯამებლად და განსახილველად გამოიყენება. ისინი ერთმანეთს ავსებენ და სწავლის პროცესი მარტივად და სახალისოდ მიმდინარეობს.

3. ესპანური ენის შესწავლისას ელექტრონული კურსის რომელი აქტივობა გეჩვენებოდათ ყველაზე ეფექტიანად?

სტუდენტთა პასუხების შეჯამების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველაზე ეფექტიანად მათ გრამატიკული და ლექსიკური მასალის განმამტკიცებელი ონლაინ სავარჯიშოები, სერიალები, საკითხავი ლიტერატურა, აუდიო-და ვიდეომასალა და თემები

ეჩვენებოდათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სერიალები, რომელთა მეშვეობითაც მათ ყოველდღიურ, ავთენტურ სიტუაციებში გამოყენებული ფრაზები ისწავლეს. სტუდენტებს მოსწონდათ ის ფაქტი, რომ მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ კმაყოფილდებოდნენ და მრავალფეროვან დამატებით მასალას ამუშავებდნენ.

4. ესპანური ენის სწავლისას სასწავლო პროცესი და მასალა კარგად ორგანიზებული იყო?

სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ სასწავლო მასალა კარგად იყო ორგანიზებული და ნებისმიერი აქტივობა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, კონკრეტულ მიზანზე იყო გათვლილი, რამაც მათ ენის შესწავლა გაუადვილა.

სტუდენტთა აზრით, ყველაზე მეტად მოეწონათ ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელოს, ელექტრონული კურსისა და სინქრონული აქტივობების თემატიკა ყოველთვის ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ეს მათ ლექსიკის დამახსოვრებასა და გრამატიკული ფორმების ათვისებას უმარტივებდა. სინქრონული ლექციების ჩანაწერებიც შესაბამისი კვირის გრაფაში იტვირთებოდა.

5. რას ფიქრობთ სწავლის პროცესის შეტრიალებულ მოდელზე? (ახალი მასალის ელექტრონულ კურსზე, დამოუკიდებლად დამუშავება და სინქრონულ ლექციაზე მისი პრაქტიკული გამოყენება).

შეტრიალებული სწავლება დადებითად სტუდენტთა იმ ნაწილმა შეაფასა, რომელიც სისტემატურად ესწრებოდა მეცადინეობებს და სასწავლო პროცესშიც მეტად იყო ჩართული. მათი აზრით, ხსენებული მეთოდი დროის დამზოგველი და ეფექტიანი იყო. სტუდენტთა ნაწილს მასალის გასააზრებლად გარკვეული დრო და დაფიქრება სჭირდებოდა, რასაც დამოუკიდებლად უკეთ ახერხებდა. პედაგოგთან და ჯგუფელებთან პირისპირ შეხვედრებზე კი კონკრეტული კითხვებით იღრმავებდა ცოდნას, მეტად იყო ჩართული სასწავლო პროცესში და მოცემულ საკითხებზე საუბარიც უფრო აინტერესებდა.

სტუდენტთა მცირე ნაწილმა მსგავსი მიდგომა უარყოფითად შეაფასა და აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა მასალის დამოუკიდებლად გაცნობა სწავლების შედარებით მაღალ საფეხურზე, შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების არსებობის შემთხვევაში. თუმცა

სტუდენტთა აღნიშნულ ნაწილს შეტრიალებული სწავლის გამოცდილება ნაკლებად ჰქონდა და ამ მეთოდს სკეპტიკურად მასზე ბუნდოვანი წარმოდგენის გამო უყურებდა.

6. შეაფასეთ ესპანური ენის სინქრონული ლექციების გარემო (პოზიტიური, ნეგატიური, დინამიკური, მონოტონური ...).

ესპანური ენის სასწავლო გარემო სტუდენტთა უმეტესობამ პოზიტიურად და სასიამოვნოდ შეაფასა. პედაგოგის მხრიდან ყოველთვის იგრძნობოდა მხარდაჭერისა და დახმარების მზაობა, მეცადინეობის პროცესი არ იყო მონოტონური, რადგან სალექციო დრო პრაქტიკულ მუშაობასა და სახალისო აქტივობებს ეთმობოდა.

7. შენარჩუნდა თქვენი მოტივაცია ესპანური ენის შესწავლისას, მთელი სემესტრის განმავლობაში? გთხოვთ, პასუხი დაასაბუთოთ.

მოტივაციის შენარჩუნება რესპონდენტთა დიდ ნაწილთან სასწავლო პროცესის ბოლომდე მოხდა. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო აქტივობებში მუდმივად ჩართულნი იყვნენ, მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ იფარგლებოდნენ და ცოდნას სერიალებით, საინტერესო ვიდეომასალით, დამატებითი საკითხავი ლიტერატურითა და ონლაინ სავარჯიშოებით ივსებდნენ.

თუმცა, სტუდენტთა ნაწილის მოტივაციაზე ონლაინ რეჟიმმა უარყოფითად იმოქმედა. ნაწილს გარე ფაქტორებმა შეუშალა ხელი მოტივაციის შენარჩუნებაში. თუმცა, არც ერთ სტუდენტს არ დაუკავშირებია მოტივაციის დაკარგვა სასწავლო პროცესით იმედგაცრუებასთან.

8. სინქრონული მეცადინეობის დროს, გქონიათ შეგრძნება, რომ დავალების შესრულებაში ჩართულობის გამო, დრო შეუმჩნევლად გადის? დადებითი პასუხის შემთხვევაში დაასახელეთ აქტივობის ტიპი.

გამოკითხულ სტუდენტთა უმეტესობას მსგავსი შეგრძნება ესპანური ენის ლექციებზე ხშირად ჰქონია, რადგან აქტივობების შინაარსი მათ ინტერესებზე იყო მორგებული და მასალის სირთულეც ცოდნის დონის შესაბამისი იყო. განსაკუთრებულ ჩართულობას აუდიოვიზუალური მასალის, საკითხავი ლიტერატურის დამუშავებისა და ჯგუფური ინტერაქციის დროს გრძნობდნენ.

9. ისურვებდით ელექტრონულ კურსზე არსებული მასალების სალექციო დროს შესრულებას? გთხოვთ, პასუხი დაასაბუთოთ.

სტუდენტები სასწავლო მასალების სააუდიტორიო და ელექტრონულ აქტივობებად გადანაწილებას დადებითად აფასებენ, რადგან ენის შესწავლისას გარკვეული საკითხების გაანალიზებასა და განმტკიცებას დამოუკიდებლად მუშაობა სჭირდება. ამგვარად, პირისპირ შეხვედრები ჯობს ინტერაქციასა და ჯგუფურ მუშაობას დაეთმოს.

10. დაასახელეთ გრამატიკული სავარჯიშოების ელექტრონულ კურსზე შესრულების უპირატესობა და ნაკლოვანება.

სტუდენტთა აზრით, გრამატიკული სავარჯიშოების ელექტრონულ კურსზე დამოუკიდებლად შესრულების უპირატესობა ცოდნის შემოწმება და განმტკიცებაა, რაც მოსახერხებელი, დროის დამზოგველი და სახალისოა. როდესაც სტუდენტი გრამატიკულ მასალას დამოუკიდებლად სწავლობს, მისი პრაქტიკული გამოყენებაც აუცილებელია, რაშიც კურსზე არსებული ონლაინ სავარჯიშოები ეხმარება. ელექტრონულ კურსზე სტუდენტებს შეუძლიათ ერთი ტესტი რამდენჯერმე გააკეთონ, რაც შეცდომების აღქმასა და მასალის დამახსოვრებაში ეხმარებათ. სტუდენტის თვალი და გონება უფრო მარტივად იმახსოვრებს საჭირო მასალას, მყისიერად დაფიქსირებული სწორი პასუხი კი ცოდნის გაღრმავებაში ეხმარება.

გრამატიკული სავარჯიშოების ელექტრონულ კურსზე შესრულების ნაკლოვანება ტექნიკური ხარვეზები და ინტერნეტრესურსში მოძიებულ სავარჯიშოებში იშვიათად დაფიქსირებული შეცდომები იყო (აღნიშნულ შეცდომებზე მათ წინასწარ მივუთითებდი). ასევე, ზოგი სავარჯიშო პასუხის მხოლოდ ერთჯერადად გაცემის შესაძლებლობას იძლეოდა, რაც ვარჯიშის პროცესში სწორ პასუხამდე დამოუკიდებლად მისვლას ართულებდა. ამის გამო, სტუდენტი ზოგჯერ ვერ ხვდებოდა, რატომ იყო მისი პასუხი არასწორი. სტუდენტთა ნაწილს სავარჯიშოების რაოდენობა არასაკმარისად ეჩვენებოდა. მხოლოდ ერთმა სტუდენტმა განაცხადა, რომ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, დავალებას ელექტრონულად შეასრულებს თუ რვეულში.

11. გახსოვთ ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შესაბამისი თარგმანის გარეშე სინქრონული მუშაობისას და ელექტრონულ კურსზე გხვდებოდით? (მოკითხვა, გამხმევა, ინსტრუქციები, ემოციების გამომხატველი ფრაზები ...).

გამოკითხულ სტუდენტთა უმეტესობას ახსოვს ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სასწავლო პროცესის განმავლობაში ხშირად ესმოდა ან კითხულობდა. ზოგიერთ მათგანს აღნიშნული გამოთქმები ამოწერილი აქვს და პერიოდულად იმეორებს. რესპონდენტთა ნაწილმა განაცხადა, რომ ელექტრონულ კურსზე განთავსებული მასალა, განსაკუთრებით სერიალები და ავთენტური ვიდეოები, მათ ყოველდღიური კომუნიკაციისთვის საჭირო ფრაზების მეხსიერებაში გამყარებაში დაეხმარა. სტუდენტთა მცირე რაოდენობა (ორი სტუდენტი) აცხადებს, რომ მსგავსი ფრაზები არ ახსენდება.

12. დაგეხმარათ ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელი ესპანური კულტურის უკეთ გაცნობაში? გთხოვთ, პასუხი დაასაბუთოთ.

რესპონდენტთა უმეტესობა აცხადებს, რომ ესპანური კულტურისა და წესჩვეულებების შესახებ ღირებული ინფორმაცია მიიღო და სახელმძღვანელოსა და ელექტრონულ კურსზე არსებული მასალების მეშვეობით, გაიცნო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონი, ქალაქი, ღირსშესანიშნაობა, დღესასწაულები, ცნობილი ადამიანები, სამზარეულო, ახალგაზრდების გემოვნება, გართობის ფორმები და ა.შ. ესპანური კულტურის გაცნობა ავთენტური, სახალისო და დასამახსოვრებელი მასალით ხდებოდა, რამაც მათი ინტერესი გააღვივა და ქვეყნის მონახულება გადააწყვეტინა.

13. დაგეხმარათ ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელი წერიტი უნარების განვითარებაში? (აზრის წერილობით ჩამოყალიბება, მოკლე შინაარსის დაწერა, წერიტი ინტერაქცია, წერილის შედგენა ...).

ესპანური ენის შერეულმა სწავლებამ რესპონდენტთა წერიტი კომპეტენციის განვითარებას ხელი შეუწყო. მათ დიდ ნაწილს თავისუფლად შეუძლია შესაბამისი დონის ტექსტის მოკლე შინაარსისა და სხვადასხვა ტიპის წერილის დაწერა, აზრის გამოთქმა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ და წერიტი კომუნიკაცია ჯგუფელებთან. წერიტი კომპეტენციის განვითარებას კურსზე ატვირთული დავალებების ინდივიდუალური კორექციული უკუკავშირიც ხელს უწყობდა.



14. დაგეხმარათ შერეული სწავლების მოდელი ენის დამოუკიდებელი შემსწავლელის უნარების განვითარებასა და სწავლის ინდივიდუალური სტრატეგიების შემუშავებაში?

თითქმის ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ესპანური ენის შერეული კურსი ენის ავტონომიურად შესწავლისა და სასწავლო სტრატეგიების შემუშავებაში დაეხმარა. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად უწევდათ მასალის დამოუკიდებლად გაცნობა და სავარჯიშოების შესრულება, უკეთ გაიცნეს საკუთარი სასწავლო უნარები და ის ხერხები და სტრატეგიები, რომლებიც მათ სწავლის პროცესს უმარტივებდა.

15. რაში დაგეხმარათ ელექტრონულ კურსზე არსებული აუდიოვიზუალური მასალა (სერიალი, მუსიკა, ფილმები, რეკლამა...)?

ელექტრონულ კურსზე არსებული აუდიოვიზუალური მასალა სტუდენტებს, პირველ რიგში, ლექსიკური მარაგის გამდიდრებასა და ესპანური კულტურის, ცხოვრების წესისა და ესპანელი ხალხის უკეთ გაცნობაში დაეხმარა. სერიალებმა სტუდენტებს შესაძლებლობა მისცა, გაცნობოდნენ მათი ასაკის ადამიანების საუბრის მანერას, ჟარგონებს, ესპანური ენის სხვადასხვა აქცენტს. ხსენებული მასალის დამუშავებამ ხელი შეუწყო მოსმენილის გაგებისა და შინაარსის მოკლედ გადმოცემის, ჯგუფური მუშაობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მარტივი გახდა აზრის ჩამოყალიბება ესპანურად, ამბის მოყოლა და ესპანურენოვანი ადამიანების ბუნებრივი ტემპით საუბრის გაგება.

16. დაგეხმარათ ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელი ავთენტური მასალის დამუშავების უნარის განვითარებაში?

ავთენტური მასალის დამუშავება სტუდენტებს დაეხმარა საჭირო სიტუაციებში ესპანურ ენაზე კომუნიკაციის დამყარებასა და მოსმენილის უკეთ გაგებაში. ასევე უცნობი და რთული მასალიდან ძირითადი აზრის გამოტანაში.

კითხვარის წინასწარი აპრობაციის მიუხედავად, ერთმა სტუდენტმა პასუხის გაცემა ვერ შეძლო სიტყვის – ავთენტური – მნიშვნელობის არცოდნის გამო.

17. დაგეხმარათ ესპანური ენის შერეული სწავლების მოდელი წაკითხულისა და მოსმენილის გაგების, ზეპირმეტყველებისა და ესპანურ ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარებაში?

სტუდენტთა აზრით, შერეული სწავლების მოდელმა მათი ენობრივი კომპეტენციები თანაბრად განავითარა. ისინი აღნიშნავენ, რომ ესპანურენოვანი ტექსტების, აუდიო- და ვიდეომასალის გაცნობისას მთავარი აზრის გაგება შეუძლიათ. არც ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარება უჭირთ. სწავლების შერეული მეთოდი სწორედ ამას ისახავდა მიზნად. სტუდენტთა უმეტესობის აზრით, მათი მიზანი მიღწეულია.

18. ფიქრობთ, რომ ესპანური ენის, როგორც საფაკულტეტო ევროპული ენის სწავლის შედეგი სილაბუსით გათვალისწინებულ შედეგს შეესაბამება?

გამოკითხულმა სტუდენტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ სწავლის შედეგი სილაბუსით გათვალისწინებულ ცოდნის დონეს შეესაბამება, ზოგიერთი მათგანის აზრით კი მიღებულმა ცოდნამ მათ მოლოდინს გადააჭარბა და გაცილებით მეტი მასალა აითვისეს, ვიდრე სილაბუსში იყო მითითებული.

19. მიღწეულად მიიჩნევთ იმ მიზნებს, რომლებიც ესპანური ენის შესწავლის დასაწყისში გქონდათ? გთხოვთ, პასუხი დაასაბუთოთ.

გამოკითხულ სტუდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ესპანური ენის შესწავლისას დასახულ მიზანს მიაღწია, რადგან მათ ესპანურენოვან ადამიანებთან კომუნიკაციის დამყარება, აზრის ჩამოყალიბება, წერითი ინტერაქციის წარმოება უკვე შეუძლიათ. მიაჩნიათ, რომ მიღებული საბაზისო ცოდნით დამოუკიდებლადაც შეძლებენ ენის შესწავლის გაგრძელებას.

ხუთი სტუდენტი მიიჩნევს, რომ მათ დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს და ამის მიზეზად ონლაინსწავლებასა და დროის უქონლობას ასახელებენ.

20. ისურვებდით, უნივერსიტეტში არსებობდეს ესპანური ენის (არჩევითი) კურსი, რომელიც ენის შესწავლას ნახევრად დისტანციურ ფორმატში შეგთავაზებდათ? (კვირაში ორი საათი დასწრებითი, სააუდიტორიო მეცადინეობები, ორი საათი ელექტრონული კურსის აქტივობების შესრულება პედაგოგის

ხელმძღვანელობით). დაასახელეთ მსგავსი მოდელით ენის შესწავლის სავარაუდო უპირატესობა და ნაკლოვანება.

ესპანური ენის ნახევრად დისტანციური სწავლების შესახებ შეკითხვა სტუდენტთა მცირე ნაწილისათვის ბუნდოვანი აღმოჩნდა. რამდენიმე მათგანს მსგავსი მოდელის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოყენება ვერ წარმოუდგენია, თუმცა მისი გამოცდის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ნაწილს კი ეს აზრი საინტერესოდ ეჩვენა. ფიქრობენ, რომ სასწავლო მასალის ნაწილის საკონტაქტო საათების ხარჯზე ელექტრონულად დამუშავება სწავლება/სწავლის ხარისხს არ გააუარესებს, ვინაიდან ესპანური ენის ელექტრონული კურსი კარგადაა ორგანიზებული და მრავალფეროვანი მასალით დატვრთული.

კითხვების პილოტირების მიუხედავად, აზრის გამოთქმის დროს რამდენიმე რესპონდენტის პასუხში სხვადასხვა ტერმინის მნიშვნელობების აღრევა დაფიქსირდა (სოციალური ქსელები – ელექტრონული კურსის ნაცვლად, ონლაინ სწავლება – შერეული სწავლების ნაცვლად).

ქართველ შემსწავლელთა საჭიროებების გათვალისწინებით ადაპტირებული გრამატიკული მასალის შესახებ კითხვარი ცალკე იქნა შედგენილი, რომელსაც რესპონდენტთა 73%-მა უპასუხა.

1. დაასახელეთ ის გრამატიკული საკითხები, რომელთა გაგება ესპანური ენის შესწავლისას ყველაზე მეტად გაგიჭირდათ.

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაზე რთულად აღსაქმელი ზმნის „ყოფნა“ სამი ფორმა, წარსული დროები, ნაცვალსახელოვანი და უკუქცევითი ზმნები იყო. თუმცა, აღნიშნავენ, რომ სათანადოდ დამუშავების შემდეგ, ხსენებული საკითხები მათთვის გასაგები გახდა.

2. დაგეხმარათ კურსზე არსებული ჩემ მიერ დაკონსპექტებული გრამატიკული მასალა ამ საკითხების გაგებაში? როგორ?

ადაპტირებული გრამატიკული მასალის შესახებ სტუდენტთა მოსაზრებები შემდეგია – მასალა გადმოცემულია დეტალურად, ლაკონიურად და გასაგებ ენაზე, ვიზუალიზებული და, შესაბამისად, თვალისა და გონებისთვის მარტივად

აღსაქმელია. თანდართული უხვი მაგალითები აიოლებს გრამატიკული სტრუქტურებისა და ფორმების საკომუნიკაციო კონტექსტში აღქმას, ონლაინსავარჯიშოები კი ხელს უწყობს ფორმების დამახსოვრებასა და ავტომატიზებას.

### ტესტირება

ექსპერიმენტის პროცესში ცდისპირებს ტესტირება სამჯერ ჩატარდათ – წინა საექსპერიმენტო (პრეტესტი), ექსპერიმენტის მსვლელობისას და პოსტტესტი. სამივე ტესტირება ცდისპირთა ოთხივე ენობრივ კომპეტენციას – წაკითხულისა და მოსმენილის გაგების, წერისა და მეტყველების უნარებს ამოწმებდა.

ექსპერიმენტის დაწყებამდე ჩატარებული პრეტესტირება სტუდენტთა ცოდნის დონის განსაზღვრას ემსახურებოდა, რათა საბოლოო, მიღწევის ტესტის ვალიდურობა უზრუნველყოფილიყო. პრეტესტით განისაზღვრა ცდისპირთა ცოდნის დონე ჩარევამდე (A1).

მე-2 ტესტირება ჩატარდა ექსპერიმენტის დაწყებიდან მე-8 კვირას შერეული (წერა-ზეპირი) სახით. ტესტირების შედეგად გამოჩნდა, რომ ესპანური ენის შერეული სწავლების პროცესმა სტუდენტთა ენობრივი უნარები განავითარა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ადაპტირებული ლიტერატურული ტექსტებისა და აუდიოვიზუალური მასალის დამოუკიდებლად გაცნობის შემდეგ, მათი შინაარსის შესახებ სპონტანური მონოლოგისა და დიალოგის წარმოების უნარი, კითხვებზე ზეპირად და წერილობით ადეკვატური პასუხის გაცემის შესაძლებლობა, დიალოგების ირიბი მეტყველების ფორმით გადმოცემა და ა.შ.

პოსტტესტირება, რომელიც როგორც წერით, ასევე ზეპირ გამოკითხვას გულისხმობდა, ჩატარდა ექსპერიმენტის დაწყებიდან მე-14 კვირას. პოსტტესტირების შედეგად შეფასდა სტუდენტთა წერის, მეტყველების, წაკითხულისა და მოსმენილის გაგების უნარები, სილაბუსით გათვალისწინებული დონის შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის პროცესში მოგვიანებით ჩართული სტუდენტებისთვის ნაკლები სირთულის ტესტები შეირჩა, თუმცა, შეფასების კრიტერიუმებიც შესაბამისად იყო შემუშავებული.

მოსმენილის და წაკითხულის გაგებისა და მეტყველების უნარები შეფასდა შერჩეული მასალის (ტექსტი, აუდიო-და ვიდეომასალა) შინაარსის შესახებ სპონტანური მონოლოგისა და დიალოგის ფორმატში. ვიდეოჩანაწერი, მიუკერძოებლობის დასადასტურებლად, შესაფასებლად გაეგზავნა ესპანური ენის ორ პედაგოგს – თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელსა და საქართველოსა და თავისუფალი უნივერსიტეტების ესპანური ენის პედაგოგს.

წერითი დავალების შემთხვევაშიც, ნაშრომები დამატებით ორი პედაგოგის მიერ შეფასდა.

### **პოსტტესტირების შედეგი**

პოსტტესტირებით დადგინდა, რომ უმაღლესი შეფასების მქონე სტუდენტთა ცოდნის დონე სილაბუსით გათვალისწინებულზე მაღალი იყო. სწავლის დასაწყისში დაბალი ქულებით შეფასებულმა სტუდენტთა დიდმა ნაწილმა კი შეფასება შედარებით აიმაღლა, რაც სასწავლო პროცესში მოგვიანებით ჩართვის შემდეგ, ელექტრონული აქტივობების დამოუკიდებლად შესრულებით შეძლო. მათ მინიმალური, თუმცა A2 დონისთვის საკმარისი ცოდნა დააგროვეს და შესაბამისად შეფასდნენ.

### **ჰიპოთეზის დადასტურება და კვლევის შედეგების შეჯამება**

გამოკითხვის შემდეგ შევადარე და გავაანალიზე ცალკეული შედეგები ჰიპოთეზის შესამოწმებლად.

კვლევის მცირე მასშტაბის მიუხედავად, მიღებული შედეგების განზოგადებას ექვემდებარება. ემპირიულმა კვლევამ ესპანური ენის სწავლების შერეული მოდელის ეფექტიანობა დაადასტურა.

ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ესპანური ენის შერეული სწავლება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებასა და სწავლის სასურველი შედეგის (ესპანური ენის სილაბუსით გათვალისწინებულ დონეზე დაუფლება და ენის დამოუკიდებლად შესწავლის უნარების განვითარება) მიღწევას, დაადასტურა ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ.

## **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება**

შერეული სწავლება-სწავლის ხარისხი საგრძნობლად ამაღლდა. კერძოდ, სინქრონული მეცადინეობების დროს მუდმივმა ინტერაქციამ და ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებამ ხელი შეუწყო ლექციების დინამიკურობასა და პოზიტიური გარემოს შექმნას, რამაც მოტივაციის ბუნებრივი ამაღლება გამოიწვია. აუდიოვიზუალური მასალის შინაარსმა, ენობრივი კომპეტენციების განვითარების გარდა, სტუდენტთა სოციო-კულტურული და ინტერკულტურული ცნობიერება აამაღლა, სინქრონული მეცადინეობების დროს შეიმჩნეოდა სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო აქტივობებში, შეტრიალებული სასწავლო პროცესის მეშვეობით, სტუდენტები უკვე ნახევრად მომზადებული, კონკრეტული შეკითხვებით ერთვებოდნენ ლექციას, სადაც რეალური პრობლემების გადაჭრა ხდებოდა.

## **სწავლის შედეგი**

ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, ესპანური ენის სტუდენტთა უმეტესობას ენობრივი კომპეტენციები თანაბრად განუვითარდა სილაბუსით გათვალისწინებული დონის შესაბამისად. ცალკეულ შემთხვევებში, ცოდნის დონემ A2+ B1-მდეც კი აიწია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუდენტთა ავტონომიურობის ზრდა და მათში სწავლის დამოუკიდებლად გაგრძელების სურვილის გაჩენა. სტუდენტთა ნაწილი ახერხებდა ესპანურენოვან პირებთან ვირტუალურ ურთიერთობას, რადგან შერეული სწავლის პროცესში მრავალფეროვანმა ავთენტურმა მასალამ მათ რეალურ სიტუაციებში კომუნიკაციის უნარი განუვითარა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საბოლოო ნაბიჯი რეკომენდაციების შემუშავება და გარკვეული მოსაზრებების ჩამოყალიბება იყო, რაც შეიძლება ახალი კვლევის ჩატარების საფუძველი გახდეს.

## **რეკომენდაციები და ახალი საკვლევი საგანი**

- კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება ესპანური ენის შერეული სწავლების დროს (განხილულია ნაშრომის მე-3 თავში);

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ესპანური ენის შერეული სწავლების, როგორც „ახალი ნორმალური“ სწავლების მოდელის პოპულარიზაცია შესაბამისი ტრენინგებით;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ესპანური ენის, როგორც მეორე უცხოური ენის არჩევითი ნახევრად დისტანციური კურსის შექმნის შეთავაზება და ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების კვლევა.

შემუშავებული მოდელი ღიაა შემდგომი კვლევებისა და რეკომენდაციებისთვის.

## დასკვნები

ნაშრომში განხილული კვლევების შედეგები შესაძლებელს ხდის, განმტკიცდეს აზრი ესპანური ენის შერეული სწავლების ქართულ რეალობაში ადაპტირებული მოდელის უპირატესობის შესახებ ტრადიციული სწავლების ფორმებთან მიმართებაში. იგი მულტიფუნქციური სასწავლო საშუალებაა და ენობრივი კომპეტენციების თანაბრად განვითარებასა და სასურველი შედეგის მიღებას უზრუნველყოფს, ხელს უწყობს სტუდენტთა ავტონომიურობას, მათთვის პოზიტიური გარემოსა და თანაბარი სასწავლო პირობების შექმნას და პედაგოგთან პირისპირ (სინქრონულ) შეხვედრებს ენის პრაქტიკულ გამოყენებაზე ორიენტირებულს ხდის.

ჩატარებული კვლევები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმის გასარკვევად, თუ როგორ მიმდინარეობდა სწავლების თანამედროვე მიდგომების ესპანური ენის სააუდიტორიო (სინქრონულ) და ასინქრონულ მეცადინეობებში ადაპტაცია და რა უპირატესობები და პრობლემები გამოიკვეთა ამ პროცესში.

კვლევების შედეგები ნათელყოფენ, რომ შერეული სწავლების აღნიშნული მოდელი ეფექტიანია და პასუხობს იმ რეალობასა და საჭიროებებს, რომლებიც საქართველოში სტუდენტებს ესპანური ენის სწავლის, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა და ენობრივი კომპეტენციების შემდგომი განვითარების დროს აქვთ.

კვლევების შედეგებმა ცხადყო, რომ სტუდენტთა უმეტესობის მოლოდინი გამართლებულია. სწავლის პროცესში სხვადასხვა რესურსით სარგებლობამ და ცოდნის სასურველი დონის მიღწევამ მათი ნაწილი ენობრივი კომპეტენციების შემდგომი განვითარებისა და ენის გამოყენების შესაძლებლობებზე დააფიქრა და ამ მიმართულებით მომავალი საქმიანობის გზების მოძიებისკენ უბიძგა. მათ შეძლეს გაეაზრებინათ მიღებული ცოდნის გამოყენების არეალი, გზა, რომელიც ცოდნის გასაღრმავებლად უნდა გაეგლოთ და სწავლის შედეგი, რომელიც მათ ენის სასწავლო ან სამუშაო მიზნებით გამოყენების საშუალებას მისცემდა. შერეული სწავლების მოდელმა ხელი შეუწყო მათ ავტონომიურობასა და სწავლის ორგანიზების უნარის გამომუშავებას. სტუდენტთა გარკვეულმა ნაწილმა შეადგინა კიდევ კონკრეტული გეგმა, თუ როგორ განაგრძოს ენის შესწავლა დამოუკიდებლად, ან სასწავლო პლატფორმის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ შერეული სწავლის პროცესში



გამომუშავებული ავტონომიურობა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უნარი მათ არა მხოლოდ ესპანური ენის შესასწავლად, არამედ სხვა აკადემიურ თუ ყოფით სიტუაციებშიც გამოადგებათ.

ენობრივი კომპეტენციების თანაბრად განვითარებას ხელი შეუწყო სასწავლო მასალის შინაარსმაც, რომელიც სტუდენტთა ინტერესებისა და სასწავლო უნარების მიხედვით შეირჩა. სასწავლო მასალა სააუდიტორიო (სინქრონულ) და ასინქრონულ მეცადინეობებზე იმგვარად იყო გადანაწილებული, რომ სტუდენტს ესპანურ ენასთან შეხება სისტემატურად ჰქონოდა, რაც მას ენის პრაქტიკულად გამოყენების დანაკლისს შეუვსებდა.

„დაშორებით“ რეჟიმში ესპანური ენის სწავლების ახლებურმა ფორმამ (ინტეგრირებული შერეული სწავლება) ონლაინ სწავლებით გამოწვეული დემოტივაციის შემთხვევები შეამცირა.

შერეული სწავლების დახმარებით სწავლას ჩამორჩენილ სტუდენტთა მხარდაჭერაც მუდმივად ხდებოდა. ელექტრონულ კურსზე სპეციალურად შექმნილმა ინდივიდუალურმა სასწავლო გეგმამ და გამარტივებულმა პროგრამამ მათი გარკვეული ნაწილის მოტივაცია გაზარდა. მათ ცოდნის გარკვეულ დონეს მიაღწიეს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მომავალში სწავლის გაგრძელების სურვილი გამოთქვეს.

ასევე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ესპანური ენის შერეული სწავლების პროცესში არა მხოლოდ სტუდენტთა სასწავლო უნარები გაუმჯობესდა, არამედ, ჩემი, როგორც პედაგოგის პროფესიული განვითარებაც მოხდა. სასწავლო აქტივობების შექმნის, მოძიებისა და სააუდიტორიო (სინქრონულ) და ასინქრონულ მეცადინეობებზე გადანაწილების დროს ახალი პედაგოგიური ხერხებისა და მიდგომების აღმოჩენის გარდა, დავფიქრდი იმ პრობლემებზე, რომლებიც გარკვეული მიზნების მიღწევაში ხელს მიშლიდა. ვფიქრობ, არსებული გამოცდილება და ინოვაციების მიღების მზაობა, სამომავლოდ, უფრო განვითარებული სასწავლო რესურსების სწავლების პროცესში ინტეგრაციაში დამეხმარება.

ესპანური ენის შერეული სწავლების ეფექტიანობა ასევე განაპირობა სასწავლო მასალის შერჩევისას ქართველ შემსწავლელთა პროფილის გათვალისწინებამ.

ინტერფერენციით გამოწვეული შეცდომების შემცირებას ხელს უწყობდა ელექტრონულ კურსზე განთავსებული ადაპტირებული გრამატიკული მასალის ეტაპობრივი დამუშავება, ავთენტური მასალების გაცნობა, მუდმივი ზეპირი და წერიტი ინტერაქცია და შესაბამისი სასწავლო აქტივობები.

რაც შეეხება კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში სააუდიტორიო მუშაობის სინქრონული მეცადინეობებით ჩანაცვლებას, ამ პროცესში უარყოფითი მხარეების გარდა, გარკვეული დადებითიც გამოიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესის ხარისხის შენარჩუნება, სწავლის სასურველი შედეგის მიღწევა და თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, ლექციის ვიდეოჩანაწერის გაზიარებისა და დაუგეგმავი აქტივობების განსახორციელებლად მყისიერი ტექნიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობა, გარკვეულწილად, მაინც ახდენდა არსებული პრობლემების კომპენსირებას.

ტექნოლოგიური პროგრესისთვის ფეხის აწყობა ჩვენთვის, ე.წ. „ციფრული ემიგრანტებისთვის“ რთულია და უფრო მეტად ახალგაზრდები, ე.წ. „ციფრული მკვიდრნი“ (მარკ პრენსკი, 2001) ახერხებენ ნებისმიერი სიახლე ენთუზიაზმით აიტაცონ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ინოვაციების დანერგვას კრიტიკული მიდგომა და დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზება სჭირდება, რაც გამოცდილების მქონე პედაგოგს უკეთ გამოსდის. საკმარისი პროფესიული გამოცდილება, საკუთარი საგნის ცოდნა, სტუდენტთა სიყვარული და თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების ფლობა წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობის გარანტიაა.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ თუ პედაგოგი სტუდენტთა საჭიროებებსა და თავისებურებებს გაითვალისწინებს, გაცილებით უკეთეს შედეგს მიიღებს. მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და პოზიტიური გარემო სტუდენტის განწყობასაც შეცვლის, მას ენთუზიაზმით აღავსებს და ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას – ცოდნის შეძენის წყურვილს გაუმძაფრებს.

## გამოყენებული და მითითებული ლიტერატურა

1. ანა გველესიანი, ესპანური ენის სწავლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიო პანდემიის პირობებში. სამეცნიერო ჟურნალი Scripta Manent”, 2021, თბილისი. N 1(49), გვ. 19.
2. ლუარსაბ ბოცვაძე, ი. ჭკუასელი. თბილისი, 1954 პედაგოგიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
3. ლუის კოჰენი, ლოურენს მანიონი და ქეით მორისონი, კვლევის მეთოდები განათლებაში, მეექვსე გამოცემა,
4. მარინე კობეშავიძე, ესპანური ენის სწავლებისას ქართულენოვანი სტუდენტების მიერ დაშვებული შეცდომების კონტრასტული ანალიზი. სამეცნიერო ჟურნალი Scripta Manent”, 2013, თბილისი. N 4(20), გვ. 96.
5. მურიელ სავილე-ტროიკე, შესავალი მეორე ენის ათვისებაში, Tbilisi, 2016
6. ქ. გოჩიტაშვილი, საინფორმაციო ტექნოლოგიები უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში, საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისთვის # 2, 2013 გვ. 20-46 ISSN 1987-9601 (print)  
[http://multilinguaeducation.org/storage/uploads/articles\\_contents/150122053812.pdf](http://multilinguaeducation.org/storage/uploads/articles_contents/150122053812.pdf)
7. ქ. ხუსკივაძე, ესპანური ენის სწავლების საკითხები (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე) სადისერტაციო ნაშრომი, გვ.44, 45.
8. შავერდაშვილი, ეკატერინე, ფიცხელაური ნინო, რამიშვილი, ფატი & გვახალია, მეგი. (2014). უცხოური ენების სწავლების საფუძვლები, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
9. Aprendizaje Edu Trends Reporte Invertido <https://www.orientacionandujar.es/wp-content/uploads/2015/11/GU%C3%8DA-DE-APRENDIZAJE-INVERTIDO-FLIPPED-CLASSROOM.pdf> (უკანასკნელად გადამოწმებულია 13.07.2021)
10. AREA, M. y ADELL, J (2009) J. De Pablos (Coord): E-learning: Enseñar y aprender en espacios virtuales. En Tecnología Educativa. La formación del profesorado en la era de Internet. Aljibe, Málaga, pags.391424.

11. **Ana Gvelesiani**, Ketevan Khuskivadze, La enseñanza de ELE en Georgia  
<http://www.aselered.org/boletines/boletin-de-asele-n%C2%BA-62> (უკანასკნელად  
 გადამოწმებულია 14.07.2021)
12. **Ana Gvelesiani** Ketevan Khuskivadze, Modern Approaches to Spanish Language  
 Teaching, Blended Learning, E ISSN 1512-3146 International Journal ISSN 1987-9601  
 Multilingual Education [www.multilinguaeducation.org](http://www.multilinguaeducation.org)
13. **A. Gvelesiani**, Use of information and communication technologies (ICT) in Spanish  
 language (as a foreign language) teaching and its effects through teacher's role, Ivane  
 Javakhishvili Tbilisi State University (GEORGIA)  
<https://library.iated.org/view/GVELESIANI2014USE>  
 (უკანასკნელად გადამოწმებულია 14.07.2021)
14. Alfonso Bustos Sánchez / César Coll Salvador, Los entornos virtuales como espacios de  
 enseñanza y aprendizaje <https://www.redalyc.org/articulo.oa?id=14012513009.pdf>
15. Alessandro Benati, The role of input and output tasks in grammar instruction:  
 Theoretical, empirical and pedagogical considerations University of Portsmouth, UK  
<https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1155604.pdf>
16. Baralo, Marta, La formación de profesores de español en espacios virtuales: Diseño de  
 objetos digitales de aprendizaje, en actas del XLII Congreso de AEPE, 2008.
17. Benjamin Zander Work (How to give an A)  
<https://www.youtube.com/watch?v=qTKEBygQic0>
18. Bonk, C.J. & Graham, C.R. (2006). The handbook of blended learning environments:  
 Global perspectives, local designs. San Francisco: Jossey-Bass/Pfeiffer. p. 5.
19. Bustos Sanchez, Alfonso y Coll Salvador, César, Los entornos virtuales como espacios  
 de enseñanza y aprendizaje. Una perspectiva psicoeducativa para su caracterización y  
 análisis. RMIE [online]. 2010, vol.15, n.44, pp.163-184. ISSN 1405-6666
20. Cabero Almenara, Julio; Llorente Cejudo, M.<sup>a</sup> del Carmen; Morales Lozano, Juan  
 Antonio Aportaciones al e-learning desde un estudio de buenas prácticas en las  
 universidades andaluzas RUSC. Universities and Knowledge Society Journal, vol. 10,  
 núm. 1, enero, 2013, pp. 45-60 Universitat Oberta de Catalunya Barcelona, España

21. Chuck Dziuban, Patsy D. Moskal, Blended learning enters the mainstream [https://www.researchgate.net/publication/284688507\\_Blended\\_learning\\_enters\\_the\\_mainstream](https://www.researchgate.net/publication/284688507_Blended_learning_enters_the_mainstream) (უკანასკნელად გადამოწმებულია 13.07.2021)
22. Corder, S.P. (1967). The Significance of Learners' Errors <https://www.uky.edu/~tmclay/Corder%201967.pdf> (უკანასკნელად გადამოწმებულია 13.07.2021)
23. Cristina Trujillo Nos adaptamos a la situación: una experiencia práctica de aprendizaje multicontextual [https://www.youtube.com/watch?v=n3zcL\\_xr-Ph4](https://www.youtube.com/watch?v=n3zcL_xr-Ph4) (უკანასკნელად გადამოწმებულია 14.07.2021)
24. Cristina Trujillo, Isabel Pérez Cano y Faria Essenwanger Nordakademie – Hochschule der Wirtschaft, Elmshorn (Alemania) El aprendizaje mixto (blended learning) o cómo potenciar el aprendizaje colaborativo entre los alumnos más allá de las clases presenciales. [https://cvc.cervantes.es/ensenanza/biblioteca\\_ele/publicaciones\\_centros/PDF/estocolmo\\_2015/11\\_trujillo-perez-essenwanger.pdf](https://cvc.cervantes.es/ensenanza/biblioteca_ele/publicaciones_centros/PDF/estocolmo_2015/11_trujillo-perez-essenwanger.pdf) (უკანასკნელად გადამოწმებულია 13.07.2021)
25. Exploring The Bergmann & Sams School of Flipped Learning <http://www.flippedclassroomworkshop.com/bergmann-and-sams-school-of-flipped-teaching-learning> (უკანასკნელად გადამოწმებულია 13.07.2021)
26. Figueras Casanovas, N. y Puig Soler, F. (2013) Pautas para la evaluación del español como lengua extranjera.. Madrid: Edinumen, 181 páginas, ISBN: 978-84-9848-242-3 <https://www.educacionyfp.gob.es/dam/jcr:e6214af0-cdb9-4584-8d3b-8ed849ed7b2d/2014-redele-26-03mora-sanchez-pdf>.
27. Flipping Your Remote Classroom <https://teaching.berkeley.edu/flipping-your-remote-classroom> (უკანასკნელად გადამოწმებულია 13.07.2021)
28. Gascó Gavilán, I. Gvelesiani, A. Khuskivadze, K. (2017). Enseñar español en Georgia. En M. C. Méndez Santos y M. M. Galindo Merino (Eds.). Atlas del ELE. Geo lingüística de la enseñanza del español en el mundo. Volumen I. Europa oriental (pp. 1-22). Madrid: En ClaveELE. Recuperado de <http://www.todoele.net/atlas.html>
29. Gonzalo Abio, El modelo de “flujo” de Csikszentmihalyi y su importancia en la enseñanza de lenguas extranjeras redELE revista electrónica de didáctica / español

lengua extranjera NÚMERO 6 <https://www.educacionyfp.gob.es/dam/jcr:e8f77826-0dc3-4174-b33d-20632a616416/2006-redele-6-01abio-pdf>.

(უკანასკნელად გადამოწმებულია 13.07.2021)

30. Gramsci, Vasil Sujomlinski: El desconocido pedagogo socialista y la Escuela de la alegría. <https://educacionypraxis.wordpress.com/2013/07/21/vasil-sujomlinski-el-desconocido-pedagogo-socialista-y-la-escuela-de-la-alegria/>

(უკანასკნელად გადამოწმებულია 14.07.2021)

31. Isabel Santos Gargallo, Análisis descriptivo de las creencias y actitudes de alumnos no nativos de español ante los errores y las técnicas de corrección en la interacción oral. <https://raco.cat/index.php/RILE/article/view/292422/380956>

(უკანასკნელად გადამოწმებულია 14.07.2021)

32. Jack C. Richards and Theodore S. Rodgers, Approaches and Methods In Language Teaching A description and analysis -Cambridge Language Teaching Library <https://www.novaconcursos.com.br/blog/pdf/richards-jack-c.-&-rodgers.pdf>

(უკანასკნელად გადამოწმებულია 13.07.2021)

33. Jacobs, G. M, & Farrell, T. S. C. (2003), Understanding and implementing the CLT (Communicative Language Teaching) paradigm. RELC Journal, 34(1), 5-30. <https://files.eric.ed.gov/fulltext/ED574120.pdf>

34. Jacqueline Grennon Brooks, Martin G. Brooks, In Search of Understanding: The Case for Constructivist Classrooms

[https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=9W\\_VB5TjxxoC&oi=fnd&pg=PR7&dq=in+search+of+understanding+JG+Brooks&ots=3JHA3p4AmW&sig=sNM6nnj-Uwb8RIA4D5OI4Busz4&redir\\_esc=y#v=onepage&q=in%20search%20of%20understanding%20JG%20Brooks&f=false](https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=9W_VB5TjxxoC&oi=fnd&pg=PR7&dq=in+search+of+understanding+JG+Brooks&ots=3JHA3p4AmW&sig=sNM6nnj-Uwb8RIA4D5OI4Busz4&redir_esc=y#v=onepage&q=in%20search%20of%20understanding%20JG%20Brooks&f=false) (უკანასკნელად გადამოწმებულია 14.07.2021)

35. Joy Egbert, A Study of Flow Theory in the Foreign Language Classroom, December 2003 Modern Language Journal 87(4):499-518 DOI:10.1111/1540-4781.00204

36. Marco común de referencia para las lenguas, 2001.

[https://cvc.cervantes.es/ensenanza/biblioteca\\_ele/marco/cvc\\_mer.pdf](https://cvc.cervantes.es/ensenanza/biblioteca_ele/marco/cvc_mer.pdf)

37. María del Carmen Méndez Santos, The demotivation of adult students of SFL: An approach from the complex dynamic systems theory Universidad de Alicante, España

- [https://scholar.google.com/citations?view\\_op=view\\_citation&hl=es&user=6AyZiHQA AAAI&citation\\_for\\_view=6AyZiHQA AAAI:70eg2SAEIszC](https://scholar.google.com/citations?view_op=view_citation&hl=es&user=6AyZiHQA AAAI&citation_for_view=6AyZiHQA AAAI:70eg2SAEIszC)
38. María del Carmen Méndez Santos, Breve guía para profesorado de ELE  
<http://mariamendezsantos.com/?p=795&fbclid=IwAR1TvGC8L8RVSCU1VdhpzInz5KiPCccsnJzI2Cxsy8YEF8E4gwaDnxI0hqI>
39. María Jesús del Pozo Barriuso, Fomentar la escritura a través de los recursos digitales en el aula de E/LE Universitat Politècnica de València (España)  
[https://cvc.cervantes.es/Ensenanza/biblioteca\\_ele/aepe/pdf/revista\\_02\\_02\\_2019/revista\\_02\\_02\\_2019\\_08.pdf](https://cvc.cervantes.es/Ensenanza/biblioteca_ele/aepe/pdf/revista_02_02_2019/revista_02_02_2019_08.pdf)
40. María Molés Moreno, La escritura creativa en la era digital: el foro de rol como herramienta de aprendizaje en E/LE, University of Valencia  
[https://www.researchgate.net/publication/337767793\\_La\\_escritura\\_creativa\\_en\\_la\\_era\\_digital\\_el\\_foro\\_de\\_rol\\_como\\_herramienta\\_de\\_aprendizaje\\_en\\_ELE](https://www.researchgate.net/publication/337767793_La_escritura_creativa_en_la_era_digital_el_foro_de_rol_como_herramienta_de_aprendizaje_en_ELE)  
(უკანასკნელად გადამოწმებულია 14.07.2021)
41. Miao Yee Clare, Chong, Willy A Renandya, Qiu Rong, Ng Demotivation in L2 classrooms: Teacher and Learner Factors, LEARN Journal: Language Education and Acquisition Research Network Journal, Volume 12, Issue 2, July 2019
42. Michael McCarthy, The Cambridge Guide to Blended Learning for Language Teaching, CHAPTER Issues in Second Language Acquisition, in Relation to Blended Learning (ed.) Cambridge: Cambridge University Press, 2016, xiii + 286 pp. Zhong Jun Pages 397-400 | Published online: 18 Apr 2018
43. Mihaly Csikszentmihalyi, Flow: The Psychology of Optimal Experience, January 1990  
Publisher: Harper & Row Claremont Graduate University  
[https://www.researchgate.net/publication/224927532\\_Flow\\_The\\_Psychology](https://www.researchgate.net/publication/224927532_Flow_The_Psychology)  
(უკანასკნელად გადამოწმებულია 13.07.2021)
44. Natalia Contreras De La Llave, Mirar al extranjero que mira nuestro cine. Cine español en la clase E/LE Universidad de Alicante  
[https://rua.ua.es/dspace/bitstream/10045/11379/1/Quaderns\\_Cine\\_N1\\_09.pdf](https://rua.ua.es/dspace/bitstream/10045/11379/1/Quaderns_Cine_N1_09.pdf)
45. Olga Esteve, Marta Arumí, M<sup>a</sup> Dolors Cañada, Hacia la autonomía del aprendiz en la enseñanza de lenguas extranjeras en el ámbito universitario: el enfoque por tareas

- como puente de unión entre el aprendizaje en el aula y el trabajo en autoaprendizaje,  
Facultad de Traducción e Interpretación Universitat Pompeu Fabra, Barcelona  
<http://www.publicacions.ub.es/revistes/bells12/pdf/art05.pdf>
46. ¿Por qué elegir Moodle cómo aula virtual? <https://www.internetya.co/7-razones-de-por-que-escoger-moodle-como-plataforma-de-formacion/>(უკანასკნელად  
გადამოწმებულია 14.07.2021)
47. Ricardo E. Schütz, Stephen Krashen's Theory of Second Language Acquisition,  
Available since: April 1998 <https://www.sk.com.br/sk-krash-english.html>  
(უკანასკნელად გადამოწმებულია 14.07.2021)
48. Ryan Lufkin - June 8, 2021, Blended Learning be the “New Normal” for Higher  
Education After COVID-19? <https://www.emergingedtech.com/2021/06/will-blended-learning-be-new-normal-for-higher-education-covid-19/>  
(უკანასკნელად გადამოწმებულია 13.07.2021)
49. Stephen D Krashen, Second Language Acquisition and Second Language Learning  
[http://www.sdkrashen.com/content/books/sl\\_acquisition\\_and\\_learning.pdf](http://www.sdkrashen.com/content/books/sl_acquisition_and_learning.pdf)
50. Susan M. Gass (1997) Mahwah, NJ: Lawrence, Input, Interaction, and the Second  
Language Learner, Erlbaum Associates, Publishers Pp. xi + 189 ISBN 0-8058-2209-7  
<https://tesl-ej.org/~teslejo/ej09/r14.html>  
(უკანასკნელად გადამოწმებულია 14.07.2021)
51. The Golden Circle <https://simonsinek.com/wp-content/uploads/2019/02/The-Golden-Circle.pdf>
52. Z. Dörnyei, Motivation and Motivating in the Foreign Language Classroom,  
Published 1994 Psychology The Modern Language Journal  
<https://www.semanticscholar.org/paper/Motivation-and-Motivating-in-the-Foreign-Language-D%C3%B6rnyei/be7a9f65c03568dda20f21b5e45cdfa7ddf93107>



## დანართი

### კვლევა – 2014 წლის გაზაფხულის სემესტრი

კვლევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარდა და ესპანური ენის სწავლებისას ისტ-ის გამოყენების სხვადასხვა ფორმის ეფექტიანობის გამოვლენას ემსახურებოდა.

კვლევის დაწყებამდე გამოვყავი ესპანური ენის შემსწავლელთა სამი სავარაუდო სახე და მათი სწავლის განსხვავებული შედეგები:

- სტუდენტს, რომელიც მხოლოდ სააუდიტორიო მეცადინეობებით შემოიფარგლება, ისტ-ს კი სწავლის პროცესში იშვიათად, საკუთარი შეხედულებებისამებრ იყენებს, წერიტი და ლინგვისტური კომპეტენციები განვითარებული აქვს, თუმცა დამოუკიდებლად მუშაობა და რეალურ სიტუაციაში კომუნიკაცია უჭირს, რადგან სახელმძღვანელოში მოცემული მასალა განსხვავდება იმ ავთენტური მასალისგან, რომელსაც ინტერნეტსივრცე გვთავაზობს. ისტ-ის არასისტემატური და არასისტემატიზებული გამოყენება მას ენობრივი კომპეტენციების სრულად განვითარებაში ვერ ეხმარება;
- სტუდენტი, რომელიც სააუდიტორიო მეცადინეობებთან ერთად, პედაგოგის ზედამხედველობით, აქტიურად იყენებს ისტ-ს სასწავლო მასალების დასამუშავებლად, უკეთ ახერხებს წაკითხულის, ნანახის და მოსმენილის გაგებას სამიზნე ენაზე, არ უჭირს დამოუკიდებლად მუშაობა, განვითარებული აქვს წერიტი და მეტყველების უნარები, უადვილდება რეალურ სიტუაციებში კომუნიკაცია და მეტყველების დროს აზრის გამოხატვის შიშისა და შეცდომის დაშვების კომპლექსებისგან თავისუფლდება. პედაგოგის ყურადღება ამ დროს მიმართულია ცოდნის დონის შესაბამის, სანდო მასალის შერჩევასა და სტუდენტთათვის სწორი მიმართულების მიცემისკენ;
- სტუდენტი, რომელიც მხოლოდ ონლაინ ამუშავებს სასწავლო მასალას (ონლაინ კურსის ან სხვადასხვა აპლიკაციის მეშვეობით), გამართულად ვერ ფლობს გრამატიკულ სტრუქტურებს, უშვებს შეცდომებს წერისა და მეტყველების დროს, თუმცა დამოუკიდებლად მუშაობა და ენის მატარებელთან კომუნიკაცია არ უჭირს.

ზემოთ მოყვანილი ვარაუდები ჩემს პედაგოგიურ გამოცდილებას ეყრდნობოდა, თუმცა, მათ სისწორეში დასარწმუნებლად, ექსპერიმენტის სახით, ესპანური ენის

შემსწავლელ სტუდენტთა სამ ჯგუფში კონკრეტული მასალის დამუშავების სამი სხვადასხვა ხერხის გამოყენება გადავწყვიტე:

- მასალის მხოლოდ სააუდიტორიო მეცადინეობების დროს დამუშავება;
- მასალის დამუშავება სააუდიტორიო მეცადინეობებისა და ისტ-ის კომბინაციით;
- მასალის დამოუკიდებლად, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით დამუშავება.

კვლევა ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით, რომლებიც ესპანურ ენას, როგორც საფაკულტეტო ევროპულ ენას შეისწავლიდნენ.

**კვლევის ხანგრძლივობა** – ერთი სემესტრი (15 კვირა).

**კვლევის მიზანი** – ესპანური ენის სწავლებისას ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების სამი სხვადასხვა ფორმის ნაკლოვანებებისა და უპირატესობების გამოვლენა.

**კვლევის საგანი** – ესპანური ენის სწავლებისას ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ფორმები.

**კვლევის ობიექტი** – ესპანური ენის სწავლებისას ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პროცესი.

**კვლევის ჰიპოთეზა** – ესპანური ენის სწავლების ყველაზე ეფექტიანი ფორმა სააუდიტორიო მეცადინეობებთან ერთად სასწავლო მასალის (პედაგოგის ხელმძღვანელობით) ისტ-ის მეშვეობით დამუშავებაა.

**კვლევის მეთოდოლოგია** – თვისებრივი კვლევა.

**კვლევის ინსტრუმენტი** – ექსპერიმენტი.

**ცდისპირები** – სტუდენტები (სულ 45 სტუდენტი).

ექსპერიმენტის მიზანი იყო ცდისპირთა თითოეული ჯგუფის მიერ ერთი და იმავე მასალის დამუშავებისას ისტ-ის გამოყენების სამი სხვადასხვა ფორმიდან საუკეთესოს გამოვლენა და მისი ეფექტიანობის დამტკიცება.

კვლევაში ჩართული იყო 15 სტუდენტისგან შემდგარი სამი ჯგუფი, რომელთაც ესპანური ენის პირველი სემესტრი დასრულებული ჰქონდათ. ესპანური ენის ცოდნის დონე იყო ელემენტარული – A1. პირველი სემესტრის განმავლობაში ექსპერიმენტში

მონაწილე ყველა სტუდენტი მხოლოდ სააუდიტორიო მეცადინეობებით შემოიფარგლებოდა.

ექსპერიმენტის დაწყებამდე, სტუდენტებს ჩაუტარდათ პრეტესტირება იმისათვის, რომ მათი ცოდნის თანაბარი დონე განსაზღვრულიყო და პოსტტესტის ვალიდურობა უზრუნველყოფილიყო.

### **1-ლი საფეხური**

**პირველ ჯგუფთან** მუშაობისას მაქსიმალურად ვცდილობდი, ხელი შემეწყო სტუდენტთა ურთიერთთანამშრომლობისა და ინტერაქციისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე მასალაზე მუშაობისთვის გამოყოფილი დრო თითქმის არასდროს იყო საკმარისი. მასზე მუშაობა 15-20 წუთი გრძელდებოდა და, შეზღუდული დროის გამო, მხოლოდ კონკრეტული მონაკვეთის გარჩევით, ახალი ლექსიკური ერთეულების კონტექსტუალიზაციით, ტექსტის შინაარსის ან პერსონაჟების შესახებ საერთო აზრის ჩამოყალიბებით შემოვიფარგლებოდი.

**მეორე ჯგუფთან** ინტენსიურად ვიყენებდი ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. სამიზნე მასალას თან ვურთავდი სასარგებლო ბმულებს, ონლაინ სავარჯიშოებს, აუდიოვიზუალურ მასალას, რომელთა დამუშავება სტუდენტებს ლექციამდე, დამოუკიდებლად ევალებოდათ. ახალი მასალის გაცნობისას, სირთულეების აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტები ერთმანეთს ონლაინ კონსულტაციას უწევდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი, რჩევით მომმართავდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ მასალა ნაწილობრივ უკვე ათვისებული ჰქონდათ, აუდიტორიაში მსჯელობისთვის, სხვადასხვა სასწავლო თამაშისა და ტექსტის შინაარსზე საუბრისთვის მეტი დრო გვრჩებოდა. მასალაზე მუშაობა, აუდიტორიაშიც და დამოუკიდებლადაც, ჩემ მიერ კონტროლდებოდა.

**მესამე ჯგუფში** სტუდენტები სამიზნე მასალას ონლაინ, დამოუკიდებლად ამუშავებდნენ. ეცნობოდნენ ჩემ მიერ მითითებულ ბმულებს და შესაბამის სავარჯიშოებს ასრულებდნენ.

სამიზნე მასალის გარდა, სხვა სააუდიტორიო აქტივობები სამივე ჯგუფში ერთნაირი მეთოდოლოგიითა და ხერხებით სრულდებოდა. უპირატესობა კომუნიკაციურ მიდგომას ენიჭებოდა.

## **მე-2 საფეხური – ექსპერიმენტზე დაკვირვება და ჩანაწერების გაკეთება**

ექსპერიმენტზე დაკვირვება ხანგრძლივ პერიოდზე იყო გათვლილი.

ექსპერიმენტზე დაკვირვების დროს ხდებოდა ინფორმაციის მოგროვება მნიშვნელოვანი საკითხების შესასწავლად – სტუდენტთა სასწავლო უნარები, მასალის დამუშავების პროცესში გამოკვეთილი სირთულეები, ხშირად დასმული შეკითხვები, მასალის სხვადასხვა ფორმით დამუშავების დროს ენობრივი კომპეტენციების განვითარების დინამიკა და ა.შ.

### **წინასწარი დასკვნები**

წინასწარი დასკვნების მიხედვით, პირველი ჯგუფის სტუდენტები ტექსტიდან მეტწილად ცალკეულ, კონტექსტიდან ამოგლეჯილ სიტყვებს იზეპირებდნენ, შეეძლოთ კითხვების ფორმულირება და ტექსტის ირგვლივ ზოგადი საუბარი. თუმცა, ამ კონკრეტული მასალის დამუშავებისას, დროისა და რესურსების ნაკლებობის გამო, მეტყველების კომპეტენციის განვითარება საკმარისად არ მომხდარა.

მეორე ჯგუფის სტუდენტებზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ მასალაზე მუშაობის პროცესი ქაოსური არ იყო და ორგანიზებულად ხორციელდებოდა. სამიზნე მასალაში ნახსენებ კულტურულ ღირსშესანიშნაობებთან დაკავშირებული ფოტო-და ვიდეომასალა და ბმულები ენობრივი კომპეტენციების განვითარების გარდა, მათ ესპანეთის კულტურისა და ყოფის შესახებ ცოდნას უღრმავებდა. სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამოც, რომ ლექციის მიმდინარეობისას მონოტონური დავალებების კითხვის ნაცვლად, დრო ინტერაქციასა და სახალისო აქტივობებს ეთმობოდა. ეს ფაქტი სტუდენტებში სწავლის მოტივაციას ზრდიდა და მათ აქტიურობასა და ჩართულობაზე დადებითად მოქმედებდა. სავარჯიშოების დამოუკიდებლად შესრულებისას მათ ყოველთვის ჰქონდათ ჩემი დახმარების იმედი. მესამე ჯგუფის სტუდენტებზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ სამიზნე მასალა მათ სათანადოდ არ ჰქონდათ დამუშავებული. ხშირ შემთხვევაში, მისი სამომავლოდ გადადება ხდებოდა და უპირატესობა სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებებს ენიჭებოდა.

### **მე-3 საფეხური - პოსტტესტი**

პოსტტესტირება დამეხმარა გამეგო, რამდენად განავითარა სამიზნე მასალის დამუშავების სამმა სხვადასხვა ხერხმა სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციები.

(ესპანურად წაკითხულის გააზრება, მოსმენილის გაგება, წერითი უნარები და მეტყველება). პოსტტესტირების დროს სამივე ჯგუფის სტუდენტებს ერთნაირი სირთულის დავალება მივეცი, რათა პრეტესტირებასა და პოსტტესტირებას შორის მიღებული ცოდნა შემემოწმებინა.

### **თითოეული ჯგუფის შედეგების შედარება, გამოკითხვა, დასკვნები, ჰიპოთეზის დამტკიცება**

პოსტტესტირების შედეგების შედარებისას დადასტურდა ის მოლოდინი, რომელიც ექსპერიმენტის დასაწყისში მქონდა. კერძოდ, 1-ლი ჯგუფის ცდისპირებმა უკეთესი ცოდნა აჩვენეს დახურული ტიპის ტესტში, ხოლო ღია პასუხებში (წერითი და ზეპირი), სადაც მათი ცოდნის დონის შესაბამისი მეტყველების უნარი უნდა გამოჩენილიყო, დამაკმაყოფილებელი შედეგი ვერ მიიღეს.

მე-2 ჯგუფის ცდისპირები, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოირჩეოდნენ ღია პასუხებში თავისუფლად და გამართულად (დონის შესაბამისად) აზრის გადმოცემის უნართა და, სავალდებულო მასალის გარდა, დამატებითი ინფორმაციის ფლობით;

მე-3 ჯგუფის ცდისპირთა ტესტირებისას გამოჩნდა, რომ მათ მიერ მიღებული ცოდნა შედარებით ზედაპირული და ქაოსური იყო. შესაბამისად, როგორც დახურული ტესტების, ასევე ღია პასუხების შემთხვევაში, მათი შედეგები არ იყო დამაკმაყოფილებელი.

### **ცდისპირთა გამოკითხვა (ზეპირი)**

სწავლების განსხვავებული ხერხების ნაკლოვანებებისა და დადებითი მხარეების შესახებ ცდისპირთა მოსაზრებების გაცნობის მიზნით, გამოიკითხნენ სამივე ჯგუფის სტუდენტები.

მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გავაკეთე შესაბამისი დასკვნები:

იმ სტუდენტთა ცოდნა, რომლებიც მხოლოდ სააუდიტორიო მეცადინეობებით შემოიფარგლებოდნენ, სილაბუსით განსაზღვრული დონის (A2) შესაბამისი იყო. ისინი ზედმიწევნით ფლობდნენ გრამატიკულ სტრუქტურებს, ლექსიკური მარაგიც მდიდარი ჰქონდათ, თუმცა სამიზნე მასალის ირგვლივ სპონტანური დიალოგის წარმოება და აზრის თავისუფლად გამოხატვა მათთვის რთული აღმოჩნდა;

სტუდენტები, რომლებიც სააუდიტორიო მეცადინეობებთან ერთად, ჩემი ხელმძღვანელობით, აქტიურად იყენებდნენ ინტერნეტრესურსს და მასალას დამოუკიდებლად ამუშავებდნენ, უკეთ ახერხებდნენ საკითხავი მასალის გაგებას ესპანურ ენაზე, უადვილდებოდათ რეალურ სიტუაციებში კომუნიკაცია, ასევე საგრძნობლად განვითარდა მათი წერიითი და ზეპირი მეტყველების უნარები;

მესამე ჯგუფის სტუდენტებმა სამიზნე მასალის შეფასებისას ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენეს. გამომდინარე იქიდან, რომ მათ მასალის დამოუკიდებლად დამუშავება ევალებოდათ, შესაბამისი კონტროლისა და დახმარების გარეშე, ხშირად დავალებებს არასრულად აკეთებდნენ. შედეგად, სემესტრის ბოლოს ნაუცბათევად და, შესაბამისად, ზედაპირულად ათვისებული მასალა მივიღეთ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მესამე ჯგუფის სტუდენტებს უცნობი, ავთენტური მასალიდან ძირითადი აზრის გამოტანა პირველი ჯგუფის სტუდენტებზე უკეთ შეეძლოთ, რადგან დამოუკიდებლად მუშაობას, ასე თუ ისე, შეჩვეულნი იყვნენ.

პოსტტესტირებისა და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, ჰიპოთეზა – ესპანური ენის სწავლების ყველაზე ეფექტიანი ფორმა სააუდიტორიო მეცადინეობებთან ერთად სასწავლო მასალის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პედაგოგის ხელმძღვანელობით დამუშავება – ემპირიულად დამტკიცდა.

## **მე-2 კვლევა (2018-2019 წწ.)**

კვლევა ჩატარდა 2018 და 2019 წლებში. ამ დროს ელექტრონულ კურსს, როგორც სავალდებულო სასწავლო ინსტრუმენტს, არ ვიყენებდი. კურსზე სტუდენტთა მხოლოდ ნაწილი იყო დარეგისტრირებული.

### **მონაწილეები**

2018 წელი – 8 სტუდენტი, 2019 წელი – 12 სტუდენტი (სულ 20 სტუდენტი).

სასწავლო მასალების ასინქრონულად, დამოუკიდებლად დამუშავების ეფექტიანობის დასადგენად, კვლევაში მონაწილე სტუდენტები ორ სამიზნე ჯგუფად დაყავი – მაღალი მოსწრების, აქტიური სტუდენტები და ისინი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო დასწრების დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ, ან სემესტრის განმავლობაში მასალის ათვისებას ვერ ახერხებდნენ. ამ უკანასკნელთ ელექტრონული

კურსის (იშვიათად, სოციალური ქსელის) გამოყენებით გამოტოვებული მასალის აღდგენის საშუალება ეძლეოდათ.

**კვლევის ხანგრძლივობა** – 30 კვირა (ორი სემესტრი).

**კვლევის მიზანი** – სხვადასხვა საჭიროების მქონე ესპანური ენის სტუდენტთათვის სასწავლო მასალის ასინქრონულად დამუშავების (და შერეული სწავლების) ეფექტიანობის დამტკიცება.

**კვლევის საგანი** – ესპანური ენის სტუდენტთა მიერ ელექტრონული მასალის ასინქრონულად დამუშავება.

**კვლევის ობიექტი** – ესპანური ენის სტუდენტთა მიერ ელექტრონული მასალის ასინქრონულად დამუშავების პროცესი.

**კვლევის ჰიპოთეზა** – ესპანური ენის შესწავლისას ელექტრონული მასალის ასინქრონულად დამუშავება მაღალი მოსწრების სტუდენტებში ცოდნის ხარისხს აუმჯობესებს, დაბალი მოსწრების სტუდენტებს კი სწავლის მოტივაციას უმაღლებს და სილაბუსით განსაზღვრული დონისთვის (A2) საკმარისი ცოდნის მიღებაში ეხმარება.

**კვლევის მეთოდოლოგია** – თვისებრივი კვლევა.

**კვლევის ინსტრუმენტი** – დაკვირვება.

**სამიზნე ჯგუფი** – ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) სტუდენტები (რაოდენობა – 20).

კვლევის პროცესში სტუდენტებზე დაკვირვება და მათი იმ მაღალი და დაბალი მოსწრების სტუდენტებთან შედარება ხდებოდა, რომლებიც მხოლოდ სააუდიტორიო მეცადინეობებით შემოიფარგლებოდნენ.

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაღალი მოსწრების სტუდენტები, რომლებიც სააუდიტორიო მეცადინეობებთან ერთად სასწავლო მასალას ესპანური ენის ელექტრონული კურსით (ან სხვა საშუალებით) დამოუკიდებლად ამუშავებდნენ, მდიდარი ლექსიკური მარაგით გამოირჩეოდნენ, უკეთ ახერხებდნენ სპონტანური დიალოგის წარმართვას და აზრის ზეპირად თუ წერით ჩამოყალიბებას. საუბრისა და წერის დროს უშვებდნენ ნაკლებ გრამატიკულ შეცდომას, ვიდრე დანარჩენი მაღალი მოსწრების სტუდენტები.

პარალელურად, თვალყურს ვადევნებდი დაბალი მოსწრების სტუდენტთა პროგრესს.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ პრობლემურ სტუდენტებთან, რომლებიც ესპანური ენის ელექტრონული კურსით სარგებლობდნენ, სწავლის მოტივაცია გაიზარდა. სტუდენტებს, რომლებსაც ადრე საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებოდათ, გაუჩნდათ განცდა, რომ სასწავლო მასალა მათთვის ადვილად დაძლევადი იყო. გაიზარდა მათი დასწრების მაჩვენებელი და სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობის სურვილი. სტუდენტებს აღარ ერიდებოდათ მათთვის საინტერესო საკითხებზე შეკითხვების დასმა და აზრის დაფიქსირება. შედეგად, სემესტრის ბოლოს მათი წერის, წაკითხულის გააზრების, მოსმენილის გაგებისა და მეტყველების უნარები გაუთანაბრდა საშუალო მოსწრების სტუდენტთა შედეგებს.

კვლევის შედეგებით დამტკიცა ჰიპოთეზა – ესპანური ენის შესწავლისას ელექტრონული მასალის ასინქრონულად დამუშავება მაღალი მოსწრების სტუდენტებში ცოდნის ხარისხს აუმჯობესებს, დაბალი მოსწრების სტუდენტებს კი სწავლის მოტივაციას უმაღლებს და სილაბუსით განსაზღვრული დონისთვის საკმარისი ცოდნის მიღებაში ეხმარება.

### **მე-3 კვლევა – 2020 წლის გაზაფხულის სემესტრი**

კვლევის ჩატარების დრო დაემთხვა კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდს, როდესაც საჭირო გახდა სასწავლო პროცესის დისტანციურ („დაშორებით“) რეჟიმში წარმართვა. ამ დროისათვის, სტუდენტებთან მუშაობისას, უკვე მქონდა ესპანური ენის ელექტრონული კურსით სარგებლობის გარკვეული გამოცდილება. ხსენებულ კურსს შერეული სწავლებისთვის სტუდენტთა ნაწილთან ვიყენებდი.

კურსის შექმნისას ვხელმძღვანელობდი იმ შედეგებით, რომლებიც ესპანური ენის შემსწავლელი სტუდენტების საჭიროებებზე დაკვირვებისას გამოიკვეთა. ჩემი მიზანი იყო სტუდენტთათვის დამატებითი, რელევანტური და სანდო სასწავლო მასალა ერთ კონკრეტულ სივრცეში მომეცია, რათა მათი დამოუკიდებელი მუშაობის პროცესისთვის თვალყური მედევნებინა და სათანადო შეფასება მომეხდინა.

დროთა განმავლობაში ელექტრონული კურსის მნიშვნელობა გაიზარდა და იგი სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო ინსტრუმენტად იქცა.



კურსის განსაკუთრებული მნიშვნელობა და საჭიროება „დაშორებით“ რეჟიმში სწავლებისას გამოიკვეთა, როდესაც საჭირო გახდა სასწავლო მასალებისა და დავალებების სტუდენტთათვის მიწოდება.

კვლევა ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით, რომლებიც ესპანურ ენას, როგორც საფაკულტეტო ევროპულ ენას სწავლობდნენ. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესპანური ენის პედაგოგებმა და საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ესპანური ენის პედაგოგებმა და სტუდენტებმა (ილიას, თავისუფალი და საქართველოს უნივერსიტეტები).

კვლევის ხანგრძლივობა – ერთი სემესტრი (15 კვირა).

კვლევის მიზანი – ესპანური ენის „დაშორებით“ სწავლება-სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების შესწავლა და ამ ვითარებაში ასინქრონული ელექტრონული აქტივობების ეფექტიანობის გამოკვეთა.

კვლევის საგანი – ესპანური ენის სინქრონული და ასინქრონული სწავლების კომბინირება „დაშორებით“ რეჟიმში.

კვლევის ობიექტი – ესპანური ენის სინქრონული და ასინქრონული სწავლების პროცესი „დაშორებით“ რეჟიმში.

კვლევის ჰიპოთეზა – „დაშორებით“ რეჟიმში ესპანური ენის სწავლება-სწავლის პროცესში ელექტრონულ კურსზე არსებული ასინქრონული აქტივობების როლი იზრდება და კრიზისულ პერიოდებში სირთულეების დამღევაში გვეხმარება.

კვლევის მეთოდოლოგია – თვისებრივი კვლევა.

კვლევის ინსტრუმენტები – დაკვირვება და გამოკითხვა.

სამიზნე ჯგუფები – თსუ-ის ესპანური ენის, როგორც საფაკულტეტო ევროპული ენის, სტუდენტები (რაოდენობა – 31), საქართველოს უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივერსიტეტის ესპანური ენის სტუდენტები (რაოდენობა – 11), თსუ-ის, ილიას და საქართველოს უნივერსიტეტის ესპანური ენის პედაგოგები (რაოდენობა 6 პედაგოგი).

### **დაკვირვების შედეგები**

კვლევის მიმდინარეობისას თსუ-ის ესპანური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) სტუდენტებს პირველი სემესტრი უკვე დასრულებული ჰქონდათ. ესპანური ენის

ცოდნის დონე იყო ელემენტარული – A1. პირველი სემესტრის განმავლობაში კვლევაში მონაწილე ყველა სტუდენტი, სააუდიტორიო მეცადინეობებთან ერთად მასალას ნაწილობრივ, ელექტრონულადაც ამუშავებდა, რამაც მათ, მოგვიანებით, „დაშორებით“ სწავლის რეჟიმზე გადასვლა გაუადვილა.

დაკვირვებისას გამოიკვეთა სასწავლო მასალის მრავალფეროვნება, რომლის სინქრონულ მეცადინეობებზე გამოყენებას ხელი შეუწყო ონლაინ სწავლებამ. ინტერნეტრესურსი მეტად იყო თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ჩემთვის. თუმცა, სინქრონული მეცადინეობებისთვის განსაზღვრული დრო სასწავლო მასალის სრულფასოვნად დასამუშავებლად საკმარისი არ იყო, ამიტომ მის ნაწილს ელექტრონულ კურსზე ვტვირთავდი. შესაბამისად, სინქრონული მეცადინეობები მეტად ინტერაქტიული და ენის პრაქტიკულ გამოყენებაზე ორიენტირებული იყო.

### **თსუ-ის ესპანური ენის სტუდენტთა და პედაგოგთა გამოკითხვის შედეგები**

- **ტექნიკური პრობლემები**

ესპანური ენის პედაგოგები და სტუდენტები „დაშორებით“ სწავლება-სწავლის რეჟიმის მთავარ პრობლემად ტექნიკურ ხარვეზებს ასახელებდნენ, რაც, ხშირ შემთხვევაში, სწავლის სურვილისა და მოტივაციის დაკარგვას იწვევდა.

- **კონცენტრაციის პრობლემა სახლში მუშაობისას**

საშინაო გარემო არ გვიბიძგებს მეცადინეობისკენ, რადგან, ხშირ შემთხვევაში, სტუდენტებს არა აქვთ ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მშვიდად, დამაბულობისა და ყურადღების გაფანტვის გარეშე შეძლებენ სწავლას.

- **არასაკმარისი კომუნიკაცია პედაგოგთან და ურთიერთთანამშრომლობის ნაკლებობა ჯგუფებთან**

კომუნიკაბელური სტუდენტისთვის, რომელსაც გახსნილი ურთიერთობები, საუბარი, კამათი, სხვადასხვა თემის აუდიტორიაში გარჩევა უყვარს, მსგავსი ტიპის სწავლების ფორმატი მიუღებელია, რადგან პირდაპირი კომუნიკაცია ამ დროს არასაკმარისია. მათთვის სწავლის პროცესი ჯგუფებთან ურთიერთობასთან ასოცირდება.

ვირტუალური ურთიერთობა და ონლაინ მიმოწერა, მათი აზრით, მოსაბეზრებელია. ამ დროს სწავლის მოტივაცია ქვეითდება, სტუდენტის პოზიტიური განწყობა იცვლება და სწავლის ხალისიც იკარგება.

სტუდენტური ურთიერთთანამშრომლობა სწავლის პროცესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც „დაშორებით“ რეჟიმში საგრძნობლად შემცირდა. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, სწავლების ახალ ფორმატზე გადაწყობისას წარმოქმნილი დაბნეულობა და სტრესი იყო. ეს პრობლემა მოგვიანებით აღმოიფხვრა და სტუდენტებმა სხვადასხვა რესურსის გამოყენებით კვლავ შეძლეს ვირტუალური ურთიერთთანამშრომლობა.

- **გამოცდების ჩატარების გართულებული ფორმატი**

„დაშორებით“ სწავლების დროს განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა შუალედური და ფინალური გამოცდების ჩატარება, როგორც სტუდენტთათვის, ასევე მათი პედაგოგებისთვის. ესპანური ენის გამოცდაზე გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები, რომელთა შესრულებისას ნათლად უნდა გამოჩნდეს წინასწარ განსაზღვრული დონის შესაბამისი ცოდნა. ონლაინ რეჟიმში ჩატარებული გამოცდა საკმარისად არ ასახავდა მათ რეალურ ცოდნას, რადგან შესაძლებელი იყო სტუდენტის მხრიდან, ინფორმაციის მიღების მიზნით, სხვადასხვა სახის დახმარების გამოყენება და პედაგოგის შეცდომაში შეყვანა. სტუდენტთათვის კი სირთულე მსგავს ფორმატში გამოცდის ჩატარების გამოუცდელობა გახლდათ, რამაც მათი დაბნეულობა, ნერვიულობა გამოიწვია და, შესაბამისად, მიღებული ცოდნა სათანადოდ ვერ იქნა წარმოჩენილი.

- **მეტყველების კომპეტენციის არასათანადო განვითარება**

დაშორებით რეჟიმში ბევრად რთულია უცხოურ ენაზე მეტყველების უნარის ისევე ეფექტურად განვითარება, როგორც აუდიტორიაში მუშაობისას. სტუდენტთა აზრით, მსგავსი ტიპის მეცადინეობა ენასთან სათანადოდ ვერ აახლოებს და მომავალში მათ ესპანური ენის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება გაუჭირდებათ.

თუმცა, იმ სტუდენტებს, რომლებიც სინქრონულ ლექციებთან ერთად მასალის ნაწილს ასინქრონულად ამუშავებდნენ, ზემოთ ხსენებული პრობლემა ნაკლებად შეეხოთ.

- **მთელი ჯგუფის ჩართულობის სირთულე**

დისტანციურად რთულია ყველა სტუდენტი თანაბრად ჩავართოთ მუშაობაში, რადგან ტექნიკური პრობლემების გარდა, ჯგუფური მუშაობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა და კონტროლი ძნელია. იქმნება ქაოსური გარემო, ერთმანეთის მოსმენა და საუბრის გაგება თითქმის შეუძლებელი ხდება.

ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, სტუდენტებს ჯგუფური სამუშაოს ასინქრონულ რეჟიმში შესრულებას ვთხოვდი, რაც სინქრონული ლექციების ამ კუთხით გამოყენების სირთულეს, გარკვეულწილად, კომპენსირებას უკეთებდა.

- **სირთულე რამდენიმე ფაილის ერთდროულად გახსნისას**

დაშორებით რეჟიმში მუშაობისას წარმოქმნილი სირთულეებიდან გამოირჩეოდა კომპიუტერის ეკრანზე რამდენიმე გახსნილი ფაილის კონტროლი და, ჩართული კამერის შემთხვევაში, დავალების დაწერა. შესაბამისად, სტუდენტთა უმეტესობა ონლაინ ლექციას გამორთული კამერით ესწრებოდა.

- **აქტივობების მრავალფეროვნების დეფიციტი**

არსებობს უამრავი აქტივობა, რომელთა შესრულებაც აუდიტორიაში პირისპირ ურთიერთობის დროს მეტად ეფექტიანია. მაგალითად, ჯგუფური მუშაობა და თამაშები, რომლებიც სტუდენტთა ფიზიკურ გადაადგილებას მოითხოვს და ა.შ.

- **ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა დისტანციური სწავლების ეფექტიანად წარსამართავად**

საჭირო იყო პედაგოგთა გადამზადება, რათა არსებულ გამოწვევებს უკეთ გამკლავებოდნენ და სტუდენტებისთვის ტექნიკური საკითხების გარკვევაში დახმარება გაეწიათ.

მიუხედავად ზემოხსენებული პრობლემებისა, ესპანური ენის დისტანციურ სწავლებას დადებითი მხარეებიც ჰქონდა:

- **საგანმანათლებლო და ვიდეოსაკონფერენციო პლატფორმების გაცნობა**

განსაკუთრებით აღსანიშნავია საგანმანათლებლო და ვიდეოსაკონფერენციო პლატფორმების (Zoom, Moodle, Google classroom, Ms teams) გაცნობა და მათი ფუნქციების წარმატებით გამოყენება.

**ელექტრონული დაფა** წარმატებით გამოიყენებოდა, როგორც სტუდენტების, ასევე პედაგოგების მიერ და, ხშირ შემთხვევაში, უფრო ეფექტიანი იყო, ვიდრე აუდიტორიაში არსებული, მოძველებული დაფები.

**ეკრანის გაზიარების ფუნქცია** ამარტივებდა ყველა იმ ინტერნეტრესურსის გამოყენებას, რომლის გარეშეც უცხოური ენის ლექცია სრულფასოვნად ვერ იქნება მიჩნეული.

**ლექციის ვიდეოჩანაწერის გაკეთება** იდეალური შესაძლებლობაა, რომელიც სტუდენტს, გაცდენის შემთხვევაში, ლექციის ჩამოტვირთვის და მისი ნებისმიერ დროს ხილვის შესაძლებლობას აძლევს. ლექციის ვიდეოჩანაწერის გამოყენება სხვადასხვა სასწავლო მიზნითაც ხდებოდა.

- **დასწრების მაჩვენებლის გაზრდა**

პანდემიის პირობებში დასწრება შედარებით გაიზარდა. ონლაინ მეცადინეოები განსაკუთრებით მოგებიანი აღმოჩნდა დასაქმებული სტუდენტებისათვის, რომლებიც, სააუდიტორიო რეჟიმის პირობებში, ლექციებზე დასწრებას ვერ ახერხებდნენ.

- **ახალი, თანამედროვე ხერხებით ენის შესწავლა**

სწავლების უჩვეულო ფორმატმა სტუდენტთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო ხერხებისა და ინტერაქციის ახალი ფორმების აღმოჩენის საშუალება მოგვცა, სწავლის პროცესი უფრო მრავალფეროვანი გახდა და დაგვარწმუნა, რომ კრიტიკული მომენტები შეიძლება პროფესიული ზრდისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების სტიმულადაც იქცეს.

- **ონლაინ რესურსის ხელმისაწვდომობა**

მარტივი იყო აუდიოვიზუალური ავთენტური მასალების მოძიება და მათი სტუდენტთათვის ჩვენება, რამაც მულტიკონტექსტუალური სწავლების უკეთ განხორციელების შანსი მოგვცა.

- **კომფორტულ გარემოში მეცადინეობა და სტუდენტთა სასწავლო უნარების გათანაბრება**

იმ სტუდენტებს, რომლებსაც ოჯახური პირობები მშვიდად მეცადინეობაში ხელს უწყობდა, სახლიდან ჩართვა კომფორტულად მიაჩნდათ.

გარდა ამისა, მასალის დამოუკიდებლად მომზადებისას, სწავლის განსხვავებული უნარების მქონე სტუდენტების თანაბარ პირობებში ჩაყენება ხდებოდა, რადგან სტუდენტს, რომელსაც ერთი მოსმენით მასალის აღქმა უჭირდა, ლექციის ვიდეოჩანაწერის რამდენჯერმე ნახვის საშუალება ეძლეოდა.

### **პასიური სტუდენტების გააქტიურება, მათთვის შეცდომების დაშვების შიშის მოხსნა და დავალებების შესწორებისას კონფიდენციალურობა**

არსებობს სტუდენტის ტიპი, რომელიც, ზედმეტი მორიდებულობის ან ჩაკეტილი ხასიათის გამო, აუდიტორიაში ვერ ახერხებს აზრის თამამად გამოხატვას, კითხვების დასმასა და ჯგუფური მუშაობისას აქტიურობას. აღმოჩნდა, რომ მსგავსი ტიპის ადამიანები ვირტუალურ სივრცეში ბევრად კომუნიკაბელურები არიან. ის სტუდენტები, რომლებიც სააუდიტორიო მეცადინეობების დროს პასიურობდნენ, ვირტუალურად ურთიერთობისას განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ. დავალებების შესწორების დროს კონფიდენციალურობამ დადებითად იმოქმედა მათ მოტივაციაზე. იმ ფაქტმა, რომ აუდიტორიაში დავალების ხმამაღლა წაკითხვა აღარ უწყევდათ, მათ შეცდომის დაშვების შიში მოუხსნა და მეცადინეობის დროს პრიორიტეტს აზრის თავისუფლად გამოხატვას ანიჭებდნენ.

### **ესპანური ენის ელექტრონულ კურსზე არსებული სასწავლო მასალა**

თსუ-ის ესპანური ენის სტუდენტთა და პედაგოგთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ „დაშორებით“ რეჟიმში ელექტრონულ კურსს სასწავლო მასალების ასატვირთად, ჩემ გარდა მხოლოდ ერთი პედაგოგი იყენებდა. დანარჩენები, ძირითადად, ელექტრონული ფოსტით სარგებლობდნენ.

ჩემს კურსზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა აზრით, მასალის ელექტრონულად დამუშავების გამოცდილებამ მათ სწავლის ახალ რეჟიმზე გადასვლა გაუადვილა და ონლაინ მეცადინეობა მრავალფეროვანი და ნაყოფიერი გახდა.

ილიას, საქართველოსა და თავისუფალი უნივერსიტეტების პედაგოგთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ „დაშორებით“ რეჟიმში ესპანური ენის ელექტრონული კურსის, როგორც სასწავლო ინსტრუმენტის, გამოყენება არ ხდებოდა. პლატფორმა Moodle-ს ესპანური ენის ტესტების შესადგენად მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში იყენებდნენ.

რესპონდენტთა უმეტესობას ელექტრონული კურსის ეფექტიანობა ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი. იგრძნობოდა სიახლისადმი ბუნებრივი შიში. გამოითქვა აზრი, რომ სწავლების ეს ინსტრუმენტი სავალდებულო არ უნდა იყოს, რადგან ყველა სტუდენტს ინტერნეტთან წვდომის საშუალება არა აქვს.

თუმცა, კვლევისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგთა და სტუდენტთა დიდი ნაწილი, სინქრონულ მეცადინეობებთან ერთად, ხშირად იყენებდა ინტერნეტრესურსს – სოციალურ ქსელებში შექმნილი დახურული ჯგუფებისა და ელექტრონული ფოსტის სახით.